

**არქეოლოგია
კლასიკური ფილოლოგია
ბიზანტიზმის ფილოლოგია**

Контрольный экземпляр



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

**АРХЕОЛОГИЯ
КЛАССИЧЕСКАЯ ФИЛОЛОГИЯ
ВИЗАНТИНИСТИКА**

**ARCHAEOLOGY
CLASSICAL PHILOLOGY
BYZANTINE STUDIES**

**არქეოლოგია
კლასიკური ფილოლოგია
ბიზანტიზმისგია**

სარედაქციო კოლეგია

ა. ალექსიძე, რ. გორდეზიანი (რედაქტორი), თ. დოლიძე (პ/მ მდივანი),
ი. კიკვიძე, ა. ურუშაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ი. შენგელია, ო. ჯაფარიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

А. Д. Алексидзе, Т. И. Долидзе (отв. секретарь), Р. В. Гордезиани
редактор), О. М. Джапаридзе, С. Г. Каухчишвили, Я. А. Киквидзе,
А. В. Урушадзе, И. Г. Шенгелия.

EDITORIAL BOARD

A. Alexidze, T. Dolidze (secretary), R. Gordeziani (editor), O. Japaridze,
I. Kikvidze, S. Kaughchishvili, I. Shengelia, A. Urushadze.

ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის უტიმართობის საკითხისათვის აღრებრინჯაოს ხანაში*

ბიორბი ქავთარაძე

აღრებრინჯაოს ხანის როგორც ცენტრალურ ანატოლიაში, ასევე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გვხვდება „სამეფო“ აკლდამები—კლასთა წარმოქმნის პროცესის მიმდინარეობის გამომატველი ნიშანი. „სამეფო“ აკლდამების აღმოცენებით ძირითადად ხასიათდებიან ის საზოგადოებები, რომელთა მეურნეობაშიც დიდად მესაქონლეობის ხვედრითი წონა. საქონელი—მოძრავი ქონების ადვილად გასხვისებადი ფორმა, ხელს უწყობდა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის ზრდას. მესაქონლეობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აუცილებელი ხდება ცხოვრების სამხედრო წესის არსებობა, რასაც საზოგადოების შიგნით არსებული კრიზისული მდგომარეობის პირობებში ხელი უნდა შეეწყოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყოფა—გადასახლებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, აჩქარებდა იმ საზოგადოებებში მიმდინარე კლასთა წარმოქმნის პროცესის მსვლელობას, სადაც შეაღწევდა მიგრირებული მოსახლეობის ნაკადი¹.

ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ცენტრალურ ანატოლიაში კლასთა წარმოქმნის პროცესის დაჩქარება მივწეროთ ახალი მოსახლეობის ნაკადს, რომელიც მომდინარეობდა კლასთა წარმოქმნის (ანუ „სამხედრო დემოკრატიის“) ეტაპზე მყოფი საზოგადოების წიაღიდან. იმის გასარკვევად, თუ საიდან უნდა მომხდარიყო ახალმოსახლეთა შემოჭრა, აუცილებელია არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინება.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ცენტრალური ანატოლიის „სამეფო“ აკლდამების დაკრძალვის წესი, იარაღი, ლითონის ჭურჭელი, შემკულობის სახეობები და ცხოველთა ქანდაკებები უშუალოდ უახლოვედებიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურს². აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, მაიკოპის კულტურის ყორღანებში დამოწმებული მასალა, თავის მხრივ, მიჩნეულია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოზიდულად. ა. ბრიუსოვის მიხედვით, ეს ნივთები შეძენილი უნდა იყოს ძარცვითი ხასიათის ომების შედეგად³. საკუთრივ არქეოლოგიური წყაროების საშუალებით ალებ-მიცემობის არსებობის დადგენა არ ხერხდება⁴. შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში შემოზიდული საგნები ვაჭრობის ან ალებ-მიცემობის შედეგს კი არ წარმოადგენდა, არა-

* წერილი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1975 წლის მაისში ჩატარებულ საკავშირო კონფერენციის მუშის („ანტიკური, ბიზანტიური და ადგილობრივი ტრადიციები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში“) დაწერილი მოხსენების ტექსტის ქართულ თარგმანს. შენიშვნებში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გავკეთვალისწინებინა წერილის დაწერის შემდეგ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული ახალი მასალა.

მედ, სწორედ ლაშქრობების შედეგად იყო შექმნილი⁵. ომები და ლაშქრობები ამ ხანებში საზოგადოებრივი გაცვლა-გამოცვლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა⁶. თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ მაიკოპის ყორღანების ინვენტარის განვითარება ნაწილი მართლაც ძარცვის საშუალებით იყო მოპოვებული, მაშინ იძულებული ვიქნებით, ვივარაუდოთ „მაიკოპელთა“ საბრძოლო ლაშქრობები ანატოლიაში. მათი სისტემატური ლაშქრობები შორეულ მცირე აზიაში, რა თქმა უნდა, ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოსახლე ტომთა განსაკუთრებული ურთიერთობა ანატოლიასთან უცილობელია⁷.

ეტყობა, „მაიკოპელებს“ ანატოლია წარმოუდგებოდათ, როგორც ლითონებით მდიდარი კურთხეული ქვეყანა, რომელიც მათ უძველეს ცივილიზაციებთან აკავშირებდა. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივი ლითონების დამუშავებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში წინ უსწრებდა უფრო მოწინავე ქვეყნებიდან მზა ნაწარმის შემოტანა⁸. ამ კავშირებმა და სამხრეთიდან მომდინარე კულტურულმა ზეგავლენამ განაპირობა ბარბაროსული საზოგადოების განვითარების დაჩქარება და დიფერენციაციის პროცესის აღმოცენება⁹. სიმბტომატურია, რომ მაიკოპის კულტურის I ჯგუფის ლითონის ინვენტარისათვის დამახასიათებელია ნიკელის მაღალი შემცველობა, მაშინ როდესაც მთელ კავკასიაში სპილენძ-ნიკელის საბადოები არ არის¹⁰. ე. ჩერნიხის აზრით, I ჯგუფის ნაწარმი შემოზიდული ლითონისაგან უნდა იყოს დამზადებული, რომლის საბადოც საძებარია კავკასიის სამხრეთით—ანატოლიასა და ირანში¹¹. ეს ფაქტი კარგად ესადაგება „მაიკოპელთა“ ლითონის ინვენტარის მსგავსებას ჩრდილო სირიულ და ანატოლიურ საგნებთან, განსაკუთრებით, ალაჯა ჰუიუქისა და ტროა II კულტურებთან.¹² შესაძლოა, სწორედ ანატოლია აძლევდა სტიმულს მეტალურგიის განვითარებას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში; ამარაგებდა მას როგორც მზა ლითონის ნაწარმით, ასევე ზოდებით.¹³ საინტერესოა ამას წინათ ე. ჩერნიხის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ყოველი მეტალურგიული ცენტრიდან ლითონის გავრცელება უმთავრესად განისაზღვრებოდა გარკვეული ტომობრივი ჯგუფების კულტურული და ეთნიკური სიახლოვით იმ ლითონმწარმოებელ მოსახლეობასთან, რომლის ხელშიც იყო მოქცეული მადნის საბადოები¹⁴. საფიქრებელია, სწორედ ლითონის საბადოებით დაინტერესება იყო ერთ-ერთი მასტიმულირებელი მიზეზი მაიკოპის კულტურის მატარებელთა სავარაუდო გადასახლებისა მდინით მდიდარ ანატოლიაში და ამდენად ერთგვარი საფუძველიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ლითონდამმუშავებელი წარმოების შემდგომი ორიენტაციისა¹⁵.

სხვადასხვა კულტურას შორის გენეტიური ნათესაობის ძიებისას ერთ-ერთი ყველაზე უფრო საიმედო კრიტერიუმია დაკრძალვის წესი, როგორც კულტურის განსაკუთრებით მდგრადი კომპონენტი, რომელიც წინარეისტორიულ ეპოქაში იცვლება მხოლოდ მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად.

ალაჯა ჰუიუქისა¹⁶ და მაიკოპის¹⁷ აკლამები წარმოადგენენ სწორკუთხა, არცთუ ღრმა ორმოებს, გადახურულს ხის კოჭებით; კედლები მოპირკეთებულია ხით, ალაჯა ჰუიუქში—ზოგჯერ ქვითაც; ბევრია საერთო სამარხეულ ინვენტარშიც, რომელიც გვაოცებს „ბარბაროსული სიუხვით“; ორივე მემთხვევაში გვხვდება ბალდახინები. ზოგიერთი არქეოლოგის აზრით, ალაჯა ჰუიუქში აკლამების კულტურა გავრცელებულია მცირე აზიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილიდან, ჯანიკის მთებიდან¹⁸, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონში დღემდე აღმოჩენილი აკლამები ალაჯა ჰუიუქის აკლამებთან შედარებით გვიანდელია¹⁹ და განეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს. მაგრამ, თუნდაც გავიზიაროთ ეს

შეხედულება, იგი არ გვიშლის ხელს ვივარაუდოთ მსგავს აკლდამათა ადრეული მკვადრობის ალაგად ჩრდილო-დასავლეთ კავკასია; ამავე დროს, ეს შეხედულება კიდევ ერთხელ მოწმობს იმ ფაქტს, რომ „სამეფო“ აკლდამები უშუალოდ ცენტრალურ ანატოლიაში ჩრდილოეთის მხრიდანაა გავრცელებული²⁰. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ალაჯა ჰუიუქის კულტურის აკლდამები, უახლოვდებიან რა მაიკოპის კულტურის სამარხებს, სავსებით განსხვავდებიან თავისი ხასიათით ანატოლიისა და, კერძოდ, ცენტრალური ანატოლიის თანადროული სამარხებისაგან;²¹ და ეს მაშინ, როდესაც მაიკოპის კულტურაში ტომის ბელადთა ანალოგიური აკლდამები და მათი რიგითი თანამეგობრების სამარხები ავლენენ თითქმის სრულ მსგავსებას დაკრძალვის რიტუალის მხრივ²², რაც უნდა მიუთითებდეს მათ ეთნიკურ იდენტურობაზე.

ფართოდ გავრცელებული შეხედულებით მაიკოპის კულტურის მაიკოპური ეტაპი თარიღდება III ათასწლეულის შუა ხანებით²³, ხოლო ალაჯა ჰუიუქის აკლდამები ძვ. წ. 2400—2200 წწ.²⁴. ა. იესენი თვლის, რომ სამარხეული ინვენტარის შედარება გვიდასტურებს არამარტო მაიკოპური ეტაპის მეტ სიძველეს ალაჯასთან შედარებით, არამედ ნოვოსეობონდიას ეტაპისაც²⁵. ამრიგად, ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ცენტრალურ ანატოლიაში „სამეფო“ აკლდამების კულტურა გავრცელდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან²⁶.

ანატოლიაში „სამეფო“ აკლდამების გამოჩენა, როგორც ჩანს, დაკავშირებული უნდა იყოს აქ მაიკოპის კულტურის მატარებელთა ვადიმოსახლებასთან;²⁷ მაგრამ თვით ფაქტი მათი აღმოცენებისა, ისევე როგორც ძველი სამყაროს სხვა მხარეებში, აქაც უნდა წმობდეს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული ეტაპის არსებობას—პირველყოფილი-თემური წყობილების დაშლისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ახალმოსახლეებმა მისცეს ბიძგი სოციალური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებას, შექმნეს რა ახალი გაბატონებული კასტა. ეს მოსაზრება მტკიცდება ანთროპოლოგიური მასალებითაც. ალაჯა ჰუიუქის აკლდამების გათხრისას აღმოჩნდა, რომ მათში დაკრძალული იყვნენ ბრაქიკეფალები, მაშინ როდესაც ცენტრალური ანატოლიის ადგილობრივი მოსახლეობა დოლიქოკეფალური იყო²⁸, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს განსახილველი ხანის ცენტრალურ ანატოლიაში მნიშვნელოვან ეთნიკურ განსხვავებათა არსებობაზე. სამწუხაროდ, მაიკოპის ყორღანების ანთროპოლოგიური მასალები შემონახული არ არის, რაც მათ შეპირისპირებას ანატოლიურთან შეუძლებელს ხდის. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. III—II ათასწლეულების მიჯნაზე კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კავკასიის ყველა სხვა რაიონთან შედარებით, გ. დებეცის მიხედვით ხასიათდებოდა, როგორც „შედარებით ბრაქიკრანის ცენტრი“²⁹.

კლასთა წარმოქმნის პროცესი ცენტრალურ ანატოლიაში, სადაც გვაქვს შეზღუდული ირიგაციული მიწათმოქმედების ანატოლიური ტიპი³⁰, უნდა დაჩქარებულიყო ახალი მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო სარეწით—მესაქონლეობით, რომლის მნიშვნელობის ზრდას უპირატესად ძველ-მიწათმოქმედურ ცენტრალურ ანატოლიაში ავლენენ ისევ ალაჯა ჰუიუქის „სამეფო“ აკლდამები; აქ გარდა ხარების მრავალრიცხოვანა გამოსახულებებისა, ვხედავთ საქონლის რიტუალურ ხოცვას დაკრძალვის ცერემონიალის დროს³¹ და აკლდამების ზემოდან გადახურვას ცხოველთა ტყავებით, რისი კვალიც არქეოლოგიურ მასალებში შემონახულია

თავის ქალისა და ჩლიქების სახით; მრავალი საუკუნის განმავლობაში დაკრძალვის/ ანალოგიური წესით ხასიათდებოდნენ ჩრდილოეთის მესაქონლე ტომები³² ჩრდილოეთის
თუ დაფუძვებთ, რომ დაკრძალვის აღნიშნული წესი ანატოლიაში³³ ჩრდილოეთის
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გავრცელდა, შესაძლებელი ხდება იმის ვარაუ-
დიც, რომ მეურნეობა, რომლის საფუძველზეც ეს წეს-ჩვეულება აღმოცენდა, შე-
მოტანილი იყო (უფრო სწორად, განვითარებისათვის მიიღო ახალი იმპულსი)
ჩრდილოეთიდან. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ფოთლოვანი ტყეებით მდიდარ
მხარეში, მეურნეობის საფუძველს ჯერ კიდევ ნეოლითიდან შეადგენდა მსხვილფეხა
რქოსანი საქონელი³⁴. მიწათმოქმედებას იქ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონ-
და, ხოლო ნადირობის როლი მეტად უმნიშვნელო იყო³⁴.

აღსანიშნავია, რომ ადრებრინჯაოს ხანის ალიშარში³⁵ მსხვილფეხა რქოსანი
საქონლის რქის ნარჩენები უმთავრესად გვხვდება ალაჯა ჰეიუქის აკლამების ხა-
ნის ფენებში, რაც გვიჩვენებს მისი მნიშვნელობის ზრდას ამ ეპოქაში³⁶. როგორც
ჩანს, სოციალურ-ეკონომიური მონაცემები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ზემოთ
გამოთქმულ მოსაზრებას ცენტრალურ ანატოლიაში მესაქონლეობაზე დაფუძნებუ-
ლი ახალი მოსახლეობის შემოჭრის შესახებ³⁷.

რაც შეეხება მატერიალური კულტურის მონაცემებს, ისინიც გვაძლევენ სა-
შუალებას გავიზიაროთ ზოგიერთ მეცნიერთა აზრი და ვივარაუდოთ ჩრდილო-
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიგრაცია
მცირე აზიაში³⁸. ამას, თავის მხრივ, უნდა გამოეწვია ახალი ნაკადის შეღწევა
არამარტო ცენტრალური ანატოლიის ადგილობრივ კულტურაში, არამედ კიდევ
უფრო გაეძლიერებინა ანატოლიასა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას შორის არსე-
ბული კავშირები და გაეღრმავებინა ის წინააზიური გავლენა მიიკოპეტურ კულტურა-
ზე, რომელიც შეიმჩნევა ყუბანისპირეთის მასალებში.

არ არის გამორიცხული, რომ ე. წ. „ბედნური კულტურის“ ჩამოყალიბება
და მესაქონლეობის, როგორც მეურნეობის ძირითადი ფორმის დაწინაურება ცენტ-
რალურ ამიერკავკასიაში, ხდება ანალოგიური მოვლენების შედეგად.

ახლა განვიხილოთ, რამდენად შეესაბამება ლინგვისტური მონაცემები მცირე
აზიაში „მიკოპელთა“ გადასახლების ზემოთ აღწერილ მოდელს.

უძველესი წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ
ხეთური სამეფო კარის რელიგიური რიტუალებისა და ცერემონიალების ენა იყო
ხათური (პროტოხეთური); შესაბამისად რიტუალური ტექსტები იწერებოდა ხათურ
ენაზე და ალიკურვებოდა. ნესიტური თარგმანით. ამ ტრადიციის წყალობით შესაძ-
ლებელი ხდება ხათური ენის რამდენადმე აღდგენა, რომელიც, როგორც გამოკვ-
ლევებმა გვიჩვენეს, მსოფლიოს ყველა მკვდარი და ცოცხალი ენიდან ყველაზე
უფრო უახლოვდება აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებს, ავლენს მათთან საოცარ
სტრუქტურულ³⁹ და გარკვეულ მატერიალურ მსგავსებას⁴⁰. ი. დიაკონოვის აზრით,
გრამატიკული მაჩვენებლების ბგერითი მასალის მხრივ, არ არის არავითარი წინა-
აღმდეგობა, რომელიც უარყოფდა ხათური და აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებს
შორის ნათესაობის არსებობას⁴¹. ი. დიაკონოვი არ გამორიცხავს იმის შესაძლებ-
ლობას, რომ ხათური ენა ან უშუალოდ განეკუთვნება აფხაზურ-ადიღური ენების
რიცხვს, ანდა უკავია საშუალოდ მდგომარეობა მათსა და ქართველურ ენებს
შორის⁴².

იმ შეხედულებიდან გამომდინარე, რომ ხათები, როგორც ამას მრავალი მეც-
ნიერი მიიჩნევს, წინ უსწრებდნენ ნესიტ-ხეთებს ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯა

პიუტის აკლდამები არქეოლოგიურ ლიტერატურაში ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ხათებს მიეწერება⁴³.

რაც შეეხება მაიკობის კულტურას, მკვლევრები ხშირად უშვებენ⁴⁴ ტურის მატარებელთა გაიგივების შესაძლებლობას აფხაზურ-ადიღურ ჯგუფის ხალხების წინაპრებთან⁴⁴, აღნიშნავენ რა იმ ფაქტს, რომ მაიკობის კულტურის ტრადიციები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში შეინიშნება ძვ. წ. I ათასწლეულამდე⁴⁵ (და უფრო გვიანაც)⁴⁶.

ასე რომ, არამარტო მაიკობისა და ალაჯა პიუტის „სამეფო“ აკლდამების კულტურათა შორის შეიმჩნევა გარკვეული სტრუქტურული და მატერიალური მსგავსებები (აკლდამების აგებულებასა და ინვენტარში), არამედ აფხაზურ-ადიღურ და ხათურ ენებს შორისაც.

ზოგიერთი ლექსიკური პარალელი ხათურსა და ხურიტულ და კასიტურ ენებს შორის შესაძლოა აღის არა მათ საერთო ბინადრობამდე ზაგროსში,⁴⁷ არამედ, შესაძლებელია—კავკასიისთან, თუ ი. დიაკონოვის მსგავსად დავუშვებთ, რომ მტკვარ-არეზის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა წარმოადგენდა ხურიტულენოვანი წრის კულტურას, რომელიც, საფიქრებელია, აერთიანებდა ერთმანეთის მონათესავე ხურიტულ-ურარტულ, ნახურ-დადესტურ და გუთიურ ტომებს⁴⁸. ამ უკანასკნელებს, ჩანს, ეკუთვნოდნენ კასიტებიც⁴⁹. არსებული ხათურ-კასიტური პარალელების დიდი ნაწილი მოიპოვება ქართველური ჯგუფის სვანურ ენაშიც. გარდა ამისა, ალბათ არ უნდა იყოს გამორიცხული მაიკობის ან მისი მონათესავე კულტურის მატარებელი მოსახლეობის, ანდა მათი შთამომავლების შეღწევა თვით ზაგროსშიც, ამიერკავკასიის გავლით.

თუ ჩვენ დავუშვებთ ხათების ცენტრალურ ანატოლიაში დაფუძნების შესაძლებლობას ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, დაიბადება კითხვა წინახათური ცენტრალური ანატოლიის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ვარაუდები ანატოლიაში ხეთურ-ლუვიური ენების ავტოქთონობის თაობაზე;⁵⁰ შესაძლებლად მიაჩნიათ აგრეთვე მათი უმნიშვნელო გადმონაცვლება „წინარე—ინდოევროპულ მტკვარ-არეზიდან“⁵¹. გასათვალისწინებელია იმ კულტურული საზღვრის არსებობაც, რომელიც დიაგონალურად მიემართებოდა მარმარილოს ზღვიდან ამანოსის ქედამდე და მცირე აზიის ნახევარკუნძულს ორ საგვებით განსხვავებულ ეთნო-კულტურულ ოლქად ყოფდა⁵². მომდევნო ეპოქების მონაცემებიდან გამომდინარე, თითქოს შესაძლებელი უნდა ჩანდეს, სამხრეთ და დასავლეთ ანატოლიის მოსახლეობის გაიგივება—ლუვიელებთან⁵³, ხოლო ცენტრალური და ჩრდილოეთ ანატოლიისა, სადაც შეიმჩნევა ძველი მცირეაზიული ტრადიციების თანაარსებობა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან შემოსულ ახალ ტრადიციებთან,— წინახათურ და ხათურ ტომებთან⁵⁴.

ცენტრალურ ანატოლიაში ხათების წინამორბედი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების დადგენისათვის გასათვალისწინებელია ის მძლავრი არაინდოევროპული ფენა ნესიტურ ენაში, რომელიც ახსნას ვერ პოულობს ხათურში⁵⁵ და, რომელიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უნდა მიეწეროს ეგეოსური ტიპის ენის ზემოქმედებას ანატოლიურ ენებზე.⁵⁶ არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ ფენაშია შემონახული იმ მოსახლეობის ენა, რომელიც სუბსტრატული გამოდგა ხეთურისათვის და შეიძლება ხათურისთვისაც⁵⁷. თუ მივიღებთ მხედველობაში სულ უფრო დამაჯერებელ საბუთებს ქართველური და ეგეოსური ტიპის ენების სიახლოვის შესახებ⁵⁸, ერთი მხრივ, და არსებულ თანხვედრებს ხათურ და ქართველურ ენებს შორის⁵⁹, მეორე მხრივ, ასევე, მცირეაზიულ-ქართველურ და ეგეოსურ-ქართველურ

ტომონიმიკურ პარალელებს⁶⁰, უსაფუძვლო არ უნდა ჩანდეს ქართველური ენების გამოყენება ან ანატოლიური ენების სუბსტრატული ფენების და, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აზიის უძველესი მოსახლეობის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას დასასრულ, გვინდა შევეხოთ ქართველური ტომების წინასაცხოვრისის საკითხს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში (და არამარტო უკანასკნელ ხანებში) რიგი მეცნიერები ვერ ხედავენ წინარე-ქართველურ ტომებს ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის განმავლობაში. დასავლეთ საქართველო, მათი აზრით, დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღური ტომების წინაპრებით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც მტკვარ-არეზის კულტურის არეალში შედიოდა, — ხურიტებით ან წინარე-ინდოევროპული ტომებით. თუ გავითვალისწინებთ მტკვარ-არეზის კულტურის ერთგვაროვან ხასიათს მისი გავრცელების მთელ ფართობზე, რაც აქ მოსახლე ტომების ეთნიკურ სიახლოვეს უნდა მოწმობდეს, გაუმართლებელი იქნებოდა (ლინგვისტური მონაცემების შუქზე) წინარე-ქართველური ტომების თანაცხოვრების დაშვება ამ კულტურის წიაღში, ხურიტებთან ან წინარე-ინდოევროპულ ტომებთან ერთად. ამასთანავე, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული, მტკვარ-არეზის კულტურის ჩამოყალიბების ხანა, როგორც ჩანს, ხასიათდებოდა კულტურების დიფერენცირებით, და არა ინტეგრირებით, ყოველ შემთხვევაში, ძველი აღმოსავლეთის ჩრდილოეთ პერიფერიისათვის⁶¹.

თუ ქართველური ტომების გამოვლენა ამ ხანის ამიერკავკასიაში შეუძლებელია, ისინი პირველ რიგში, ალბათ, მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ*, სადაც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ და დღესაც მოსახლეობენ მის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში. გ. მელიქიშვილის და თ. მიქელაძის შეხედულებით, არ არის გამორიცხული, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს ქალაქ ხატუსას მახლობლად ცხოვრობდა ქართველურენოვანი (როგორც ჩანს, სვანური) ტომი⁶².

პიბოთეზის სახით ცენტრალურ და ჩრდილოეთ ანატოლიის წინახააზურ ტომებს თუ განვიხილავთ, როგორც წინარე-ქართველურებს (და მათ მონათესაეებს), იქნება ცდუნება, ქართველური ფუძე-ენის დაშლა მივუსადაგოთ ანატოლიაში მაიკოპის კულტურის ტომების ნაგარაუდევ შემოჭრას; ახალმოსახლეების შერწყმა ადგილობრივ, ქართველურენოვან მოსახლეობასთან გამოიწვევდა ახალი, შერეული ენების წარმოქმნას: ხათურის (პროტოხეთურის), რომელმაც შეინარჩუნა წინარე-აფხაზურ-ადიღური სტრუქტურა, სვანურის — ქართველური ენის, რომელშიც მნიშვნელოვანია აფხაზურ-ადიღური ელემენტების მინარევი და სხვა საშუალოდ ფორმებისა (შესაძლოა ქაშქური ენების**). გამოცალკეებულ ქართულ-ზანურ ერთობას ეს მოვლენები ნაკლებად უნდა შეეხებოდა (იგი, შესაძლოა, კიდევ უფრო დასავლეთით მდებარეობდა), მან, თავის მხრივ, განიცადა ინდოევროპული ენების შემდგომი გავლენა.

რაც შეეხება ინდოევროპულ-ანატოლიურ ენებს, მათმა ფონეტიკამ, ლექსიკამ და მორფოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ხათურისა და, შესაძლოა, ქართველური ენების ზეგავლენის შედეგად. ვინაიდან ინდოევროპული ხეთების სოციალური და კულტურული განვითარების დონე ხათებთან შედარებით უფრო დაბალი იყო, რომლებიც ხეთებისათვის (ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურ ანატოლიაში მაინც) უკვე ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, ხეთებმა მათ-

* ჩვენი შეხედულებით, თითქოს უნდა შეიმჩნეოდეს გარკვეული მემკვიდრეობითი კავშირი ჩრდილოეთ და ცენტრალური ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურებსა და საქართველოში გავრცელებულ გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის. მომავალში შეეცდებით ამ საკითხს კონკრეტულად შევეხოთ.

** ქაშქების ქვეყნისა და ხათურის ხანის ანატოლიის გეოგრაფიულ სახელწოდებებს შორის მსგავსება ეგების შესაძლოა გამოწვეული იყოს წინახათური მოსახლეობის მემკვიდრეობითაც.

გან ისესხეს სოციალური ინსტიტუტები და შეითვისეს უფრო რთული რელიგიური შეხედულებები⁶⁸. სწორედ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას ხეთური სახელმწიფოების რიობის ძლიერი ხათური სათავეები.

არქეოლოგიის კათედრა

შენიშვნები

¹ ქ. გაე თ ა რ ა ძ ე. „სამეფო“ აკლამების სოციოლოგიური ინტერპრეტაციისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VIII (იბეჭდება).

² მაგ.: M. Gimbutas. Neolithic and Chalcolithic Cultures in Eastern Europe. „Chronologies in Old World Archaeology“, Edited by R. W. Ehrich Chicago, 1965, გვ. 486—487; S. Piggott. Heads and Hoofs. „Antiquity“, XXXVI, 1962, გვ. 118; M. J. Mellink. The Royal Tombs at Alaca Hüyük and the Aegean World. „The Aegean and the Near East“. New York, 1956, გვ. 46, 55; E. Akurgal. The Art of the Hittites. New York, 1962, გვ. 22; K. R. Maxwell-Hyslop. Western Asiatic Jewellery c. 3000-612 B. C. London, 1971, გვ. 46; F. Hančar. Alaja Hüyük, Wiener Beiträge zur Kunst- und Kulturgeschichte Asiens, Band XII, Wien, 1938, გვ. 5—36; A. A. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965, გვ. 137—138; Я. А. Федоров. Место „майкопцев“ в этнической истории Западного Кавказа, Вестник Московского университета, история, 1975, № 5, გვ. 74—75; ი. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბილისი, 1976, გვ. 221—228.

წერილი უკვე გადაცემული გვექონდა დასაბეჭდად, როდესაც გამოქვეყნდა მ. ანდრეევას წერილი, სადაც მიიკობისა და ამუქ F-გავრას კულტურული კომპლექსების მსგავსების საფუძველზე (განსაკუთრებით კერამიკული მასლის მხრივ), მიიკობის კულტურის ჩამოყალიბება, ისევე როგორც რ. მუხნაიევის ნაშრომში (P. M. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века. Неолит, энеолит, ранняя бронза. Москва, 1975, გვ. 376), წინა აზიური მოსახლეობის გავრელების ჩრდილოეთ კავკასიაში შედგენით არის ახსნილი (M. B. Андреева. К вопросу о южных связях майкопской культуры. „Советская археология“, 1977, № 1, გვ. 56). მაგრამ წერილში აღნიშნული კერამიკა არც ამუქისა და არც გავრას კულტურაში არ არის ადგილობრივი წარმომავლობისა. ამუქის F ფაზა მკვეთრად განსხვავდება წინამდებარე ფენებისაგან (R. J. Braidwood L. S. Braidwood. Excavations in the Plain of Antioch, I. The University of Chicago, Oriental Institute Publications, vol. LXI. Chicago, 1960, გვ. 513; M. B. Андреева დასახ. ნაშრ., გვ. 50), მასში გავრა XIA დამახასიათებელი ჭურჭელი ვრცელდება R. J. Braidwood, L. S. Braidwood. დასახ. ნაშრ., გვ. 513—514, აღწ. A. L. Perkins. The Comparative Archaeology of Early Mesopotamia. Studies in Ancient Oriental Civilization. No 25 Chicago, 1957, გვ. 162—170). საყურადღებოა, რომ ასევე მკვეთრი და სრული განსხვავებაა გავრა XII და XIA ფენების კერამიკას შორისაც A. L. Perkins. დასახ. ნაშრ., გვ. 166—167 E. Porada. The Relative Chronology of Mesopotamia, Part I; „Chronologies in Old World Archaeology, Edited by R. W. Ehrich, Chicago, 1965, გვ. 146); გავრა XI A ნაწარმი შესაძინევედ გამოირჩევა თავისი დაბალხარისხოვნებით წინამორბედთან შედარებით (A. L. Perkins. დასახ. ნაშრ., გვ. 166). ა. თობლერის მიხედვით, გავრა XI A, კულტურა ახალი მოსახლეობის კუთვნილებაა (A. J. Tobler. Excavations at Tepe Gawra, Philadelphia, 1950, გვ. 24—26).

როგორც ჩანს, მ. ანდრეევა, ძვ. წ. III ათასწლეულის წინა აზიაში მიიკობის კულტურის კერამიკის ანალოგიების სრული უქონლობის გამო (იხ. M. B. Андреева. დასახ. ნაშრ., ნახ. 3—4) ცდილობს მიიკობის კულტურის დათარიღებას, ამუქ F-გავრას მსგავსად, ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით (იქვე, გვ. 43, 55). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ანატოლია, სხვა ნიშნებთან ერთად, კერამიკაშიც ავლენს გარკვეულ მსგავსებას მიიკობის კულტურასთან. იხ. მაგ. R. O. Arik. Les fouilles d'Alaca Hüyük. Rapport préliminaire sur les travaux en 1935. Türk Tarih Kurumu Yayınlarından V Ser. Nr. 1. Ankara, 1937, 287, Taf. 11; 289, Taf. 11; H. Z. Koşay. Ausgrabungen von Alaca Hüyük. Ein Vorbericht über die im Auftrage der türkischen Geschichtskommission im Sommer 1936 durchgeführten Forschungen und Entdeckungen. Ankara, 1944, Ta. LXXI, Ta. CIV; H. Z. Koşay. Les fouilles d'Alaca Hüyük. Entreprises par la société d'histoire Tur-

que. Rapport preliminaire sur les travaux en 1937—1939. Ankara, 1951, Pl. CXXXVIII, H. 129, 130. Pl. CL, Fig. 2, D—72; Pl. XCIX, Fig. 1, AI/b 207; R. O. Arık. Ein neuer Hethitischer Fundort im Süden von Ankara. „Archäologischer Anzeiger“ 1939, № 54, 1939, № 220; K. Bittel. Fikirtepe Kazısı. V. Türk Tarih Kongresi (1956). Ankara, 1960, Res. 6; Keban Project 1969 Activities, Keban Project Publications, Series I—No 2. Ankara, 1971, № 3, 58, 6. შესახდლა, ატრებრინჯაოს ხანას განეუთვნებოდეს აგრეთვე, ანკარას მახლობლად ნაპოვნი, ანალოგიური ფორმის რვა ცალი თიხის ჭურჭელიც (იხ. T. Özgüç, M. Akok. Türk Tarih Kurumu adına Anıt-Kabir alanında yapılan tümümlis kazıları. „Belleten“, Cilt XI, Sayı 41, 1947, Lev. IX, Res. 14—16.). საყურადღებოა, რომ ამ სახეობის ჭურჭელი, ანატოლიაში ძირითადად სამარხებში გვხვდება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ალავა ჰუიუქის „სამეფო“ აკლამებში მოპოვებულ კერამიკა ზოგიერთ შემთხვევაში მეტ საერთოს უნდა პოულობდეს მაიკოპის რიდი ყორღანის კერამიკასთან, ვიდრე მტკვარ-არეზის კულტურის კერამიკასთან, რომელთანაც მისი მიმართების საკითხი, ვფიქრობთ, სპეციალურ შესწავლას უნდა იმსახურებდეს.

რაც შეეხება რ. მუნჩაევის ჰიპოთეზას მესობოტამიური მოსახლეობის ჯგუფების ჩრდილოეთ კავკასიაში შედრევის შედეგად მაიკოპის კულტურის ძეგლებში მესობოტამიური კომპონენტის გაჩენის შესახებ (P. M. Мунчаев. დასახ. ნაშრ., გვ. 376), ე. მასონი, რ. მუნჩაევის, წიგნზე დაწერილ რეცენზიაში (B. M. Массон—P. M. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века. „Вопросы истории“, 1977, № 8, გვ. 161—164), რომელიც წინამდებარე წიგნის სტამბაში გადაცემის წინ გამოქვეყნდა, ძნელად დასაჯერებლად მიიჩნევს მას და დასძენს: „Парадное оружие и ценные украшения шумерского типа скорее всего могли служить своего рода эталоном состоятельности, в связи с чем и отмечается их широкое распространение на Ближнем Востоке в III тыс. до н. э. как в центрах древних цивилизаций, так и на обширной периферии от Гисара в северо-восточном Иране до Аладжа-Гуяка в Малой Азии. Нам думается, что месопотамские элементы в майкопских комплексах следует рассматривать именно в таком плане, у делив основное внимание малоазийским связям Майкопа (ხაზი ჩემბა—გაქ.), откуда могла поступать и руда для значительной массы металлических изделий“ (გვ. 164). იხ. აგრეთვე ე. კუშნაროვის და რ. ჯაფარიძის რეცენზია („Советская археология“, 1978, № 1, გვ. 277).

³ А. Я. Брюсов. Археологические данные об экономике доклассового общества в неолитическую эпоху. „Советская археология“, XXV, 1956, გვ. 61. შტრ. Я. А. Федоров. Топонимика Западного Кавказа и некоторые вопросы его этнической истории. „Из истории Карачаево-Черкесии“. Труды Карачаево-Черкесского научно-исследовательского института экономики, истории, языка и литературы, выпуск VII, серия историческая. Черкесск, 1974, გვ. 277; G. Childe. The Aryans. London, 1926, გვ. 194.

⁴ Г. П. Григорьев. об. Э. С. Шарафутдинова. Симпозиум по вопросам обмена и торговли в древних обществах. Краткие сообщения, 138, 1973 год. Торговля и обмен в древности. 1974, გვ. 107.

⁵ А. М. Беленицкий. об. Э. С. Шарафутдинова. დასახ. ნაშრ., გვ. 104.

⁶ Н. Б. Янковская. Обмен и торговля в странах Передней Азии по клинописным источникам (III—I тыс. до н. э.). Обмен и торговля в древних обществах. Тезисы докладов. Ленинград, 1972, გვ. 17. Н. Я. Мерперт. Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья. Москва, 1974, გვ. 122.

⁷ З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. Москва, 1964, გვ. 119—127; Э. С. Шакрыл. К вопросу об этногенезе абхазо-адыгских народов. Учёные записки Адыгейского научно-исследовательского института языка, литературы и истории, т. IV, История и этнография, Краснодар, 1965, გვ. 204—246; Ш. Д. Инал-ипа. К вопросу о древних этно-культурных связях Западного Кавказа и Малой Азии. IX Международный конгресс антропологических и этнографических наук (Чикаго, сентябрь, 1973). Москва, 1973; Я. А. Федоров. Этнокультурные связи Западного Кавказа и Передней Азии в эпоху позднего неолита. Вестник Московского университета, история, 1973, № 5, გვ. 52—63; მახვი. Место „майкопцев“..., გვ. 66—82.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია აგრეთვე ჩრდილო კავკასიური ნართების ეპოსის ცალკეული ეპიზოდების (მაგ. ეპოსის რთავარი გმირის დაბადება) კავშირი ძველ მცირე აზიულ მითებთან, კერძოდ, ფრიგიულთან (Н. С. Трубецкой. Кавказские параллели к фригийскому мифу о рождении из камня (земли). „Этнографическое обозрение“, 1908, № 3. Москва, 1909, გვ. 88—92). ნართების ეპოსის აღნიშნულ და, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა ეპიზოდ-

საც, ვფიქრობთ, წინაფრიგიული ხანის მცირე აზიის მიწებში უფრო ახლოს მდგომი პარალელები მოეძებნება. შტრ. მაგ. ხეთური მიწი „სიმღერა ულიუქუმზე“ (Поэзия и проза Древнего Востока. Москва, 1973, გვ. 234—247), რომელიც ხურიტული წარმომავლობის მქონედ არის მიჩნეული (O. R. Gurney. The Hittites. Harmondsworth, 1964, გვ. 190—194), როგორც ჩანს, ნართების ებოსის ზოგიერთი ციკლის გენეზისის საკითხების კვლევას, აუცილებელია უძველესი წინა აზიური მითოლოგიური შეხედულებების უფრო ფართო გათვალისწინება. შევეცდებით, ეს საკითხი მომავალში უფრო ვრცლად გავაშუქოთ.

⁸ A. A. Иессен. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. „Известия Государственной академии истории материальной культуры имени Н. Я. Марра“, выпуск 120, 1935, გვ. 87.

⁹ A. A. Иессен. К хронологии „больших кубанских курганов“, „Советская археология“, XII, 1950, გვ. 196.

¹⁰ Е. Н. Чёрных. История древнейшей металлургии Восточной Европы. Москва, 1966, გვ. 44.

¹¹ იქვე, გვ. 45.

¹² A. A. Иессен. К хронологии..., გვ. 191.

¹³ Е. Н. Черных. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

¹⁴ იქვე, გვ. 90.

¹⁵ წერილი უკვე გადაცემული გვქონდა, როდესაც გამოვიდა შ. ინალი-ფას წიგნი (Ш. Д. Инал-Ипа. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976). ავტორი, მაიკოპის დიდი ყორღანის ლითონის იმპორტული ხასიათის გამო, ძნელად დასაჯერებლად მიიჩნევს მაიკოპის კულტურის მატარებელი მოსახლეობის მცირე აზიაში მოხვედრის შესაძლებლობას (გვ. 71). ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული განმარტავს ჩვენს შეხედულებას ამ საკითხზე.

¹⁶ H. Z. Köşay. Ausgrabungen von Alaca Höyük. გვ. 80.

¹⁷ Отчетъ императорской археологической комисси за 1897 годъ. Санкт-Петербургъ, 1900, გვ. 3.

¹⁸ T. Özgüç, M. Akok. Horoztepe. An Early Bronze Age Settlement and Cemetery. Ankara, 1958, გვ. 59; J. Mellaart. Anatolia c. 4000—2300 B. C. Cambridge, 1965, გვ. 32; S. Lloyd. Early Highland Peoples of Anatolia. London, 1967, გვ. 28.

¹⁹ Ch. Burney, D. M. Lang. The Peoples of the Hills, Ancient Ararat and Caucasus. London, 1971, გვ. 82. საყურადღებოა, რომ სპილენძის მადნით მდიდარ ჩრდილოეთ ანატოლიის სწორედ ამ მხარეში, თოკათის ვილაიეთსა და მის ჩრდილოეთით (ისტორიულ დასავლეთ ჭანეთში) მდებარე სპილენძის საბადოები გამოიყენებოდა ჯერ კიდევ წინახეთურ ხანაში (T. A. Wertime. The Beginnings of Metallurgy. „Science“, № 182, 1973, გვ. 875—886; Prentiss S. De Jesus. Prehistoric Metallurgy—Another Look. „Anatolia“, XVI, 1972, გვ. 159; იხ. J. Yakar. Hittite Involvement in Western Anatolia. „Anatolian Studies“, vol. XXVI, 1976, გვ. 121).

²⁰ საყურადღებოა, რომ გ. აკურგალის შეხედულებით, ჰოროზთეფეს ზოგიერთი მონაპოვარი ალაჯა ჰუთუქში მოპოვებულ მასალებთან შედარებით ბევრად უფრო ახლო დგას კავკასიურთან (E. Akurgal. The Art of the Hittites, გვ. 22).

²¹ M. J. Mellink. დასახ. ნაშრ., გვ. 55. ალაჯას აკლამებს მაიკოპის ყორღანებისაგან განსხვავებს და ცენტრალური ანატოლიის სხვა სამარხებთან აახლოებს მხოლოდ დასახლების ზოგნით მდებარეობა და ყორღანების უქონლობა, რაც, შესაძლოა, სხვადასხვა კულტურული ტრადიციის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ მათ „სინთეტურ“ ხასიათზე მიგვანიშნებდეს (მსგავსი შემთხვევები არ არის იზვიათი იხ. მაგ. Л. Т. Яблонский. Типы погребального обряда на мусульманских городских некрополях Золотой Орды. Вестник Московского университета, история, 1975, № 2, გვ. 81).

²² A. A. Формозов. Каменный век..., გვ. 65.

²³ რ. მუნჩაევს შესაძლებლად მიანინა მაიკოპის კულტურის ყველაზე უფრო ადრეული ძეგლების დათარიღება ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით (P. M. Мунчаев. დასახ. ნაშრ., გვ. 335); ვ. მარკოვინი თვლის, რომ ძვ. წ. 2500 წლისათვის ადგილი აქვს უკვე მაიკოპის კულტურის აყვავების ხანას (В. И. Марковин. Дольменная культура и вопросы раннего этногенеза абхазо-адыгов. Нальчик, 1974, გვ. 41); ი. ფილიტოვი ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს მიიჩნევს მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების ხანად (Я. А. Федоров. Место „майкопцев“..., გვ. 71); ასევე უნდა ფიქრობდეს თ. სულიმიბსკიც, რომლის ვარაუდით, მაიკოპ-

სი კულტურა, მტკვარ-არეზის კულტურის მატარებელი მოსახლეობის გავრცელების შედეგად უნდა იყოს ჩამოყალიბებული (T. Sulimirski. Prehistoric Russia. London, 1970).

²⁴ თუმცა ქარუმ კანეშის დეკორატიულ ნაწარმთან დიდი სტილისტური მსგავსებაა გამო ე. აკურგალი უპირატესობას ანიჭებს ძვ. წ. (2300—2100 წ. წ.). E. Akurgal. The Art of the Hittites, გვ. 22—24). იგი, როგორც ჩანს, იზიარებს თ. იოზგიუჩის შეხედულებას, რომ ალაჯა ჰუიუქისა და ჰოროზ-თეფეს მცირე ზომის ქანდაკებები ძვ. წ. 2200 წ. ადრეულად არ უნდა ითარღებოდნენ (T. Özgüç. The Statuette from Horoztepe. „Anatolia“, III, 1958, გვ. 56). უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ნაშრომში დ. ისთონი აღნიშნავს რა, ალაჯა ჰუიუქის აკლამების სტრატეგრაფიასა და ქრონოლოგიაში სრული სიცხადის უქონლობას, დასაშვებად მიიჩნევს მათ დათარიღებას ტროა II. 6—IV პერიოდით, რაც მისი შეხედულებით უნდა შეესაბამებოდნეს ძვ. წ. 2700—2150 წ. წ.) D. F. Easton. Towards a Chronology for the Anatolian Early Bronze Age. „Anatolian Studies“, vol. XXVI, 1976, გვ. 161—163).

²⁵ A. A. Иессен. Майкопская культура и ее датировка. Тезисы докладов на заседаниях, посвященных итогам полевых исследований 1961 г., Москва, 1962, გვ. 21. გასათვალისწინებელია ალაჯა ჰუიუქის იარაღების რამდენადმე ნაკლებ არქაული იერი მიეკობურთან შედარებით (A. A. Иессен. К хронологии..., გვ. 190).

²⁶ რაც სულაც არ უნდა გამორიცხავდეს საკუთრივ მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების ვარაუდს, სამხრეთიდან მომდინარე ბიძგის შედეგად (იხ. Я. А. Федоров. Место „майкопцев“..., გვ. 70—72).

²⁷ მათი სავარაუდო შიგარაცის გზა, ისევე როგორც, ადრებრინჯაოს ხანაში მცირეზოიულ-კავკასიური ერთიანი ეთნო-კულტურული რეგიონის არსებობის საკითხი, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესაბამისი არქეოლოგიური ფუნების შემდგომ გამოკვლევამდე გაურკვეველია. აღნიშნავთ მსოფლიო, რომ ჩ. ბარნესი, „სამეფო“ აკლამათა კულტურის მატარებელი ანატოლიაში გადასახლება მისაღებად მოიხილა, როგორც ამიერკავკასიის გავლით (საფიქრებელია იმ გზით, რომელიც ალბათ უფრო გვიან, ზოგიერთი ავტორის მისხედვით, კიმერიელებს უნდა გაველოთ—გ. ქ.), ასევე, შავი ზღვის ვადალასეთი (Ch. Burney, D. M. Lang. დასახ. ნაშრ., გვ. 82). როგორც ჩანს, აღნიშნულ ხანაში საზღვაო გზით ხალხთა გადასახლება გამონაკლის შემთხვევას არ უნდა წარმოადგენდეს (იხ. В. И. Марковина. Дольменная культура..., გვ. 42—44).

²⁸ M. Senyürek. A Short Review of the Anthropology of the Ancient Inhabitants of Anatolia, from the Chalcolithic Age to the Hittite Empire, იხ. S. Lloyd. Early Anatolia. Harmondsworth, 1956, გვ. 207—208; T. Özgüç. Die Bestattungsgebräuche im vorgeschichtlichen Anatolien. Ankara, 1948, გვ. 127. შფ. 364; J. Mellaart. The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia. Beirut, 1966, გვ. 155; მისივე. Anatolia c. 4000—2300 B. C. გვ. 26.

²⁹ Г. Ф. Дебен. Палеоантропология СССР. Труды Института им. Н. Н. Миклухо-Маклая, новая серия, т. IV, Москва, 1948, გვ. 104, 108, 175, 275—276; А. Г. Гаджиев. Об антропологическом типе древнего населения Дагестана и Северного Кавказа. „Древности Дагестана“, Махачкала, 1974, გვ. 54; საინტერესოა, რომ ლ. სოლოვიოვი ბრაქიორანული ელემენტის გაჩენას კატაკომბური კულტურის წიაღში ხსნის დასავლეთ კავკასიური კულტურის მატარებელთა ექსპანსიით (Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы—стоянки Воронцовской пещеры. аფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები XXIX, სოხუმი, 1958, გვ. 172).

³⁰ В. М. Массон. Становление раннеклассового общества на Древнем Востоке, „Вопросы истории“, 1967, № 5, გვ. 92.

³¹ ა. ბერნშტამის შეხედულებით, რატულურ ღრობაზე ხარის—გაბატონებული გვარის ტოტემის, ხორცის უბად მიზნად ისახვდა მამამთავრის წოდების მინიჭებას (А. Н. Бернштам. Изображение быка в находках из Нойн-Улинских курганов. Проблемы истории докапиталистических обществ, 1935, № 5—6, გვ. 129—150). აფხაზეთში არცთუ შორეულ წარსულში მიღებული იყო საფლავზე ხარის შეწირვა, რომლის რქებსაც წინასწარ ვერცხლით ამკობდნენ (Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Сухуми. 1965, გვ. 542), საეკლესიო, რომ ალაჯა ჰუიუქის აკლამებში ნაპოვნ ბრინჯაოს სარიტუალო დანიშნულების ხარებს რქები ვერცხლით აქვთ შემკული (H. Z. Koşay. Les fouilles d'Alaca Höyük. Pl. CXXX. Fig. 1, H. 93; Pl. CXCII, L. 27).

³² G. Clark, S. Piggott. Prehistoric Societies. London, 1965, გვ. 114; M. J.

Mellink. დასახ. ნაშრ., გვ. 55—57; S. Piggott. Ancient Europe. Edinburgh, 1965, გვ. 81; მისივე Heads and Hoofs, გვ. 114; Ch. Burney, D. M. Lang. დასახ. ნაშრ., გვ. 82.

³³ А. А. Формозов. Каменный век... გვ. 90, მისივე. Каменноостская плещера — многослойная стоянка в Прикубанье. Материалы и исследования по археологии СССР, № 173, Палеолит и неолит СССР, т. 6, Ленинград, 1971, გვ. 111.

³⁴ А. А. Формозов. Каменный век..., გვ. 89.

³⁵ აღიშარი კაპადოკიურ ფირფიტებში იწოდება Amkuwa-დ (იგივე Akkuwa, A-ku-wa, ბოლანჯიოს წარწერებში Ankuwa-დ), იხ. I. G. Gelb. Inscriptions from Alishar and Vicinity. Oriental Institute Publications, vol XXXVII. The University of Chicago, 1935, გვ. 9—10), მას პარალელები ეძებნება აფხაზურ ტომონიმა შორის—აყვა (ქ. სონუმის აფხაზური სახელწოდება), ანსუა (ანსუვა).

³⁶ Н. Н. von der Osten. The Alishar Hüyük. Seasons of 1930—1932, Part III. Oriental Institute Publications, vol. XXX. The University of Chicago, 1937, გვ. 302. დამახასიათებელია, რომ აღრებრინჯაოს ხანის ყველა სხვა პერიოდში აქ კარბობს წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები (იქვე, გვ. 301).

³⁷ აღსანიშნავია, რომ ნათებს შთამომავლებად თუ მონათესავეებად მიჩნულ ქაში ტომების ძირითად საქმიანობას ძვ. წ. II ათასწლეულში აგრეთვე მესაქონლეობა წარმოადგენდა. Г. Г. Гиоргадзе. Из истории племен, проживающих к северу-востоку от Хеттского государства (Кашки). Автореферат. Тбилиси, 1956).

³⁸ მეგ. H. Z. Koşay. Ausgrabungen... გვ. 151, 177, 180; M. J. Mellink. დასახ. ნაშრ., გვ. 55—56; M. Gimbutas. The Indo-Europeans: Archaeological Problems. „American Anthropologist“, vol. 65, № 4, 1963, გვ. 821—826; S. Piggott. Heads and Hoofs, გვ. 115; მისივე. Ancient Europe. გვ. 81; Ch. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 82; S. Piggott. იხ. S. Lloyd. Early Highland Peoples, გვ. 7—8.

³⁹ И. М. Дунаевская. О структурном сходстве хеттского языка с языками северо-западного Кавказа. Исследования по истории культуры народов Востока, Москва-Ленинград, 1960, გვ. 73—77.

⁴⁰ И. М. Дьяконов. Языки древней Передней Азии, Москва, 1967, გვ. 173.

⁴¹ И. М. Дьяконов. Предыстория армянского народа. Ереван, 1968, გვ. 11.

⁴² И. М. Дьяконов. Языки..., გვ. 176.

⁴³ E. Akurgal. Ancient Civilizations and Ruins of Turkey. Istanbul, 1970, გვ. 6; Ch. Burney, D. M. Lang. დასახ. ნაშრ., გვ. 50. J. D. Muhly. The Hittites and the Aegean World. „Expedition“, vol. 16, № 2, 1974, გვ. 2.

⁴⁴ ი. ფიოდოროვი უკვე საკუთრივ აფხაზურ-ადიღური ერთობის დაშლის შედეგად აღმოცენებული პროტო-ადიღური ეთნოსის კუთვნილებად მიიჩნევს მაიკოპის კულტურას (Я. А. Федоров. Место „майкопцев“..., გვ. 74).

⁴⁵ В. И. Марковни. Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), Москва, 1960, გვ. 116, 147; Я. А. Федоров. О дольменной культуре Западного Кавказа и ее носителях. Вестник Московского университета, история, 1974, № 4, გვ. 78—94.

⁴⁶ „მაიკოპელთა“ დაკრძალვის ტრადიციები თავს იჩენენ ახ. წ. XIV—XV სს. ადიღ-ჩერქეზთა კუთვნილ ბელორჩენისკის ყორღანებში (იხ. Я. А. Федоров. Место „майкопцев“..., გვ. 80—81).

⁴⁷ გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მსხლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, 1965, გვ. 160—166.

⁴⁸ И. М. Дьяконов. Некоторые лингвистические данные к проблеме связей населения Восточного Кавказа и Закавказья с Древним Востоком в III-I тыс. до н. э. Материалы семинара по проблеме происхождения и формирования азербайджанского народа. XII. Баку, 1966, გვ. 7—9. არქეოლოგთა დიდი ნაწალი მტკვარ-არგვის აღრებრინჯაოს ხანის კულტურას აგრეთვე ხურიტულად მიიჩნევს (იხ. J. Mellaart. Bronze Age and Earlier Languages of the Near East: an Archaeological View. Archaeological Theory and Practice, edited by D. E. Strong. London, New York, 1973. გვ. 167).

⁴⁹ И. М. Дьяконов. История Мидии. Москва-Ленинград, 1956, გვ. 128; იხ. მ. ხადაშელი. ელამი და ზაგროსის მიიანეთის ტომთა სხვა გაერთიანებანი. „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“. თბილისი, 1971, გვ. 471.

⁵⁰ მაგ. В. И. Георгиев. Индоевропейское языкознание сегодня. „Вопросы языкознания“, 1975, № 5, გვ. 9. ხოლო ზოგ ავტორს ანატოლიური ენების მატარებელი მოსახლეობის მცირე აზიის ბალკანეთის გზით ნავარდუღევი იმიგრაციის თარიღი, უკვე ძვ. წწ. III საუკუნე წლებლის დასაწყისისათვის აქვს ვადაწული (მაგ. J. G. Macqueen. The Hittites and their Contemporaries in Asia Minor. London, 1975).

⁵¹ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Проблема определения первоначальной территории обитания и путей миграции носителей диалектов общеиндоевропейского языка. Конференция по сравнительно-исторической грамматике индоевропейских языков. Москва, 1972, გვ. 21. ამ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება ტროა II კულტურის ეთნიკური კუთვნილება, რომელიც ჯ. მელართის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთიდან ვრცელდება ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით (J. Mellaart. Anatolia and Balkans. „Antiquity“, XXXIV, 1960, გვ. 276; მისივე. Anatolia c. 4000—2300 B. C. გვ. 49). თუმცა ჯ. მელართის ამ შეხედულებას ზოგიერთი მეცნიერი არ იზიარებს (მაგ. მ. მელონი, დ. ფრენჩი). დ. ისთონი, ჯ. მელართისაგან განსხვავებით, ტროა II კულტურას ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულად თვლის და, როგორც ჩანს, შესაძლებლად მიიჩნევს, ინდო-ევროპულ ენაზე თუ ენებზე მოლაპარაკე ხალხის ანატოლიაში გამოჩენა ადრებრინჯაოს ხანის II პერიოდის დასასრულს (დაახ. ძვ. წ. 2700 წ.), ეგეოსის ზღვის მხრიდან ახალი მოსახლეობის შემოჭრის მიაწეროს (D. F. Easton, დასახ. ნაშრ., გვ. 166—167).

⁵² იხ. გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 157—158; J. Mellaart. The Chalcolithic... გვ. 99—196.

⁵³ გ. მელიქიშვილს ადრებრინჯაოს დასავლურ-ანატოლიური კულტურის მატარებლად არა მარტო აღწერილი ლუვილები, არამედ, საერთოდ ხეთურ-ლუვიური ტომები მიაჩნია (გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 157). როდის უნდა ვრცელდებოდნენ ინდოევროპელები დასავლეთ ანატოლიაში, ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ, როგორც ჩანს, ადრებრინჯაოს ხანის გარკვეულ ეტაპზე, ხეთურ-ლუვიურ ტომებს წინ უსწრებდა არაინდოევროპული მოსახლეობა. საყურადღებოა, რომ თუ ჯ. მელართი წინათ, ს/ს და ნ/დ სფუქსიან ტოპონიმებს ეცილობდა ლუვიურად მიიჩნევდა და მათი საშუალებით ადგენდა ლუვიელთა გავრცელების არეალს (J. Mellaart. End of Early Bronze Age in Anatolia and Aegean, „American Journal of Archaeology“, 1958, vol. 62, № 1, გვ. 21—32, რუკა 3. ამ ტოპონიმთა პარალელების შესახებ ქართველურ ენობრივ სამუშაოში იხ. რ. გორდუნიანი. „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები. თბილისი, 1970 გვ. 225—228), ამჟამად იზიარებს ფ. შახერმეირის ადრე გამოთქმულ შეხედულებას მათ არაინდოევროპულობაზე (F. Schachermeyr. Die ältesten Kulturen Griechenlands. Stuttgart, 1955, გვ. 239—263. ეს შეხედულება ფ. შახერმეირის არც შემდეგ შეუცვლია, იხ. მისივე, Die ägäische Frühzeit. Forschungsbericht über die Ausgrabungen im letzten Jahrzehnt und über ihre Ergebnisse für unser Geschichtsbild, 1. Band, Die vormykischen Perioden des griechischen Festlandes und der Kykladen. Wien, 1976) და უკავშირებს წინაინდოევროპულ სუბსტრატს (J. Mellaart. Bronze Age..., გვ. 168—170; მისივე, The Neolithic of the Near East. London, 1975, გვ. 281—282).

ჯ. მელართის თვალსაზრისის ტრანსფორმირება, როგორც ჩანს, განაპირობა აგრეთვე ე. ფურნეს ნაშრომმა, Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen. Den Haag—Paris, 1972, რომელშიც ნაჩვენებია წინაბერძნული (ეგეოსური) ენის აშკარად არაინდოევროპული ხასიათი (გვ. 399).

⁵⁴ რაც შეეხება ადრებრინჯაოს ხანის მცირე აზიისა და მიაკოპის კულტურებს შორის შენიშნულ მსგავსებას, იგი ვერ გამოდგება ადრევე არსებული მცირეაზიულ—კავკასიური ეთნოლინგვისტური ერთობის დასაბუთებლად (იხ. Я. А. Федоров. Место „майкопцев“..., გვ. 81), ვინაიდან ალაჯა ჰუიუქის „სამეფო“ აკლამების წინამორბედი ხანის ცენტრალურანატოლიური კულტურა არსებითი შეხების წერტილებს არ ავლენს დასავლეთ კავკასიის კულტურებთან. აღბანი, ნაწილობრივ გასათვალისწინებელია ხათური ენის მეტი სიანლოვეც ადიღურ ენებთან (განსაკუთრებით ზმნის პრეფიქსიანი სისტემების მხრივ), ფხაზურთან შედარებით (И. М. Дунаевская. დასახ. ნაშრ., გვ. 75). საინტერესოა, რომ უბიხური ენა, რომელიც ი. მესაროვის ზედმეტად გაბედული შეხედულების მიხედვით, ხათურის შთამომავალია (J. Meszaros. Die Phäky-Sprache. Chicago, 1934, გვ. 5), დასავლურკავკასიური ფუძემდის დაშლის შემდეგ ენობრივ ერთობას ქმნიდა ადიღურთან და უბიხისებრდებოდა წინაარტუხაზურს (М. А. Кумахов. Теория генеалогического древа и вопросы дифференциации западнокавказских языков. „Вопросы языкознания“, 1976, № 3, გვ. 47—57).

⁵⁵ И. М. Дьяконов. Языки... გვ. 169.



⁵⁶ იხ. რ. გორდეზიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 180—216,

⁵⁷ ამის სასარგებლოდ, გვიქრობთ, უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ წინაბერძნულ ენებში ეგეოსური ტოპონიმები გვხვდება, როგორც სამხრეთ და დასავლეთ ანატოლიაში, ასევე დასავლეთ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ანატოლიაში, და ეს, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ არ შეიძლება ახლო ნათესაობის ნიშნები ხათურსა და წინაბერძნულ ენებს შორის (იხ. J. Mellaart, Bronze Age... გვ. 168.).

⁵⁸ რ. გორდეზიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 217—252; P. В. Гордезиани. Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений. Всесоюзная конференция „Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Причерноморья“, Тбилиси, 1975.

⁵⁹ И. М. Дьяконов. Языки..., გვ. 175; А. М. Кондратьев, В. В. Шеворошкин. Когда молчат письма. Москва, 1970, გვ. 134.

⁶⁰ А. С. Хахановъ. Древнейшие предълы расселения грузинъ по Малой Азии, Тифлисъ, 1903, გვ. 25—29; P. В. Гордезиани. Эгейско-картвельские топонимические параллели. IV конференция по классической филологии (секция греческого и латинского языков). Тезисы докладов. Тбилиси, 1961, გვ. 18—19; რ. გორდეზიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 224—230. იხ. აგრეთვე Т. В. Гамкрелидзе. Неиндоевропейские элементы хеттского (неситского) языка. Автореферат. Тбилиси, 1956, გვ. 6.

⁶¹ შტრ. П. Н. Третьяков. Этногенетический процесс и археология, „Советская археология“, 1962, № 4, გვ. 11—12.

⁶² გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 180—182; თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები). თბილისი, 1974, გვ. 20.

⁶³ იხ. Т. В. Гамкрелидзе. დასახ. ნაშრ.; В. Г. Ардзинба. Хаттские истоки социальной организации древнехеттского общества. Автореферат. Москва, 1971. აღრებრინჯაოს ხანის ცენტრალურ ანატოლიაში თავისი დროისათვის განვითარებული რელიგიური შეხედულებების არსებობა, გამონათული „სამეფო“ აკლდამების დაკრძალვის წესსა და სამარხულ ინვენტარში, და ამავე დროს ხეთური რელიგიური მსოფლმხედველობის ხათური ხელშეკლები, რაც ხათების საკმაოდ განვითარებული რელიგიური წარმოდგენების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საბუთი უნდა იყოს „სამეფო“ აკლდამების კულტურის, ხათებისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ.

Г. Л. КAVTAPADZE

К ВОПРОСУ О ВЗАИМООТНОШЕНИИ АНАТОЛИИ И СЕВЕРО-ЗАПАДНОГО КАВКАЗА В РАННЕБРОНЗОВУЮ ЭПОХУ

Резюме

Характерной чертой культур раннебронзового века Центральной Анатолии и северо-западного Кавказа является появление „царских“ гробниц, возникновение которых должно указывать на существование процесса классообразования в среде этих культур.

Идентичность некоторых черт погребального обряда „царских“ гробниц культуры Аладжа Гуюка с захоронениями северных скотоводческих племен и их совершенно отличительный характер от предшествующих и одновременных могил Анатолии, а также значительное сходство погребального инвентаря данных гробниц с элементами культуры майкопских курганов дает основание предположить распространение носителей культуры „царских“ гробниц в Центральной Анатолии с северо-западного Кавказа.

Пришельцы, увеличив роль их главного промысла—скотоводства, и образовав новый господствующий слой, должны были способствовать дальнейшему экономическому и социальному расслоению местного общества.

Вслед за исследователями майкопской культуры, которые допускают возможность отождествления ее носителей с предками абхазо-адыгских племен, возникает возможность связать также и хаттское население Центральной Анатолии, язык которых обнаруживает определенные черты структурного и материального сходства с абхазо-адыгскими языками, с культурой „царских“ гробниц Аладжа Гююка, а появление хаттов в Центральной Анатолии—с предполагаемой миграцией с северо-западного Кавказа.

Возникает вопрос об этнической принадлежности населения прехаттской Центральной Анатолии. В связи с этим следует учесть тот неиндоевропейский слой в хеттском (неситском) языке, который не находит объяснений в хаттском. Не исключено, что именно в нем и сохранен язык того населения, который оказался субстратным для хеттского, а возможно и для хаттского. Учитывая малоазиатско-картвельские и эгейско-картвельские топонимические параллели и существующие схождения между хаттским и картвельскими языками, ставится вопрос о возможности пребывания картвельских племен в III тыс. до н. э. в Малой Азии.

G. KAVTARADZE

ON THE INTERRELATION OF CENTRAL ANATOLIA AND NORTH-WESTERN CAUCASUS IN THE EARLY BRONZE AGE

Summary

The characteristic feature of the Early Bronze Age cultures of central Anatolia and north-western Caucasus is the appearance of „royal“ tombs—that must be indicative of the existence of the class formation process within these cultures.

The identity of some features of the funereal rites of the Alaja Hüyük „royal“ tombs culture with the burials of the northern stock-breeding tribes and their total difference from preceding and contemporaneous burial grounds in Anatolia, as well as considerable similarity of the burial inventory of the tombs in question to the elements of the culture of Maikop burial mounds allows to assume the diffusion of the bearers of the „royal“ tomb culture in central Anatolia from north-western Caucasus.

The newcomers—expanding the role of stock-breeding, which was their main trade and forming a new ruling class—must have favoured further economic and social differentiation of the local society.

Following those investigators on Maikop culture that assume the possibility of identifying the bearers of this culture with the ancestors of Abkhazian-Adighe tribes, the possibility emerges of relating the Hatti population of central Anatolia—whose language displays definite features of structural and material similarity to the Abkhazian-Adighe languages—

with the culture of Alaja Hüyük's „royal“ tombs, and the appearance of the Hattians in central Anatolia with that of the supposed migration from north-western Caucasus.

The question arises as to the ethnic affinity of the central Anatolian pre-Hatti population. In this connection the non-Indo-European stratum in Hittite (Nessitic), which has no explanation in Hattic, should be considered. It is probable that the language of the population which appeared to be substrative for Hittite, and possibly for Hattic as well, was preserved in it. Considering Asia Minor-Kartvelian and Aegean-Kartvelian toponymic parallels and existing similarities in the Hattic and Kartvelian languages the probable residence of Kartvelian tribes in Asia Minor in the 3rd millennium B.C. is suggested.

ФОРТИФИКАЦИЯ ВАНСКОГО ГОРОДИЩА

Г. А. ЛОРДКИПАНИДZE

სიმღერის დასაწყისში შეინიშნება დაპირისპირება — პოეტი რავს ჯერ ღვთაების სამყოფელს, თუმცა ეს განსაზღვრა დაუკონკრეტებელია — „*ἰσχυροί*“, შემდეგ კი თავის სამყოფელზე მიგვანიშნებს — „*Κρήτας*“. „ვაშლის ხეთა ჭალა“ მიუთითებს სიმღერის მითოლოგიურ ძირებზე. საკულტო ადგილს უკავშირდება მოხსენიება ბომონისა, სადაც ხდება მსხვერპლშეწირვა, შესაძლოა, იქ სრულდებოდა საიდუმლო რიტუალი და საფო მის მეგობრებთან ერთად ამ საიდუმლოებას იყო ზიარებული²⁸. სიმღერის შუა ნაწილში, მესამე სტროფში, წარმოდგენილია ესთეტიკური ფენომენი — ეს არის ჭალის მშვენიერი სურათი. სიმღერის დასაწყისის სტატიურობას თანდათან ცვლის დინამიურობა — პოეტური სახე თანდათან იხვეწება და ხდება სრულყოფილი. კომპოზიციულად მეთე სტრიქონი სიმღერის ცენტრალური ადგილია. იგი გარდამავალი საფეხურია ტოპოგრაფიული მომენტიდან ფსიქიურისაკენ (ძილი და მთვლემარება) — როგორც მიუთითებენ²⁹, ეს არის რელიგიური ფენომენის პოეტური ასახვა. ამ რელიგიურ ფენომენზე სიმღერის დასაწყისი სტრიქონებიც მიგვანიშნებენ („ტაძარი, ჭალა, ვაშლის ხეები“), ფრაგმენტის ყოველ დეტალში აფროდიტეს კულტი მოიაზრება. სტრ. 13, სადაც სიტყვა „*ἰσχυροί*“ არის ამოკითხული, ისევ და ისევ სიყვარულის ღვთაებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ აფროდიტეს ჰქონდა ასეთი ეპითეტიც „*Ἀφροδίτη Ἰσχυρομένη*“. კრეტაზე იმ ხანად ძალზე განვითარებული ყოფილა საცხენოსნო ხელოვნება, რაც დამტკიცებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად³⁰. ცხენი შედიოდა აფროდიტეს კულტის სისტემაში და ამიტომ „*ἔφιππος*“ იყო მისი კიდევ ერთი ეპითეტი³¹. ვაშლი იყო აფროდიტეს ემბლემა — მაგნეზიაში. მეანდროსზე მას თაყვანს სცემდნენ, როგორც „*Ἀφροδίτη μελέαι*“³²—ს. ამ ღვთაებას ჰქონდა კიდევ ასეთი ეპითეტი „*πειριονίς*“ (იხ. სტრ. 14), სახელიდან „*Tityros*“, რაც კუნძულის სახელწოდება ყოფილა³³. როდესაც საფო მოუხმობდა აფროდიტეს, აღწერდა იმ ადგილს, სადაც რელიგიური რიტუალი უნდა შესრულდებოდა. იგი გულისხმობდა, რომ სწორედ ეს ადგილი და ეს დრო სასურველი იქნებოდა მისი ღმერთქალისათვის. სიმღერის ბოლო სტროფი ხსნის აღწერილი სიტუაციის შინაგან არსს. ყველაფერი მოლოდინშია, ღვთაების გამოცხადებას თან მოჰყვება დღესასწაული. ბერძენთა წარმოდგენით, ღმერთების ყოფნა რელიგიურ რიტუალთა შესრულების დროს იყო უმაღლესი ბედნიერებისა და სიხარულის მომნიჭებელი. საფო უფრო შორს მიდის, იგი მოუხმობს აფროდიტეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იმყოფებოდეს დიდ ზეიმზე, არამედ იმიტომაც, რომ ჩამოასხას ტკბილი ნექტარი ოქროს თასებში. ნექტარი არაფერს უნდა გულისხმობდეს სხვას, გარდა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობისა: ეს არის ღმერთების სასმელი, რომელსაც საფოც და მისი მეგობარი ქალწულებიც უნდა ეზიარონ. ისინი თავის დღესასწაულს ზეიმობენ და ბუნებრივია, სურთ, აფროდიტე, მათი რჩეული ღმერთქალი, მათ შორის იყოს.

ამრიგად, ფრ. 1 D.-სა და ფრ. 5/6 D.-ს იდეურ-მხატვრული და კომპოზიციური ანალიზი ცხადყოფს მათ კლექტიკურ-ჰიმნურ ხასიათს. მათში სრულად აისახა ამ ტიპის სიმღერებისათვის დამახასიათებელი მყარი კომპოზიციური პრინციპები, საფო უდიდესი პოეტური ოსტატობით ახერხებდა კანონიკური ფორმით საკუთარ ემოციათა და ლტოლვათა გადმოცემას. ამ ფრაგმენტებში მთელი სრულყოფილებით გამოვლინდა საფოს მსოფლმხედველობის განსაზღვრელი თავისებურება — მისი ლტოლვა ღვთაებრიობისადმი. ფრ. 5/6 D.-ში, რომელსაც ჭეშმარიტად რელიგიურ-რიტუალური ხასიათი აქვს, საფო მის ღვთაებას მოუწოდებდა

იმ ადგილისაკენ, სადაც ხდებოდა საზეიმო ცერემონიის აღსრულება. დღესასწაულის სიმშვენიერე და ილუმინაცია, ღვთაების კეთილგანწყობილება და თანამონაწილეობა რელიგიური რიტუალის სრულყოფილებას განაპირობებდნენ. საფოთლეული უბრალოებით უხმობდა კიპრიდას, რამეთუ სურდა, ღვთაება, რომელიც მისთვის ესოდენ ახლობელი და სათაყვანებელი იყო, ზეიმის მონაწილე, და არა დამსწრე ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ აფროდიტეს, რომელსაც ეძღვნებოდა ეს რიტუალი, თავად უნდა მიეღო მონაწილეობა დიდ ზეიმში, და რომ ამას ესოდენი უშუალოებით მოითხოვდა საფო, მიუთითებს ღვთაებასა და პოეტს შორის დისტანციის უგულვებელყოფაზე. უფრო სრულყოფილად ეს სიანლოვე ღმერთქალთან გამოიხატა ფრ. 1 D.-ში, სადაც პოეტის აზრები ყოფითობიდან თანდათან მიემართებოდა ოლიმპიური დიდებულებისაკენ, გარდასულ დღეთა მოგონებიდან — საზეიმო დაპირებისაკენ, ვედრებიდან ღვთაებრიობამდე ამბლებსაკენ. მით უმეტეს, რომ საფოს თავადაც ღრმად სწამდა საკუთარი პოეზიის სიძლიერისა და ნიჭის ზებუნებრიობის, რასაც ნათელყოფს ჩვენამდე მოღწეული გადმოცემა³⁴ „თუ როგორ იქაინიდა იგი ვილაც ქალების წინაშე:

მუზათ მარგუნეს ჭეშმარიტი ბედნიერება,
მოგვეცემა ოდეს, დავიწყებას არ მიეცემა
სახელი ჩემი“.

შ ე ნ ი შ მ ნ ე ბ ი

1. Dion. Hal. comp. 173—9
2. D. Page, Sappho and Alcaeus. An Introduction to the Study of Ancient Lesbian Poetry, 1959.
3. შეად. აქილევსის ვედრება ზევსისადმი, როდესაც პატროკლე მიდის საომრად, ჰომ. ილ. 16, 233—8. (პარალელები ობ. H. Saake, Zur Kunst Sapphos, München, 1971).
4. H. Saake, Zur Kunst Sapphos, München, 1971, გვ. 42.
5. შეად. ჰომ. ილ. 1, 194, ოდ. 16, 161.
6. პინდ. პით. ოდა 8, 56—60. პინდ. ოლ. ოდა 1, 71, შეად. ოლ. 6, 61.
7. ჰეროდ. 6, 105.
8. H. Saake დასახ. ნაშრ., გვ. 67, შენ. 132.
9. H. Saake დასახ. ნაშრ. გვ. 54.
10. Page, კომ. 110.
11. ობ. Saake დასახ. ნაშრ. გვ. 54.
12. შეად. ჰომ. ილ. 6, 165.
13. შეად. ჰომ. ილ. 14, 195—196.
14. ჰიმნი აფროდიტესადმი ნათელს ჰვენს საფოსთვის დამახასიათებელ სიმღერათა კომპოზიციას. პ. სააკეს დასახელებულ გამოკვლევაში (გვ. 50) წარმოდგენილია ასეთი სქემა:

სტრ. 1—2 a	a (აფროდიტე)
სტრ. 2 b	b (საფო)
სტრ. 3—9a	a
სტრ. 9 b—13 a	c ₁ (ეტლი)
სტრ. 13 b—15 a	a
სტრ. 15 b—18 a	b
სტრ. 18 b—19 a	a
სტრ. 19 b—24	c ₂ (უცნობი)
სტრ. 25—26 a	a
სტრ. 26 b—27 a	b
სტრ. 27b—28	a

სიმღერაში ორჯერ აღნიშნული უცხო (C₁, C₂) მოტივთა შორის სიმეტრიულად შეორდება/ აფროდიტესა და საფოს (a—b—a) ურთიერთმიმართების სურათები.

თარგმანი
საქართველოს
საბჭოთაო საზოგადოება

15. M. Treu, Sappho, München, 1968⁴, გვ. 149.
16. Annali della R. Scuola Normale Superiore Universitaria di Pisa. Serie 2. Lettere e Storia e Filologia. Vol. 6 (1957) Fasc. 1—2, p. 8—15, Bologna, 1937. Norsa, Medea, (Saffo, Ostraco di Saffo e Ptol. Tempo). Versi di Saffo in un ostrakon del sec. II A. C., გვ. 8.
17. ob. Philologus 92 (1937) 117..
18. Theander, Philologus, 92 (1937), Matthiessen, Gymnasium 64 (1957) 554; Schubart, Hermes 73 (1938) 297; Siegman, Hermes 76 (1941) 422; A. R. Burn, The Lyric Age of Greece (1960) 234.
19. Turyn, TAPhA 73 (1942) 308; Matthiesen, Gymnasium 64, 1957, 556.
20. Lasserre, Mus. Helv. 5, 1948, 15; J. M. Milne, Hermes 71, 1936, 126.
21. Schadewaldt, Sappho, 1950, 78..; Theiler-Von der Mühl. Mus. Helv. 3, 1948, 22..
22. Gallavotti, Saffo e Alceo I. 1962³, გვ. 26.
23. Fränkel, H. Dichtung und Philosophie des frühen Griechentums, 1962.
24. Bowra, Greek Lyric Poetry, 1961².
25. M. Treu, Sappho, München, 1968⁴.
26. H. Saake, Zur Kunst Sapphos, München, 1971.
27. ჰესიოდ. "Ανθει... καὶ Ἀφροδίτη παρὰ Κνωσός.
28. Preller, Gr. Myth, 1. c. 358, § 283
29. Saake, დასახ. ნაშრ. გვ. 98.
30. RE სტატიები "Pferd" და "Kreta".
31. Bowra, დასახ. ნაშრ., გვ. 197.
32. Bowra, დასახ. ნაშრ., გვ. 197.
33. Saake, დასახ. ნაშრ., გვ. 95.
34. საფო, ფრ. 76.

Н. М. ТОНИА

К ВОПРОСУ ОБ ИНТЕРПРЕТАЦИИ ДВУХ ФРАГМЕНТОВ САПФО

Резюме

В статье дается попытка интерпретации двух фрагментов (1 D., 5/6 D.) Сапфо на основе новейших исследований, внесших определенные изменения в традиционную трактовку стихотворений греческой поэтессы. Один из этих фрагментов—известный уже с давних времен „Гимн к Афродите“, другой же, обнаруженный сравнительно поздно—культовая песня, посвященная тому же божеству. Характер отношения поэта к божеству раскрывается на фоне двух различных ситуаций. Идеино-художественный и композиционный анализ фрагментов выявляет их кликико-гимнографический характер. В них, несмотря на использование традиционных композиционных принципов, характерных для песни данного типа, Сапфо удается весьма оригинально, индивидуально и неканоническим образом передать свои отношения к культу, свое стремление к божественности.

ZUR FRAGE DER INTERPRETATION ZWEIER FRAGMENTE
(1 D. 5/6 D.) VON SAPPHO

Zusammenfassung

In diesem Aufsatz wird ein Versuch gemacht, zwei Fragmente von Sappho nach dem neuesten Stand der Forschung zu interpretieren, durch die sich in der traditionellen Auslesung der Gedichte der griechischer Dichterin ein bestimmter Wandel vollzogen hat. Einer dieser Fragmente—„Das Gebet an Aphrodite“—ist schon lange bekannt, das andere—ein Kultlied—ist derselben Göttin gewidmet und wurde verhältnismäßig spät entdeckt. Der Charakter der Verhaltensweise der Dichterin zur Göttin zeigt sich in zwei verschiedenen Situationen. Die Analyse des Ideengutes und des künstlerischen Wertes sowie der Komposition der Fragmente deckt ihren kletisch-hymnographischen Charakter auf. Trotz der Anwendung der traditionellen Kompositionsprinzipien, die für die Lieder solcher Art kennzeichnend sind, gelingt es Sappho in diesen Gedichten ihr Verhältnis zum Kult, ihr Streben nach Göttlichkeit individuell und nicht kanonisch wiederzugeben.

მენანდრის ახლად აღმოჩენილი კომედიები

მენანდ ვსაკაძე

უკანასკნელი წლების აღმოჩენებს არც ერთი ბერძენი მწერლისათვის არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც მენანდრესათვის. 1957 წლამდე ცნობილი არ იყო მენანდრეს არც ერთი სრულად შემონახული კომედია და, უწინდებურად, ახალი ატიკური კომედიის თავისებურებების, კერძოდ კი, მენანდრეს შემოქმედების შესწავლისათვის აუცილებელი ხდებოდა რომელიმე მიმზადებულების — პლაეტესა და ტერენტიუსის პიესების გათვალისწინება. ფაქტიურად, XX ს. დასაწყისამდე მენანდრე სრულიად უცნობი იყო მკითხველთათვის. მენანდრეს პიესებიდან შემორჩენილი მცირეოდენი ფრაგმენტებით შეუძლებელი იყო „ახალი კომედიის ვარსკვლავის“ სათანადოდ შეფასება. მხოლოდ 1905 წ. ანტიკურ ქალაქ აფროდიტოპოლისის გათხრებისას იურისტის, ფლავიოს დიოსკოროსის სანღში გუსტავ ლეფევრმა იმპერიის ხანის იურიდიული აქტებით საგვე ქოთანი იპოვა, რომელსაც ზედ პაპირუსის ფურცლები ეფარა. ამ ფურცლებზე (ახ. წ. V ს.) მენანდრეს ხუთი კომედიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები აღმოჩნდა: — 'Επιτραπεινας „სამედიკატორო სასამართლო“, დაახლოებით 700 სტრიქონი, Περικειραμένη „მოჭრილი ნაწნავი“ 460 სტრ., Σαμία „სამოსელი ქალი“ 327 სტრ., Ἐραξ „გმირი“, დაახლოებით 100 სტრ. და კიდევ ერთი კომედიის ნაწილი, რომლის სახელიც დადგენილი არ არის. აღმოჩენილი კომედიები გამოაქვეყნა ლეფევრმა 1907 წ. კაიროში¹. ამ Codex Cairensis კრიტიკული გამოცემები ეკუთვნით ა. კერტესა² და გ. წერეთელს³.

1957 წელს შვეიცარიელმა კოლექციონერმა ბოდმერმა ალექსანდრიის ბაზრობაზე შეიძინა მენანდრეს კომედიის Δύσχιλις „დისკოლოსი“ პაპირუსზე დაწერილი სრული ტექსტი (დაახლ. 1000 სტრ.). სულ მოკლე ხანში მომზადდა „დისკოლოსის“ მრავალი გამოცემა, გამოქვეყნდა გამოკვლევები. ამ კომედიას, რომელმაც გაამდიდრა ჩვენი ცოდნა მენანდრეს შემოქმედებაზე, მოჰყვა ახალი აღმოჩენები:

1964 წ. კომედიის Σιχάσιως „სიკიონელი“ იმდენად ვრცელი ფრაგმენტები, რომ ხერხდება პიესის მთელი შინაარსის აღდგენა.

1965 წ. Μισοίμενις „შეძულებული“ — ფრაგმენტები.

1968 წ. Δίξ Ἐξαπατών „ორჯერ მოტყუებული“ და Καρχηδόνιως „კართაგენელი“ — მომცრო ნაწყვეტები.

1969 წ. ბოდმერის კოლექციიდან კიდევ ორი კომედიის Ἄσπις „ფარი“ და Σαμία „სამოსელი ქალი“ მნიშვნელოვანი ფრაგმენტები (ახ. წ. III ს. პაპირუსის

1 21, 2 22, 3 23 აქ და შემდგომ ვუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურაში დასახელებული ნაშრომის ნომერს.

ამ კოდექსში „სამოსელი ქალი“ წინ უსწრებს „დისკოლოს“, „ფარი“ კი მის დღეს მას).

1971 წ. Φάσμα „მოჩვენება“ — მცირე ნაწყვეტი.

1972 წ. ინგლისელმა მეცნიერმა სანდბახმა კრიტიკულად გამოსცა მენანდრეს კომედიების ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. სახელდობრ:

Ἄσπιδ	„ფარი“	544 სტრ.
Γεωργός	„მიწის მუშა“	100 სტრ.
Δύσκολος	„დისკოლოსი“	970 სტრ.
Δις Ἐξάπατων	„ორჯერ მოტყუებული“	113 სტრ.
Ἐπιτρέποντες	„სამედიატორო სასამართლო“	1131 სტრ.
Ἦρωδ	„გმირი“	97 სტრ.
Θεοφορουμένη	„შერისხული“	19 სტრ.
Καρχηδόνιος	„კართაგენელი“	40 სტრ.
Κισσαριστής	„კითარისტი“	35—101 სტრ.
Κόλαξ	„მლიქვნელი“	დაახლ. 132 სტრ. (გამოტოვებული)
Κωνειάξιμους	„თავის მომწამლეული“	20 სტრ.
Μισοήμενος	„შეძლებული“	465 სტრ. (გამოტოვებული)
Περιαιρωμένη	„მოჭრილი ნაწნავი“	1026 სტრ.
Περυσία	„პერინთელი ქალი“	22 სტრ.
Σαμία	„სამოსელი ქალი“	737 სტრ.
Σικωσίνος	„სიკიონელი“	420 სტრ.
Φάσμα	„მოჩვენება“	107 სტრ.

აგრეთვე გაურკვეველი, სხვადასხვა ავტორთან შემორჩენილი ფრაგმენტები და მენანდრეს სახელით ცნობილ კომედიათა სრული ნუსხა.


სანდბახის ამ ფუნდამენტალურმა გამოცემამ შესაძლებელი გახადა კომედიების დეტალურად შესწავლა, v. 1-ს ხასიათისა და მენანდრეს შემოქმედების საეტიკის ღრმად და საფუძვლიანად გაგება.

ჩვენი იზანია, აღნიშნული გამოცემისა და უახლეს გამოკვლევათა საფუძველზე წარმოვადგინოთ ახლად აღმოჩენილ უმნიშვნელოვანეს კომედიათა მოკლე მიმოხილვა. ეს არის, ფაქტიურად, პირველი ცდა საბჭოთა კლასიკურ ფილოლოგიაში მენანდრეს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ კომედიათა და ფრაგმენტთა ერთიანი მიმოხილვისა, ამდენად იგი არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან და არ აქვს სისრულის პრეტენზია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ყურადღებას არ შევაჩერებთ იმ კომედიებზე, რომელთა დეტალური განხილვა მოცემულია გ. წერეთლის, ს. ყაუხჩიშვილის ბერძნული ლიტერატურის ისტორიასა და რუსულ ენაზე გამოცემულ მრავალ სახელმძღვანელოში.

როგორც ცნობილია, კომედია „დისკოლოსი“⁴, მენანდრეს ერთადერთი სრულად მოღწეული კომედიაა. იგი ძლიერ განსხვავდება სხვა პიესებისაგან როგორც სიუჟეტის განვითარებით, ასევე დრამატურგიული ხერხების გამოყენებითაც. „დისკოლოსი“ სრულიად თავისებურად გამოიყურება ახალი კომედიის ერთფეროვან, სტანდარტულ ფონზე. აქ ვერ შეგხვდებით ახალი ატიკური კომედიისათვის დამა-

⁴ 6, 8, 9.

ხასიათებელ ვერც ქალიშვილზე ძალადობისა და ვერც ბავშვის მიღებისა და კვლავ აღიარების მოტივს.



პიესა იწყება პანის გამოსვლით, რომელიც გვამცნობს უკვე მომხდარ ამბავს: ყველას მოძულე, უხასიათო მოხუცმა გლენმა კნემონმა ცოლად შეირთო შვილიანი ქვრივი, მაგრამ ვერც მას შეეგუა. ქალიშვილის დაბადების შემდეგ, ქვრივი იძულებული გახდა გადასულიყო კნემონის მეზობლად მდგარ სახლში ვაჟსა და მონასთან ერთად, ყველაფრით უკმაყოფილო კნემონი კი დარჩა ქალიშვილისა და მისი გადის ანაბარა. პანი აქვე აღნიშნავს კნემონის ქალიშვილის სათხოვბას და არ მალავს, რომ მან შეახვედრა სანადიროდ წამოსული მდიდარი ვაჟი სოსტრატე ქალიშვილს და შეყვარებული სოსტრატეც ადგილს ვეღარ პოულობს.

პროლოგში ღმერთი, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, არაფერს ამბობს მოსალოდნელ ამბებზე. ამრიგად, პირველად, მენანდრეს მაყურებელმა არ იცის როგორ განვითარდება მოქმედება, მენანდრეს კი შესაძლებლობა ეძლევა სრულიად უჩვეულო, მოულოდნელი ეფექტების გამოყენების.

და მართლაც, ახალი ატიკური კომედიის სტანდარტულ განვითარებას მიჩვეული მაყურებელი, მენანდრეს დრამატურგიული ნიჭის წყალობით, მოულოდნელობის წინაშე დგება. სოსტრატეს მიერ კნემონთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად გაგზავნილი მონა ნაცემი ბრუნდება. ახლა მაყურებელი საქმის მოგვარებას ასეთ ამბებში გამოცდილ პარასიტ ხაირეასაგან მოელის, მაგრამ მოხუცის კუშტი ხასიათით დაშინებული პარასიტი საქმეს ხვალისათვის გადადებს, „ხვალ“ კი კომედიას არა აქვს და პარასიტი, ყველა აქამდე ცნობილ პიესაში ვაჟის — მთავარი გმირის — დამხმარე, სამუდამოდ ტოვებს სცენას. სოსტრატესაც და მაყურებელსაც მხოლოდ მოხერხებულ მონა გეტას იმედილა რჩებათ, მაგრამ გეტა სოსტრატეს დედას წაჰყოლია მორიგი მსხვერპლშეწირვისათვის. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი სოსტრატე მოულოდნელად ეცნობა ქალიშვილის ძმას გორგიას და ახლა მისგან მოელის დახმარებას, მაგრამ მოხუცს ვერაფერ ვერ ეკარება და აქ ხდება ახალი კომედიისათვის არა მარტო მოულოდნელი, არამედ უჩვეულო გარდასახვაც. კნემონის ყურადღების მისაქცევად ქალაქელი სოსტრატე იცვამს ცხვრის ტყავს და მინდორში გადის სამუშაოდ. მაყურებელს ამ შეხვედრის დიდი იმედი აქვს, მაგრამ იგი კვლავ ტყუილება. კნემონი არ გამოდის გარეთ, სოსტრატე კი სულ ამოდ იღვამს წელეებზე ფეხს.

მხოლოდ შემთხვევა გამოუჩნდება სოსტრატეს დამხმარედ. იგი გორგიასთან ერთად გადაარჩენს ჭაში ჩავარდნილ კნემონს. ნირწამსდარი მოხუცი ხვდება მართოდ ცხოვრების უაზრობას და სთხოვს ვერს, გორგიას, დედასთან ერთად მასთან გადმოვიდეს საცხოვრებლად, აიღოს ქონების ნახევარი, ნახევარი კი დას გაატანოს მზითვად და გაათხოვოს. ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება. სოსტრატე თხოულობს კნემონის ქალიშვილს, თავის დას კი გორგიაზე ათხოვებს.

კომედიის ფინალი წარმოადგენს კნემონის „გამახარავების“ სცენას. შინ მარტოდ დარჩენილ კნემონს მონა გეტა და მზარეული არ ასვენებენ, სთხოვენ ქვებს, ჯამს, ხალიჩას, გადასაფარებელს და თავგაბეზრებულ კნემონს ბოლოს ტაძარში შეყვანაზეც კი ითანხმებენ. კომედია მთავრდება ჩირაღდნებიანი, გვირგვინებიანი პროცესიით და ქალღმერთისადმი გამარჯვების თხოვნით:

„როგორც იხილეთ,
დავამარცხეთ კუშტი მოხუცო,
ერთხმად დაცხეთ ტაში,
ყმაწვილებო, ბავშვებო, მამაკაცებო,
დაე, სიცილის მოყვარული, კეთილშობილი
ქალწული ნიკე მულამ გეგარვიდეს“ (965-970).

მენანდრეს ამ კომედიაში გვხვდება ახალი ატიკური კომედიისათვის სრულიად უჩვეულო მთელი რიგი ნიშნები. ასე მაგალითად, ქალიშვილი, წინააღმდეგ ტრადიციისა, თავისუფალი ათენელია, ცხოვრობს მამასთან და მონაწილეობასაც კი იღებს მოქმედებაში. ასევე ახალია ვაჟის დამოუკიდებლად მოქმედება ტრადიციული დამხმარეების—მონისა და პარასიტის გარეშე. ყველაზე უფრო საინტერესო კომედიის პროლოგია, საიდანაც მაყურებელი ვერ იგებს პიესის შემდგომი განვითარების გზებს და მოულოდნელობა ხდება კომიზმის უმნიშვნელოვანესი წყარო. მენანდრე ოსტატურად ხლართავს ინტრიგის ქსელს, რითაც მოქმედების თანამიმდევრობასა და ერთიანობას აღწევს.

კომედიის სათაურის Δύσχιλις-ის გადმოთარგმნა დაკავშირებულია მთელ რიგ სიზნელებთან, რადგან თარგმანი „ბრაზიანი“, „აუტანელი“, „ადამიანთმოძულე“, „ბუზღუნა“ ვერ გამოხატავს ბერძნული სათაურის რაობას. Δύσχιλις სახეობაა ადამიანი ზღარბისა, რომელიც მუდამ მზადაა სუსხიანი თავდაცვისათვის. კაცთმოძულე, მობუზღუნე, მარტოხელა, ახირებული კაცის სახეს, რომელიც თავის თავსა და სხვებსაც სიცოცხლეს უმწარებს, ჰყავს თავისი ლიტერატურული წინაპარი. უკვე ძველ კომედიებში, ასე მაგ, ფრინიქეს Μονότροπις-ში (414 წ.). გვხვდება ვანდეგილის სახე. ანტიფანეს კომედია Τιμάν⁵ კი გვაფიქრებინებს, რომ კნემონის ხასიათის ზოგი შტრიხი ტიმონისაგან უნდა მოდიოდეს. მაგრამ კნემონი მენანდრეს საკუთარი ქმნილებაა, ტიპური ატიკელი გლეხი, რომელსაც გაჭირვება ბევრი უნახავს, სიკეთე კი არა. კნემონის ხასიათის განვითარება ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. უემური, ხარბი ატიკელი გლეხი კომედიის დამამთავრებელ „გამასხარავების“ სცენაში მოტეხილი, დაჯანბნილი, სიბრალულის აღმძვრელი მოხუცოლაა. ჭაში ჩავარდნის შემდეგ გარდატეხა ხდება კნემონის ხასიათში. მას უბრუნდება ადამიანებისადმი რწმენა, ღმობიერი ხდება ოჯახის წევრების მიმართ, აღარ უშლის ხელს ახალგაზრდების ბედნიერებას. კნემონს თვალი აეხილა, მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ სავესებით შინაც არ შეიცვალა. იგი ისევ ის კნემონია თავისი ჯიუტი მე-თი, ესაა მხოლოდ, წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაეკარგა. მას ისევ მარტო დარჩენა სურს, ერთგულ მსახურსაც კი იცილებს თავიდან და ისიც იძულებულია დაემორჩილოს კნემონის შეუდრეკელ ხასიათს (τροπίος ἄμαχος).

„დისკოლოსი“ ერთი ხასიათის კომედიაა, ყველაზე სრულყოფილად აქ კნემონის სახეა გახსნილი. რაც შეეხება სოსტრატესა და გორგიას, ისინი რიტორული პირები უფრო არიან, ვიდრე ნამდვილი ხასიათები. უფრო სრულად, დამაჯერებლად, თითქოსდა ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დეტალებში მკლავნდება მფორეხარისხოვანი პერსონაჟების დიდი სიმართლით დახატული სახეები. ასე მაგალითად: მდიდარი, უსაქმური ცრუმორწმუნე სოსტრატეს დედა, მატყუარა პარასიტი ხაირეა, ტრაბახა მზარეული სიკონი.

საინტერესოა პროლოგში გამოყვანილი ღმერთის, პანის მიმართვა მაყურებლებისადმი: „წარმოიდგინეთ, რომ ეს ადგილი არის ფილე ატიკაში, საიდანაც მე გამოვედი კი—ნიმფათა სახელგანთქმული ტაძარი“ და ა. შ. აქ მენანდრე წარმოგვიდგება, როგორც დახვეწილი გემოვნების მქონე თეატრალური პირობითობის ოსტატურად გამომყენებელი დრამატურგი, რომელიც მშვენივრად ახერხებს დამაჯერებლად განავითაროს კომედიის ინტრიგა, ამასთანავე, მაყურებლის ყურადღება გადაიტანოს ადამიანის ხასიათის უფაქიზესი ნიუანსების გადმოცემაზე.

„დისკოლოსიდან“ ირკვევა, რომ მენანდრესათვის უცხო არ ყოფილა გრო-

ტესკი. კნემონის „გამასხარავების“ სცენა სატირულ-კარიკატურული ხასიათისა და სრულდება მუსიკის აკომპანემენტის თანხლებით (რაც ახალი ატიკური კომპოზიციისათვის პირველად დამოწმებული მოვლენაა) და ცეკვით. მენანდრეს, დრამატურგის, დიდ დამახუტრებად უნდა ჩაითვალოს ყოველი პერსონაჟის სცენაზე გამოსვლისა და გასვლის დროულობა. ძალზედ მნიშვნელოვანია ამ პიესისა და, საერთოდ, მენანდრეს სტილისათვის დამახასიათებელი მეტყველების ინდივიდუალიზაცია. სხვადასხვანაირად ლაპარაკობენ მენანდრესთან სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, ხასიათისა და განვითარების გმირები.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, „დისკოლოსი“ ახალი ატიკური კომედიის ძალზე თამამი ექსპერიმენტია, რომელმაც მშვენივრად გაუძლო გამოცდას და გამარჯვებაც კი იხეიმა 316 წ. ლენებზე, დიონისეს საპატივეცემულოდ გამართულ ზეიმზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „დისკოლოსის“ შემდეგ როგორც ახალი ტექსტის სილიდით, ასევე ლიტერატურული თვალსაზრისით, არის კომედიის Σιχαιωνιδ⁶ „სიკიონელი“-ს ფრაგმენტები. გვხვდება ამ კომედიის მეორე სათაურიც Σιχαιωνισი „სიკიონელები“.

1901—1902 წწ. ფაუმას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ფრანგული არქეოლოგიური სკოლის დავალებით წარმოებულ გათხრებისას პიერ ჟუგემ აღმოაჩინა სასოფლო დასახლების ნაშთი და სამარხი, ასობით მუშით. ბევრი მუშია დაფარული იყო ტილოდან, პალმის ბოჭკოებიდან დამზადებული სამოსითა და პაპირუსის ფურცლებით. ჟუგემ გამოაქვეყნა ამ პაპირუსებზე შემორჩენილი ტექსტი, მათ შორის შვიდი ნაწყვეტი უცნობი კომედიიდან, რომელსაც იგი მენანდრესეულად მიიჩნევდა. შემდეგდროინდელ ახალ ატიკურ კომედიათა ფრაგმენტების კრებულებში ეს ნაწყვეტები შედიოდა, როგორც უცნობი ავტორის უცნობი პიესიდან ამოღებული ფრაგმენტები. მხოლოდ 60-იან წლებში ანდრე ბატაილის ხელმძღვანელობით ჩატარებული მუშაობის შედეგად ნაპოვნი იქნა კომედიის სათაურის, ავტორისა და ლექსთა რაოდენობის აღმნიშვნელი პიესის დამამთავრებელი სვეტი. ასე აღმოჩნდა მენანდრეს კომედიის „სიკიონელი“ პაპირუსი. არც ჩვენთვის ცნობილი ანტიკური კატალოგები, არც მენანდრეს რჩეულის გამოცემები, არც კომედიური ციტატების კრებულები არ იცნობენ ამ პიესას. ეს გვაფიქრებინებს კომედიის „სიკიონელი“-ს ნაკლებ პოპულარობაზე გვიან ანტიკურ ხანაში. ერთადერთ ცნობას „სიკიონელზე“ ვხვდებით ჩვ. წ. II ს. ეპისტოლოგრაფოსს ალკიფრონთან. კომედიის „სიკიონელი“-ს პაპირუსი მენანდრეს უძველეს ხელნაწერს წარმოადგენს, იგი თარიღდება ძვ. წ. III ს.-ის უკანასკნელი მე-სამედით.

მიუხედავად ტექსტთან დაკავშირებული სიძნელებისა (რეპლიკების გამოუყოფელობა, პროსოდის ნიშნების უქონლობა, ორთოგრაფიული შეცდომები, დაზიანებული პაპირუსი), ხერხდება კომედიის მთელი შინაარსის აღდგენა.

პროლოგის მრავალსიტყვაობიდან ჩანს, რომ მას ამბობდა არა ღვთაება, არამედ რომელიმე ალეგორიული ფიგურა, მაგრამ იწყებოდა პიესა ამ ფიგურის გამოსვლით, თუ მას უძღოდა რაიმე სცენა, როგორც ეს მენანდრესთან ვხვდებოდა, ამის დადგენა შეუძლებელია.

პროლოგში ლაპარაკია სამ ტყვედ ჩაყარდნისზე—გოგონაზე, მონასა და მოხუც ქალზე. მოხუცი დამპყრობლებმა გაუწვეს, გოგონა ფილუმენე და მონა დრომონი კი წაიყვანეს მონათა ბაზარზე, სადაც ისინი იყიდა პატიოსანმა და მდიდარმა სიკიონელმა მეთაურმა სტრატოფანემ. სწორედ მის სახელს ატარებს კომე-

⁶ 10, 7, 20.

დიაც. სიკიონელი მებრძოლი სტრატოფანე ჩამოვიდა ათენში და დასახლდა ელევსინში, სადაც კომედიის მოქმედება ვითარდება. პარასიტი თერონი და მისი საყვარელი მალთაქე სტრატოფანესთან ერთად ცხოვრობენ. მონათა ბაზაზე ფილუმენეს, რომელიც წარმოშობით ათენელი მოქალაქეა, სტრატოფანე ზრდის. სიკიონელ მეთაურს უყვარს ფილუმენე და მისი ცოლად შერთვა სწადია. ამისთვის კი აუცილებელია მონას დაუბრუნონ ათენის მოქალაქეობა. ერთი შეხედვით არაფერია ამაზე ადვილი, რომ დაუბრუნონ ფილუმენე კიხესიას—ქალიშვილის მამას, რომელიც დრომონს კარგად ახსოვს. მაგრამ ეს დაკავშირებულია რიგ დაბრკოლებებთან. ჯერ ერთი,—კიხესიამ მიატოვა თავისი ღემი და ცხოვრობს ელევსინში, სადაც მისი პოვნა არც თუ ისე ადვილია, მეორეც—სტრატოფანესათვის ფილუმენეს ათენელ მოქალაქედ აღიარება ახალ დაბრკოლებას ქმნის—ათენელი მოქალაქე არ მიყვება ცოლად უცხოშარულს, თავის მხრივ, უცხოშარულსაც ამისთვის სასტიკი სასჯელი მოელის. მაგრამ სტრატოფანეს გეგმები განუხორციელებელი იქნებოდა, მას იმედი რომ არ ჰქონოდა თავისი ათენური წარმოშობა დაედასტურებინა. და აი, ბრუნდება სტრატოფანეს მიერ თავის სახლში, სიკიონში გაგზავნილი მონა პირია, რომელსაც სამწუხარო ამბავი მოაქვს: გარდაცვლილა სტრატოფანეს დედობილი და სტრატოფანეს ვინაობის აღმნიშვნელ წერილთან ერთად დაუტოვებია „გამოცნობისათვის“ აუცილებელი ნიშნები. სტრატოფანეს იმედი მართლდება—იგი ათენელი მოქალაქეა.

IV მოქმ. დასაწყისი წარმოადგენს პოლიტიკურ დისკუსიას არისტოკრატ სმიკრინესა და დემოკრატ კიხესიას შორის. ისინი ინტერესით უსმენენ მესამე მოხუცს, რომელიც ელევსინის პროპილეებთან მომხდარ ფილუმენეს მოქალაქედ აღიარების ამბავს ყვება. ფილუმენე და სტრატოფანე ბედნიერდებიან. თერონ-მალთაქეს სიყვარულიც ქორწილით გვირგვინდება. ამას გვაფიქრებინებს პარასიტისათვის დამახასიათებელი მუქი ფერის სამოსის თეთრით შეცვლა, რაც ალბათ ქორწილის დროს ხდებოდა.

„სიკიონელი“ მთავრდება ატიკური კომედიისათვის დამახასიათებელი ჩირად ნებანი პროცესით, თაიგულებითა და, „დისკოლოსიდან“ უკვე ცნობილი, მიმართვის ფორმულით გამარჯვების ქალღმერთისადმი, რომლის კეთილგანწყობილების იმედიც აქვს პოეტს.

ჩვენ შევიჩერდებით კომედია „სიკიონელის“ მხოლოდ ორ საყურადღებო მომენტზე, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია სიხლის თვალსაზრისით. 1. პროპილეებთან მომხდარი ამბის გადმოცემა მოხუცის თხრობა მოითხოვდა ვირტუოზულ სცენურ შესრულებას. მსახიობს უნდა გადმოეცა მრავალხმიანობა მის მიერ წარმოდგენილი მოქმედი პირებისა და შეკრებილთა მრავალფეროვანი რეაქციაც. აქ უდავოდ შეინიშნება კავშირი მიმებთან, რომლებიც ინტონაციით, ტანის მოძრაობით გადმოსცემდნენ ერთი ან რამდენიმე პერსონაჟის ხასიათს. 2. კომედია „სიკიონელი“ სცილდება ყოფითობის ჩარჩოებს, მასში დაუფარავად აისახება მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები (IV მოქ.). ამდენად, ახალი ატიკური კომედიის აპოლიტიკურობის საყოველთაოდ აღიარებული აზრი „სიკიონელის“ მიხედვით საეჭვოდ ხდება. ამ კომედიაში მენანდრეს შემოქმედების ახალი, მნიშვნელოვანი მხარე დაგვანახა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მის დრამატურგიულ ოსტატობაში.

კომედია Μισοκμειδης⁷ „შეძლებული“ სხვა სათაურითაც *Μισοκμειδης* „თრასონიდე“ გვხვდება. პიესის არაერთგზის დამოწმება ჯერ კიდევ იმპერიის ხანაში ამ კომედიისა და, საერთოდ, მენანდრეს პოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს.

⁷ 14, 20, 24

ტექსტი ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ ძირითადი მოტივის გაცემა მაინც ხერხდება: ჯარისკაც თრასონიდეს უყვარს თავისი ტყვე გოგონა კრატეა, მაგრამ არ სურს ბატონის უფლება გამოიყენოს და ძალით დაიმორჩილოს იგი, კრატეას თანაგრძნობას ელოდება. გოგონას კი თრასონიდე თავისი ძმის მკვლეელი ჰგონია და მისი სახელის გავრცელებაც არ სურს. იმედგადაწურული ჯარისკაცი თავის მოკვლაზე ფიქრობს, მაგრამ მონა გეტა ხელს უშლის მის განზრახვას—ფეხდაფეხ დასდევს, ყველა იარაღს უშლავს. კრატეა კი თავისუფალი აღმოჩნდება—თავის მამა დემეას პოულობს. მონა გეტას მონოლოგიდან ვიგებთ, რომ დემეა წინააღმდეგია კრატეასა და თრასონიდეს ქორწინებისა, მაგრამ V მოქ. დასასრულს იგი ათხოვებს თავის ქალიშვილს კაცზე, რომელიც მხოლოდ თრასონიდე შეიძლება იყოს. კომედია მთავრდება ტრადიციული ქორწილით.

ამ კომედიაში ეფექტები კულმინაციამდე აღწევს. როცა მონა გეტა შეამჩნევს, მის მონოლოგს ვიღაც უსმენს, დრამატულ თხრობაზე გადადის. ეს მახვილგონივრული გადასვლა ქმნის დახვეწილი კომიზმის ეფექტთა მთელ კასკადს, რომელიც მენანდრეს დრამატული ტექნიკის სრულყოფილებას მოწმობს.

„შეიშლებულში“, ისევე როგორც მენანდრეს სხვა კომედიებში, არეულობანი ისეთ კონფლიქტებს ქმნიან, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას, სწორედ, ამ არეულობის შექმნისა და გადაჭრის განხორციელებაში ჩანს მენანდრეს ნიჭი და გემოვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავარი მოქმედი პირის თრასონიდეს ხასიათის ყოველმხრივი გახსნის უბაღლო ოსტატობა. ელინისტურ ლიტერატურაში ანელა მოიძებნოს თრასონიდესავით მგრძობიარე, ღრმა სულიერი განცდების მქონე დიდი სიძლიერით დახატული შეყვარებულის სახე.

ბოდმერის პაპირუსი კომედიის *Σαμιά*⁸ „სამოსელი ქალი“ 723 სტრ. გვაწვდის. 327 სტრ. უკვე კაიროს პაპირუსიდან იყო ცნობილი. ვგვხვდება კომედიის მეორე სათაურიც—*Κηδέα* „სისხლით არა ნათესავი“.

ფრავშენტებიდან კომედიის შინაარსი მოკლედ ასე აღდგება: მდიდარ დემეას სამოსელ ჰეტერა ქრისიდასაგან ეყოლება ბავშვი, რომელიც მალე იღუპება. ქრისიდას დემეას შვილობილ მოსხიონისა და მეზობელ გოგონა პლანგოს უკანონოდ შობილი ჩვილი აპყავს გასაზრდელად, რათა ახალგაზრდებს მამების რისხვა ააცილოს თავიდან. მამები კი ამ დროს პონტოს არიან სამოგზაუროდ და იქ შვილების ქორწინებაზე თანხმდებიან. ათენს დაბრუნებული დემეა ბავშვის მამად თვლის თავს, მაგრამ შემთხვევით იგებს, რომ ბავშვის მამა მოსხიონია. განრისხებული დემეა ქრისიდას დებს ბრალს თავის შვილობილთან სამარცხენო კავშირში და ბავშვთან ერთად შინიდან აძევენს. მათ მეზობელი ნიკერატოსი—პლანგოს მამა შეიკედლებს. მაგრამ ახლა ნიკერატოსი ხდება გაუგებრობის მსხვერპლი, ვერ ახერხებს თავისი ოჯახის არეულობაში კარგად გარკვევას და ჯავრს ქრისიდაზე იყრის, საცემრად მისდევს. ქრისიდასა და ბავშვს დემეა უკან იბრუნებს. მან უკვე გაიგო სიმართლე მოსხიონისაგან და თავად დამშვიდებული გამძვინვარებულ ნიკერატოსს უფრო აღიზიანებს და ამით ერთობა. ახალგაზრდების ქორწილისათვის მზადება კი გრძელდება. მაგრამ ბოლო მოქმედებაში ღრმად შეურაცხყოფილი მოსხიონი, რომელსაც დემეამ ასეთი სიმდაბლე დასწამა, მოსურვებს მამობილს ბოდში მოახდენინოს და ომში წასვლის ცრუ სამზადისს იწყებს, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად ეწყობა და კომედია ქორწილით მთავრდება.

ლესკის აზრით „სამია“ მენანდრეს ჩვენთვის ხელმისაწვდომ პიესათაგან ყვე-

⁸ 11, 12, 13

ლაზე საყურადღებოა, აქ τὰχῆ⁹ თავის ნებაზე არ ატრიალებს ადამიანებს. ყველა არეულობა და გართულება, რითაც „სამია“ განსაკუთრებით მდიდარია, უკმარისობის ნარეობს მოქმედ პირთა ხასიათებისაგან, მათი კულახდილობის წინაშე შიშის, მოჩვენებითი ინტერესისა და ნაჩქარევი დასკვნებისაგან¹⁰. მახვილგონივრული დიალოგები, ხალასი იუმორი, პერსონაჟთა ღრმად დამუშავებული ხასიათები და მხოლოდ ამ კომედიისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები „სამიას“ მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს მენანდრეს შემოქმედებაში.

კომედია Ἄσπινჯ¹¹ „ფარის“ ნახევარ ტექსტზე მეტი მოგვეპოვება ამჟამად. Comedia Florentin-ად ცნობილი 85 ლექსი ბოდმერის პაპირუსზე „ფარის“ ნაწილი აღმოჩნდა.

კომედია იწყება მონა დაოსის გამოსვლით, რომელსაც ომში დაღუპული თავისი ბატონის კლეოსტრატოსის ფარი მოაქვს. მას ტყვეები მოჰყვებიან ნადავლით. დაოსისა და კლეოსტრატოსის უფროსი ბიძის სმიკრინეს დიალოგიდან ვიგებთ, რომ კლეოსტრატოსი ომში წასულა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დისტევის მზითვის დასაგროვებლად. მონა დაოსიც თან ხლებია. ბრძოლის ველიდან კლეოსტრატოსს დაოსი ნადავლით შინ გამოუგზავნია. დაოსი მხოლოდ მეოთხე დღეს ბრუნდება თავის პატრონთან, მაგრამ თვალწინ შემზარავი სურათი წარმოუდგება—ბრძოლის ველი მოფენილია დამახინჯებული, გასიებული გვამებით, რომელთაც კაცი ვეღარ გაარჩევს. დაოსი უპატრონოდ დაგდებულ ნაცნობ ფარს შეწინააღმდეგებს და თავის პატრონს დაღუპულად მიიჩნევს, მაგრამ სინამდვილეში კლეოსტრატოსი ცოცხალია.

კლეოსტრატოსის და, უმცროსმა ბიძამ, ხაირესტრატოსმა შეიკედლა. ხაირესტრატოსი თავის ცოლთან, ქალიშვილსა და გერ ხაირეასთან ერთად სმიკრინეს მეზობლად ცხოვრობს. გოგონა ხაირეას უნდა წაჰყვეს ცოლად, მაგრამ მისი ნადავლის მიღების შემდეგ გამდიდრებულ გოგონას შერთვას ხარბი ბიძა სმიკრინე მოსურვებს (ბერძნული მეძვიდრეობის წესით, უპატრონოდ დარჩენილის მეურვეობა უფროს ბიძას ეკისრება).

II მოქ-ში ერთმანეთს ეჯახება ორი განსხვავებული ხასიათის ძმა. სმიკრინე, რომლის მხარეზეც კანონია, დაჟინებით ისწრაფვის გოგონა შეერთოს ცოლად. ხაირესტრატოსი კი ახალგაზრდების უფლებისა და ადამიანური გადაწყვეტილების დაცვას ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ. ხაირეა და ხაირესტრატოსი სასოწარკვეთილებლაში არიან ჩავარდნილი. მონა დაოსი ურჩევს მათ ხაირესტრატოსის სიკვდილი მოიგონონ, ხაირესტრატოსის ქალიშვილმა კი, როგორც მდიდარმა მემკვიდრემ, მიიტყუოს ხარბი სმიკრინე. მაშინ სმიკრინე კლეოსტრატოსის დას სიამოვნებით დაუთმობს სხვას, ე. ი. ხაირეას. ვარაუდი მართლდება. მოდის ყალბ დორიულ დიალექტზე მოლაპარაკე ცრუ ექიმი და ხაირესტრატოსს მკვდრად აცხადებს. სმიკრინე ანკენს წამოეგება და კლეოსტრატოსის დას ხაირეას უთმობს. ბრუნდება კლეოსტრატოსიც და, როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად მთავრდება. კომედიის დასასრულს ორი წყვილია წარმოდგენილი—კლეოსტრატოსი და ხაირესტრატოსის ქალიშვილი და ხაირეასი და შინდაბრუნებულის და.

ამ კომედიაში განსაკუთრებით ნათლად წარმოგვიჩინა მენანდრესეული შემოქმედების მრავალფეროვნება. აქ პირველად შეგვხვდა მენანდრეს კომედიებისათვის

⁹ ბედი, შემთხვევა, ბედნიერება, ნება-მენანდრეს კომედიების (საერთოდ ელინისტური ლიტერატურის) ღვათაბა.

¹⁰ 21, 736

¹¹ 15, 17

უჩვეულო გამოუსწორებელ არამზადა სმიკრინეს სახე, რომლის სიხარბის, ავკაცობის დასახატავდაც მენანდრე საღებავებს არ ეშურებს. აღსანიშნავია აგრეთვე „ფარში“ გამოყვანილ მონათა მკვეთრად დიფერენცირებული სახეები, რომლებშიც შემდგომი განვითარება ჰპოვეს მოლიერის, გოლდონის, ბომარშეს კომედიებში.

კომედიიდან *Καρχηδόνιος* „კართაგენელი“¹² მხოლოდ 60 სტრ. შემოგვრჩა. მიუხედავად ტექსტის სიმცირისა, სიუჟეტის მთავარი მოტივის დადგენა მაინც ხერხდება: მონა ეკითხება მგზავრს ვინაობას. მგზავრმა ისე სრულყოფილად უნდა წარმოადგინოს თავისი პიროვნება, თითქოს მოქალაქეობის უფლების დამდგენ სახელმწიფო კომისიას აბარებს გამოცდას. მისი დედა კართაგენის მხედართმთავარ ჰამილკარის შვილია. ამ კომედიის ინტრიგა მგზავრის მოქალაქეობრივი უფლების გამორკვევას ეხება, რასაც, როგორც ჩანს, ქორწილი უნდა მოჰყვეს. ამით ეს პიესაც უკვე ცნობილ ნიმუშებს უკავშირდება.

კომედია *Φάσμα* „მოჩვენება“¹³ ძლიერ ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. პიესის შინაარსი ასეთია: ერთ ქალს გათხოვებამდე შეეძინა გოგონა, რომელიც მეზობელ სახლში იზრდება. სამლოცველოდ შენიღბული გამოტყენილი კედლის საშუალებით დედა და შვილი ფარულად ხვდებიან ერთმანეთს. ქალის გერი ფეილია დაინახავს გოგონას, მოჩვენებად მიიჩნევს მას და შეუყვარდება. დამატებით ცნობას კომედიის შესახებ ვიგებთ „მენანდრეს ვილის“ მოზაიკიდან, რომელზედაც გამოხატულია II მოქ. სურათი — მეზობელი სახლის კედლის ხერელიდან გამოდის გოგონა, როგორც მოჩვენება, და მას შეყვარებულის შამა დაინახავს.

კომედია *Θεοφορισμύχη* „შერისხული“¹⁴ მხოლოდ 19 სტრიქონმა მოაღწია. აი ყოველივე, რისი გავებაც ხერხდება ამ მცირეოდენი ფრაგმენტიდან: გოგონა ბებიას ორგიებზე მიჰყავს, იქ გოგონა თვალთმაქცობს. ბოლოს იგი მაინც აღწევს შეყვარებულთან შეერთებას. ამ კომედიის სცენაც „მენანდრეს ვილის“ მოზაიკაზეა გამოხატული — ახალგაზრდა ბიჭის მამა აღფრთოვანებით ადევნებს თვალს ორგიასტულ ცეკვას.

გარდა სცენებისა კომედიებიდან „შეშლილი“ და „მოჩვენება“ 1961—1962 წწ. ლესბოსზე გათხრილ „მენანდრეს ვილაში“ აღმოჩნდა მოზაიკით მოხატული სცენები მენანდრეს კიდევ ათი კომედიიდან, მენანდრეს პორტრეტი და მუზა თალიას გამოსახულება. ეს მოზაიკა ჩვ. წ. III ს. თარიღდება. სცენების მინაწერები ასახელებენ არა მარტო პიესათა სათაურებს, არამედ აღნიშნავენ მოქმედებებსა და პერსონაჟთა სახელებსაც¹⁵. ასე მაგალითად:

„სამედიატორო სისამართლო“ — მოხუცი სმიკრინე მენანდრისა და მწყემსის კამათს წყვეტს.

„სამოსელი ქალი“ — ცოფმორეული დემეა, რომლის დაწყენარებასაც ამოდ ცდილობს მზარეული, აძევებს ქრისიდას ბავშვით.

„შექლებული“ — V მოქმედება. სურათზე არაა სახელები მიწერილი, ამიტომ ძნელდება ვინაობის დადგენა იმ პერსონაჟისა, რომელიც ყელსახვევით დახრჩობას იმუქრება. იგი ან გამოგდებული შეყვარებული თრასონიდია, ან მისი მონა გეტა, რომელიც კრატეისა და მის მამას თრასონიდეს (თავისი ბატონის) თავის მოკვლის ცდას წარმოუდგენს. „მენანდრეს ვილაში“ გვხვდება სხვა სცენათა გამოხატულებანიც კომედიებიდან („ქალები საუზმობისას“, „ყელსახვევი“, „მესაჭეები“, „ხანჯალი“, „მესენიელი ქალები“), რომელთა შინაარსები ჩვენთვის უცნობია.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ მენანდრეს ახლად აღმოჩენილი კომედიები და

¹² 17, 20, 24 ¹³ 17, 24 ¹⁴ 1, 3.

¹⁵ 20, 3 (ამ მოზაიკების რეპროდუქციებიათურთ)

ფრაგმენტები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა ახალი ატი-
კური კომედიის სპეციფიკის შესახებ და დავანახეს მენანდრეს შემოქმედების ბუნ-
დი ახალი მხარე.

ლიტერატურა

გამოცემა:

1. Menandri reliquiae selectae, Recensuit F. H. Sandbach, Oxford classical Texts, 1972.

თარგმანები:

2. Менандр Комедии; Герод., Мимиамбы, Москва, 1964.
3. Menander. Stücke. Verlag Philipp Reclam jung, Leipzig, 1975.
4. Menander. Dyskolos. Griechisch und deutsch hrsg. M. Treu Tusculum-Bücherei, 1961.
5. Menandro la Samia. Presentata e tradotta da italo Gallo. Salerno: Libreria inter-naz. editrice. 1973.

სამეცნიერო ლიტერატურა:

6. Тронский И. М. Новооткрытая комедия Менандра „Угрюмец“, ВДИ, 1960. 4. 564—67.
7. Тронский И. М. „Сикионец“ Менандра, ВДИ, 1966, 4., 55—63.
8. Menander; Dyskolos. Kommentar v. Franz Stoessl. Paderborn: Schöning, 1965.
9. C. Austin: Menander Dyskolos ZPE 14. 1974, 320.
10. R. Merkelbach: Menandrea 1. Über d. Handlung d. Silkyonios.
2. Nachlese z. Text d. Dyskolos, Mus Helv 23, 1966 172—185.
11. Horst—Dieter Blume: Menanders Samia. Interpretation. Darmstadt: Wiss. Buch-ges. 1974.
12. R. Merkelbach. Zum Schluß der Samia. ZP p 3, 1968.
13. Hans Joachim Mette. Moschion ó kósmios, Hermes 97. 1969, 432—439.
14. Winfried Bühler. Ein neuer Vers aus Menanders Misumenos. Hermes 94, 1966, 410—413.
15. Johannes Th. Kakridis. Zu Menanders Aspis Hermes 100, 1972, 489—491.
16. H. J. Mette. Der heutige Menander (insbesondere für die Jahre 1955—1965), Lustrum 10, 1965 (1966), 5—211.
17. H. J. Mette. Menander 1966—1973. Lustrum 16, 1971—72, 5—80.
18. Reinhardt Udo, Mythologische Beispiele in der Neuen Komödie (Menander, Plau-tus, Terenz). Mainz, 1974.
19. W. Schmid. Menanders „Dyskolos und Timonlegende“, Rhein. Mus. 102, 1950, 157-20.
20. Kurt Treu, Menander. Das Altertum, 1974, 4.
21. Lefebvre, Fragments d'un manuscrit de Menandre (Le Caire, 1907).
22. V. Koerte, Menandrea ex papyris et membra nis vetustissimis Lipsiae 1910
23. Г. Ф. Церетели, Новые комедии Менандра. Юрьевъ 1914

დაწვრილებითი მიმოხილვა:

24. A. Lesky, Geschichte der griechischen Literatur, 1971³, თავი Die neue Komödie 33. 717—750. იქვე დაწვრილებითი ზიბლიოგრაფია.

М. Л. ПХАКАДЗЕ

НОВОНАЙДЕННЫЕ КОМЕДИИ МЕНАНДРА

Резюме

В 1957 г. была опубликована единственная сохранившаяся полностью комедия Менандра Δύσκολος „Брюзга“. Затем последовал непрерывный

поток новых фрагментов Менандра. В 1972 г. Сандбах осуществил критическое издание всех дошедших до нас фрагментов комедий Менандра.

На основе данного издания и новейших исследований по Менандру в статье дается краткий обзор новонайденных комедий, значительно обогативших наши знания о характере *véα*, показавших новые стороны творчества великого греческого комедиографа.

M. PCHAKADSE

DIE NEUGEFUNDENEN KOMÖDIEN MENANDERS

Z u s a m m e n f a s s u n g

Im Jahre 1957 wurde die einzige vollständig erhaltene Komödie Menanders (Der Menschenfeind) veröffentlicht. Dann folgte ein ununterbrochener Strom der neuen Fragmente Menanders. Im Jahre 1972 gab Sandbach alle erhaltenen Fragmente der Komödien Menanders heraus.

Auf Grund dieser Ausgabe und der neuesten Untersuchungen wird im Artikel kurzer Überblick der neugefundenen Komödien gegeben, die unsere Kenntnisse über den Charakter *véα* bedeutend bereicherten und uns die Werke des großen griechischen Komödiendichters von neuen Seiten zeigten.

ПАПИРОЛОГИЯ В СССР И ОБЗОР ХРАНЯЩИХСЯ В МУЗЕЯХ МОСКВЫ, ЛЕНИНГРАДА И ТИФЛИСА КОЛЛЕКЦИЙ ПАПИРУСОВ *

Г. Ф. Ц Е Р Е Т Е Л И

Началоположником развития в СССР папирологии, иначе говоря, науки, изучающей греческие и латинские памятники письменности, начертанные на папирусе, является ныне покойный академик и профессор Петербургского университета В. К. Ернштедт. Им в 1887 г. был издан в России первый греческий папирус из небольшой коллекции Петербургской Публичной библиотеки, коллекции, приобретенной еще в 1857 г. и оставшейся с тех пор не затронутой ни одним из русских ученых. За этим изданием в 1891 г. последовала исполненная тем же Ернштедтом публикация другого папируса из той же коллекции, известного в науке под названием „вещего“. Это название объясняется тем, что в папирусе, содержащем каталог книг какого-то ученого III в. н. э., упомянута среди книг „Афинская полития“ Аристотеля, еще не бывшая достоянием науки в то время, когда упомянул о ней наш папирус, попав в 1856 г. в Россию.

Как это всегда бывает, нужен был первый толчок. Публикации В. К. Ернштедта пробудили в России дремлющий интерес к папирологии, к этой еще в конце XIX в. сравнительно юной научной дисциплине. С другой же стороны счастливым для занятий папирологией обстоятельством послужило и то, что известный русский египтолог В. С. Голенищев как раз в конце XIX в. составил свою, ныне находящуюся в Москве в Музее Изящных искусств, египетскую коллекцию, в которую вошли и приобретенные им в Египте греческие и латинские папирусы. Получился новый, богатый, непочатый материал, на который В. К. Ернштедт и направил внимание и силы своих учеников, с присущим ему искусством руководя их первыми робкими начинаниями. Одним словом, папирология получила в России права гражданства наравне с другими научными дисциплинами.

Между тем материал рос: коллекция В. С. Голенищева перестала быть единственной, прибавились коллекции Н. П. Лихачева и Пападопуло-Керамевса, небольшое собрание Бока, и, наконец, М. И. Максимовой и мое, приобретенные для нас в Египте акад. Б. А. Тураевым. Надо было

* Доклад, прочитанный 29 мая 1936 г. на заседании гуманитарной секции научной сессии Тбилисского гос. университета.

думать об общем издании всех папирусов: пришла пора заменить отдельные публикации сведением всего материала в один *Corpus papyrologum*. Работа была начата мною, но ее задержал ряд обстоятельств (война и т. д.). Только в 1925 году при советской власти и ее поддержке удалось мне с моими учениками, проф. П. В. Эрнштедтом, сыном покойного академика, и О. О. Крюгером, приступить к тому, что было нашим чаяньем, к изданию всех находящихся в пределах СССР греческих и латинских папирусов. Но осуществилось это не в Ленинграде, а здесь, в Тифлисе, где мне была представлена возможность начать издание. Под эгидой университета и были опубликованы первые 4 тома, а за опубликование двух последних взялся Музей Грузии, который и выпустил в минувшем 1935 г. пятый том. С выпуском 6 тома, который не замедлил, издание будет завершено и все наши коллекции греческих и латинских папирусов в общем исчерпаны.

Пока, таким образом, издано с приложением соответствующих введений и разъяснительных комментариев 215 памятников, частью литературного, частью документального характера, причем все эти памятники, падающие на период между 2 в. до н. э. и 8 в. н. э., делятся на греческие и латинские папирусы птолемеевского, раннеримского, позднеримского, византийского и арабского периодов. Я не буду подробно говорить о значении памятников для истории письма. Скажу только, что они ввиду наличия среди них ряда строго датированных документов, разнообразия стилей и почерков, и, наконец, немалого количества прекрасных по письму образцов, являются хорошим вкладом в общую сокровищницу палеографии и вполне заслуживают того, чтобы соответственный отбор из них был заключен в рамки особого сборника снимков, как дополнение к тем сборникам, которые издаются в Западной Европе.

Итак, минуя эту чисто формальную сторону наших коллекций, интересную главным образом для специалистов-палеографов, я перехожу к разбору и оценке входящих в коллекции памятников с точки зрения их содержания.

Начнем с литературных памятников, выделяя только те из них, которые имеют исключительное значение. Конечно, дело не обойдется без Гомера, этого „вечного“ спутника каждого образованного грека, настолько „вечного“, что рукописи Гомера часто следовали после смерти своих владельцев за ними, в их гробницы, как нечто, от них неотделимое. Папирусов с отрывками из Илиады и Одиссеи у нас много, но важным для критики текста является один, из коллекции Голенищева, содержащий почти всю 17 рhapsодию Илиады и относящийся к 2 в. н. э. Далее не следует обойти молчанием и небольшого клочка из „Антологии“, относящегося к глубокой древности, к 2 в. до н. э., и дающего отрывок из „Данаи“ Еврипида (fr. 324 Nauck), с опущением одного стиха, который, находясь в более поздних рукописях, представляет собой позднюю, не еврипидовскую, вставку. Для текстуральной критики подобный факт очень важен, как важно и то, что другой наш папирус с отрывками из Геродота только один и дает верное чтение двух мест, испорченных во всех прочих рукописях.

Но оставим в стороне эти и другие отрывки из известных нам раньше авторов античности (напр. отрывок из Исократ), и перейдем к отрывкам из таких произведений, которые до сей поры были нам неизвестны. Иначе говоря, мы переходим в область „воскресших“ поэтов, прозаиков и ученых древнего мира.

Тут на первом месте надо поставить фрагмент из комедии Менандра „Отравительницы“. Перед нами остатки сценки, стоявшей, по-видимому, недалеко от конца пьесы. Сперва идет разговор между двумя лицами, живой, выдержанный в естественном, непринужденном тоне, с налетом легкого юмора. Затем по удалении одного из действующих лиц начинается монолог оставшегося на сцене персонажа, который в такой форме излагает свою непритязательную житейскую философию:

Напрасно на судьбу я раньше жалился.
Мне худо было.—сдуру я и вымолвил:
„Слепа Судьба“, она-ж, как видно, зрячая!
Страдал не втуне я,—страданьем выковал
Себе же счастье, а его бы не было,
Не будь страданья.. Ясно, что не следует,
Кому живется плохо, вешать голову,
Беда подчас бывает к счастью поводом!

По отношению к этому фрагменту мы находимся в положении историка искусства, стоящего перед фрагментом дивной статуи. Статуя разбита, но сохранившийся от нее кусок не потерял своего очарования. Так и мы, воспринимая отрывок Менандровской комедии, ощущаем его прелесть, его художественную красоту. Но есть среди литературных папирусов и такие, которые, не претендуя на особую художественность, важны и интересны в другом отношении. Вот напр., папирус, содержащий гимн в честь Диониса и падающий на 3 в. н. э. Автор гимна нам неизвестен. Кто он, мы не знаем. Мы имеем перед собой только продукт его творчества, да и то лишь предварительный набросок, по которому поэт не успел пройти с последним резцом. Но зато нам дается в гимне новая неизвестная версия мифа о борьбе бога Диониса при распространении им своего культа с царем Фракии Ликуртом. Дается история борьбы в двух моментах: сперва поражение бога, потом явление его во славе и блеске. Бог творит чудеса. Они смущают богоборца,—он в трепете. Но ему уже нет прощенья,—Дионис неумолим. Он наводит на Ликурга безумие! В припадке безумия Ликург, думая, что он видит перед собой змей, убивает своих детей, затем приходит в себя, опознает бога, осознает ужас своего положения. Что будет дальше?

Сила безумия распалась.. Но гнева однако Дионис
Не укротил, и Ликурга, недвижно стоявшего, горем
Тяжким томимого, он виноградом опутал и крепко
Члены лозой оковал.. С той поры средь живущих на свете
Горькую долю влачил он: лоза ему шею сжимала,
Жилы с обеих сторон охвативши, а ныне свершает
В крае безбожных он труд безнадежный, в дырявую бочку
Воду вливая, она ж изливается в область Аида.
Кару такую Зевес громовержец, сын Крона, назначил



Как я уже сказал, главное в гимне это — даваемая им новая версия мифа, и благодаря ей он вырастает в своем значении для нас, а с другой стороны, он интересен и как образчик того периода в истории греческой поэзии, когда греческий гений уже выдохся и не имел сил подниматься выше посредственности.

Но довольно поэзии. Коснемся теперь другой области, а именно, прозы, как художественной, так и научной, которая еще шире представлена в памятниках, сохранных нашими папирусами. Отметим, прежде всего, прекрасный отрывок из Жития философа Секунда, „молчальника“, даваемый одним папирусом III в. н. э. и рисующий картину того, как даже перед лицом смерти Секунд не открывает своих уст и как затем, приведенный к императору Адриану, он и тут не нарушает своего обета не произносить ни слова. Что особенно выделяет отрывок, это — поразительная простота, сжатость и наивность изложения, — качества, которых уже нет в поздней византийской обработке „Жития“, испещренной разными добавками и риторическими ухищрениями. Второй же пример такого распространения основной краткой версии мы имеем и в „романе об Эзопе“, отрывок из древней обработки которого дает также один из наших папирусов. Если мы сравним и здесь стиль этого нашего отрывка с соответствующими местами романа в его новой византийской одежде, то ясно увидим, насколько испорчен он в поздней переделке. Сама же по себе древняя легенда об Эзопе очень интересна. В ней можно видеть прообраз „приключенческого романа“, в котором рисуется жизнь, путешествия и странствования Эзопса, приводятся его остроумные изречения и поучительные рассказы и, наконец, повествуется о его трагической смерти от руки жителей Дельф, мстящих ему за его язвительные и обидные выходы против них.

Я сказал бы, что папирус, сохранивший этот отрывок, может считаться одним из украшений наших коллекций. Недаром он обратил на себя внимание западноевропейских ученых и вместе с другими, параллельными отрывками, находящимися в Италии, Франции и Англии, послужил темой для хорошей немецкой диссертации Zeitz'a, вышедшей в 1935 г. Итак, в области „житийного“ романа наши папирусы дают много нового и действительно интересного. Но только ли в ней? Такие отделы, как астрология, религия, риторика и в особенности история древней медицины, в свою очередь представлены первоклассными памятниками. Укажем некоторые из них.

Вот, напр., совершенно уникальный, но, к сожалению, сильно пострадавший от времени, отрывок астрологического трактата. В нем говорится о соотношении планет между собою в связи с занимаемым ими положением, и о том влиянии, которое оказывают они на человеческую жизнь, как бы вперед намечая для людей соответствующую специальность соответственно тому, в каком знаке зодиака находилась при рождении того или другого человека та или другая планета. Изложение ведется в строгом,

сухом, докторальном тоне, вполне подходящем для научного сочинения, тем более, что астрология была в глазах древних наукой, да еще такой, которая приподнимала завесу грядущего.

Такой же строгий, еще более прецизный тон выдерживается и в сочинениях медицинских, из которых я остановлюсь на двух, выделив из общего числа отрывки из фармакологического справочника, восходящего к знаменитому фармакологу Секстию Нигру, современнику Августа, и отрывки из офтальмологического учебника. В свое время ими занимался один из талантливейших учеников В. К. Эрнштедта, один из немногих знатоков древней медицины, слишком рано унесенный смертью, А. Г. Бекштрем. Он и проложил дорогу к разработке наших медицинских папирусов, по которой мы и идем в настоящее время.

Что касается „фармакологического справочника“, то в нем сперва идет речь о разных сортах смолы, главным-образом терпентиновой, о способах ее изготовления и о воздействии ее, как лекарства, на разные болезни.

Далее автор переходит к гранатовому яблоку, описывает способ вытяжки гранатового сока, говорит о его лекарственной силе и его применении, а потом от гранатового яблока делает переход к листьям смоковницы и т. д. Одним словом, перед нами практическое руководство для врачей, вроде 6 и 7 книг сочинения Галена „О составлении и силе простых лекарств“, расположенное притом в алфавитном порядке и, помимо всего, интересное и потому, что во многом можно проследить его воздействие на Диоскурида и Плиния. Но не менее любопытен и „офтальмологический учебник“, имеющий форму „вопросника“. В нем, поскольку он сохранился, рассматриваются четыре глазных болезни: глаукома, стафилома, птеригий (крыловидная плева) и гипохима (βρόχιμα-излияние), трактуемые по следующей схеме: 1) определение болезни и ее описание, 2) причины ее возникновения, 3) отличительные свойства, 4) способы хирургического воздействия. Изложение сжатое, краткое, ясное и легко усваиваемое, как то можно видеть из следующих примеров:

1. „Что такое птеригий?“ — „Перепончатый отросток в углу глаза вследствие разращения мяса“.
2. „Как образуется птеригий?“ — „Разрастается мясо ниже угла глаза, который делается чрезмерно большим; происходит же птеригий под роговой оболочкой“.
3. „Чем отличается птеригий?“ — „Различаем его по величине, виду, месту, цвету или природе“.
4. „Чем отличается глаукома от излияния?“ — „Глаукома это—переход самого зрачка из черного цвета в белесоватый, а излияние—застаивание недействительной жидкости в области зрачка, мешающее просто видеть или ясно видеть“.

Наконец, поскольку дело касается риторики, то и этот отдел по-сильно иллюстрируется одним, пока не изданным, папирусом 4/5 в. из коллекции Гос. Эрмитажа, содержащим большой отрывок из какого-то сочинения по риторике, вроде „*προϋρνησισματα*“ Афтония. То, что пока мною прочитано и дополнено, позволяет установить сходство стиля и содержа-

ния как раз с Афтонием, что не значит еще, что мы имеем дело именно с Афтонием: как автор, возможен и какой-нибудь другой ритор, напр. Гермоген. Но во всяком случае папирус должен быть отнесен к числу интересных и важных памятников и дальнейшая работа над ним может привести нас к хорошим результатам и к безусловно положительным выводам.

Заключительным же, резко диссонирующим аккордом ко всей этой массе поэтических и прозаических памятников как чисто художественного, так и научного характера, является разного рода наговоры и заклинания, — проявления дикого суеверия, среди которых особенно интересно одно христианское, VI в. В нем автор призывает к себе на помощь архангелов и ангелов, „замыкающих окна небес“ и „воздымающих свет на четырех концах мира“, дабы они помогли ему одолеть его врагов, представителей ереси „акефалов“, т. е. „безглавных“, не признававших ни церковной иерархии, ни таинств. Но если вспомнить, что эта ересь появляется в VI в., то в нашем папирусе, относящемся к тому же времени, мы можем видеть уже не простой курьез, но интересную справку, важную для истории церкви и религиозных суеверий вообще. Но как ни важны литературные памятники, все-таки не они составляют главное ядро коллекции. Главный материал образуют памятники документального характера, как официальные, так и частные. Конечно, исчерпывающим образом обозреть всю эту массу документов я не имею возможности: надо и здесь ограничиться выборками.

Я начну с частных писем. Еще Гете (Sämtliche Werke, Bd. 26; Stuttgart 1868, 3) сказал, что письма вообще принадлежат к важнейшим памятникам, оставляемым людьми после себя. „Все, что нас радует или огорчает, — говорит он, — тяготит или занимает, все это передается в письмах от чистого сердца. И как неизгладимые следы данного существования, данного состояния, подобные листки тем важнее для потомства, чем более пишущий занят настоящим моментом и чем меньше думает он о будущем“. Именно о настоящем, о всех своих маленьких печалях, радостях, интересах, и думают и пишут авторы наших писем, в какое бы время, при каких бы политических обстоятельствах они ни жили. Лишь изредка, да и то глухо и неопределенно, сообщают они о внешних событиях, как, напр., делает это в III в. н. э. врач Марк в письме к своей матери Антонии. „Никак не мог отлучиться и засвидетельствовать тебе свое почтение. Была битва между жителями верхней части нома и войсками. Пало 15 солдат из числа сингуляриев, не считая легионеров, эвокатов (сверхсрочных), раненных и пропавших без вести“. Но когда и где именно была битва, определить невозможно. Только из письма, посланного той же Антонии ее другим сыном Сереном, мы узнаем, что врач Марк, брат Серена, да и сам Серен, тоже врач, страшно заняты: они поглощены заботами относительно больных и лечебницы. „Уехать нельзя, ропот поднимется, — ну, а представитель власти шутить не любит“. — Хотелось бы проникнуть в суть этого исторического события, но пока что не удалось и вряд ли удастся: никакие комбинации не помогают. Зато из писем обоих братьев, особенно, из письма Серена, ясно вырисовывается тесная связь сыновей с матерью,

411053
Видно, 10133

их нежная любовь к ней, весь семейный уклад и та гордость за брата, которой преисполнен Серен, о себе самом говорящий очень мало. Видно, что перед нами деловые люди, врачи, находящиеся на государственной службе и как бы дополняющие друг друга. Им не хватает одного: присутствия матери: пусть бы она совсем переехала к ним,—все будет для нее, и любовь, и удобства, и почет.—Однако такие сердечные письма—редкость в той массе писем, которые дают папирусы. По большей части содержание их носит деловой характер. На первом месте стоят практические интересы. То отправитель письма просит о высылке денег или платья, то даются распоряжения чисто хозяйственного характера, то говорится о торговых операциях, о необходимой закупке en grand тех или других, ходких или редких товаров. В этом отношении особенно интересен один папирус,—письмо, трактующее о „персиках“. Некто Аммоний дает поручение своему брату Апиону скрутить все находящиеся на рынке персики. Мало того, о покупке персиков должен, кроме адресата, позаботиться и какой-то глухой Дионисий. Одним словом, все старания следует приложить, чтобы персики не миновали рук Аммония. На эту покупку Апион должен направить всю свою энергию. Письмо так и пестрит словами: „не ленись“, „не зевай“, „напряги все силы“. Получается такая картина, будто без персиков все для Аммония погибло, и он на манер Ричарда, восклицающего: „Коня, Коня:—все царство за коня!“—не устает повторять: „Персики, Персики,—что угодно за персики“ Чем же объясняется подобная настойчивость? Ларчик, как всегда, открывается просто. Персики были редким явлением на египетском рынке. Впервые, как импортный товар, они появляются в Египте не раньше III в. н. э. На них можно было хорошо нажиться. Вот почему Аммоний, вероятно, торговец фруктами, и не перестает понукать к их покупке Апиона.

А вот другое, не менее любопытное письмо, падающее на VI в., письмо, которое пишет своей матери, Филосторгии, ее сын, Схоластикий, возмущенный долгим молчанием близких. Привожу его in extenso: „Думаю, что если рука божия не поможет, сбудется на мне благодаря Вам пословица: «с глаз долой, из сердца вон». Я прямо устал спрашивать в письмах, внимательны ли к Вам известные Вам люди и исполняют ли свой долг по отношению к Вам. Вы же что-то несуразное пишете, не имеющее ни ног, ни головы. Мало того, послал я к Вам и в Арсиноитский ном слугу Коллуфа, написал Вам, прося прислать с ним шерстяную фуфайку и другие вещи и что же? пробыл он у Вас с божьей милостью три с половиной месяца и вернулся с пустыми руками, даже письма от Вас не принес. Коль скоро дело обстоит так, следовало бы и мне мозги в голове иметь и не писать Вам больше: довольно с меня и того, что мною написано!“

Это замечательное по своему стилю и содержанию письмо, вылившееся, что называется, из сердца, замечательно и еще в одном отношении: оно впервые дает нам прототип русской пословицы: „с глаз долой, из сердца вон“. Только из нашего письма стал нам известен греческий образец пословицы, переводом с которого является русская формулировка.

Итак, пока мы имели дело с письмами семейного характера, пусть

разного содержания и тона, но все же однородными по тому *milieu*, из которого они исходили.

Но вот перед нами иное письмо, IV в., которое из семейного быта переносит нас в область социальных отношений, письмо жителей деревни Евгемерии к их патрону Нехо, крупному аграрию, пытающемуся наложить свою руку на личность патронируемых им крестьян. Иными словами, мы имеем здесь наиболее древний пример того, как патрон, под защиту которого добровольно отдавались крестьяне, чтобы иметь в нем опору против фиска, с каковым уже сам патрон имел дело, уплачивал фиску крестьянские налоги и подати, вносимые ему крестьянами,—как этот патрон, несмотря на исправность крестьян, не прочь превратить их в крепостных. Скажу прямо, этому письму цены нет: до такой степени оно важно для истории аграрных отношений. Мы видим, как рука патрона грозит налечь тяжелым гнетом на крестьян и как стараются защититься последние. „Мы хотим, чтобы ты знал, господин наш Нехо,—пишут они — что ни при отце твоём, ни при твоей милости мы не передавали Вам своего тела. Мало того, так как из года в год мы делаем свои взносы, мы не ставим себя ни под чью власть... Но если у семьи господской есть в чём-нибудь недостача, то мы, наш юный патрон, спорить не будем: коль думается тебе налог наложить, то наложи“. Иначе говоря, крестьяне готовы откупиться деньгами, лишь бы сохранить личную свободу.

Однако мы знаем, что сравнительно скоро, в 415 г., крупные собственники, с которыми правительство не могло справиться, с его же согласия из патронов, из защитников угнетаемых, превратились в посессоров, в господ, а мелкие, патронируемые ими собственники, — в „приписных“, в крепостных. Наше письмо, таким образом, показывает, что если *de jure* новый порядок и вступил в жизнь только в 415 г., то *de facto* он начал входить уже в IV в., чтобы затем к VI в. принять форму махрового феодализма. О том же, какой пышностью окружали себя феодалы, наилучшими свидетелями являются те же папирусы, которые повествуют нам о разных магнатах, вроде стрателата и пагарха Феодоракия, резидирующего в г. Арсиное, имеющего своих чиновников и играющего роль *grand seigneur*'а, держащего в своих руках всю округу, пагархом которой он является.

Столь же поучительны и относящиеся к другой области памятники, касающиеся школы. Я имею в виду те папирусы и таблички, как волшебные, так и не покрытые воском, которые содержат в себе упражнения учеников в письме. Так, на одной табличке дается многократно повторяемый неопытной рукой школьника греческий алфавит, на другой — опять-таки многократное повторение учеником прописи учителя, сперва тщательное, затем становящееся все более и более небрежным: не то неважкая рука устала, не то притупился интерес пишущего и он спешит отделаться от наскучившей работы. Конечно, такие упражнения пестрят орфографическими ошибками и всякого рода *lapsus*'ами. Но с другой стороны, интересно наблюдать и то, как постепенно кренчает рука пишущего, как

он от прописи переходит к самостоятельному письму, берется даже за Гомера.

Не менее любопытны, однако, и другие упражнения, уже не в письме — им пишущий владеет свободно, — а в усвоении и выработке канцелярского стиля, для каковой цели на разные лады, с внесением то тех, то других изменений в текст, пишущий упражняет себя в формулировке документа. У нас в коллекции Гос. Эрмитажа имеется великолепный образчик такого рода упражнений канцеляриста — деревянная, с обеих сторон покрытая письмом доска, текст которой относится не то к 449, не то к 464 г. Этот текст 5 раз с разными вариациями повторяет одно и то же — фиктивное распоряжение высшего должностного лица на имя известного впоследствии своей трагической смертью Флавия Антиоха Дамоника, погибшего в 468 г. в несчастном для византийцев морском бою с вандалами. Для нас же этот вообще интересный памятник интересен и как наглядный пример того, с каким трудом и тщанием вырабатывался и усваивался тот официальный стиль византийских канцелярий, который так поражает нас изысканностью и кудреватостью своей постройки.

Обо все этом и о многом другом говорят нам папирусы, будь то частные письма, или упражнения в письме и стиле, или правовые документы частного и официального характера. Вся жизнь Египта как греко-римского, так и византийского и арабского, проходит перед нами в пестрой смене лиц и явлений. Мы видим, как с переменой правительств, в зависимости от этой перемены, меняется облик страны, способы и органы управления, уклад жизни, социальные условия, духовное развитие жителей. Мы наблюдаем, как видоизменяется даже стиль актов и документов, постепенно переходящий от прежней предизности к византийской расплывчатости и многословию. Мы видим, наконец, как греческий язык все более и более варваризируется, втягивая в себя иноязычные элементы, главным образом коптизмы.

Но каково же, если выключить отмеченные памятники, содержание прочих, сохранных нашими папирусами, и на какие отделы они распаляются? Этих отделов будет два: документы официальные и частные. Но в свою очередь каждый из отделов подразделяется на ряд мелких в связи с тем, откуда исходит документ и каковы его цель и назначение.

Что касается официальных документов, то в первую голову заслуживает внимания один, падающий на 209 г. н. э. и касающийся культа бога Аписа. Это — две расписки, составлявшие некогда часть целого свода таких же расписок. Выданы они храмовыми служителями бога в удостоверение того, что последние от директоров государственного банка получили за срок такого-то и такого-то года как деньги на расходы бога, так и свое, причитающееся им, вознаграждение. Главная важность этого документа из разряда „храмовых актов“ заключается в том, что из него нам впервые становится известен состав служителей Аписа, носящих следующие характерные наименования: „священно-кормильцы“ „священно-врачи“, „священно-повара“. Но не менее уникален и другой документ IV в. из другой, уже не религиозной области. В нем содержатся остатки большой „расходной книги“ какого-то, повидимому, военного или

провиантского ведомства, на обязанности которого лежала забота об обу-
ндировании и продовольствии стоявших в Египте воинских частей. Идут
длинные списки предметов, пестрят перед глазами хламиды, плащи, ша-
пки и т. д., приводятся цены, перечисляются поставщики, упоминаются
способы перевозки, гильдии ткачей, валяльщиков и т. д., — словом, мы
видим, что, как и кем доставляется ведомству и как многочисленными
чиновниками заносятся в книгу с отметкой подлежащей уплате суммы.
Все это очень важно и тем более поучительно, что такой „расходной
книги“, и притом военного ведомства, мы в папирусах не встречали.

Так и идут один за другим папирусы официального характера, раз-
ного объема, разного содержания, разного значения: деловые журналы
должностных лиц, приказы и распоряжения органов администрации, от-
четы властей, всевозможные расписки в уплате и взносе налогов и пода-
тей, бесконечные по числу знакомящие нас с сложной историей налоговой
системы и т. д., — богатейший материал для изучения внутренней истории
Египта, главным образом за римский и византийский периоды. А за до-
кументами официального характера непрерывной лентой тянутся деловые
документы, частного характера, распадающиеся на две главные группы:
на документы, иллюстрирующие сношения частных лиц с должностными,
и на документы, заключающие в себе сделки частных лиц между собою.
В первом случае мы имеем дело с разными прошениями и жалобами по
всевозможным серьезным и не серьезным поводам, а также поземельные
и аукционные списки, декларации собственников по поводу своего иму-
щества в связи с подоходным налогом, сходные декларации, имеющие от-
ношение к через каждые 14 лет производившейся переписи населения и
т. д. Сюда же можно относить и обязательные доклады о смерти или
рождении того или другого члена семьи. Что же касается сделок частных
лиц между собою, то они еще более многочисленны и разнообразны.
Для примера отмечу купчие и аренды, заемные письма и договоры, пору-
чительства и завещания, и, наконец, брачные контракты, причем, по-
скольку дело касается последних, у нас есть единственный в своем роде
контракт времен имп. Констанция, контракт, по условиям которого неиму-
щий жених входит в дом тестя в качестве нахлебника, связанного
целым рядом обязательств.

Содержание и значение папирусов наших коллекций мной в общих
чертах отмечено. И если о чем мне хотелось бы сказать еще несколько
слов, то это о документах времени начальной оккупации Египта арабами,
когда он, перестав быть провинцией Византии, еще не потерял своего
греческого лица и культуры.


Папирусами этой эпохи особенно богата бывшая коллекция Н. П. Лиха-
чева, где дополняющая, а где и продолжающая соответствующую коллекцию
Британского Музея, и в своей датированной части захватывающая 709—
721 гг., губернаторство Корры бен Шарика (*Kórra βέν* или *υβός*
Σέρικ).

Документы, сюда входящие, выдержавы еще в стиле византийских
канцелярий и распадается на распоряжения и приказы губернатора с
одной стороны, и на счета и списки — с другой. Лицом же, которому дают-

ся приказы, является главным образом грек Василий, диоикет Афродитопольской пагархии. Содержание приказов очень разнообразно, но тон везде одинаковый, — суровый, непререкаемый, по большей части с присоединением угрозы самого жесткого взыскания в случае неточного исполнения распоряжений. Из этих распоряжений особенно важны два, проливающие яркий свет на тяжелое положение населения, которое в значительной части своей находится в „бегах“. И вот на обязанности пагарха и подчиненных ему лиц лежит обнаружение „беглых“, вылавливание их и отправка по этапу на место их прежнего жительства. „А если хоть одна беглая душа будет найдена в твоей области, — добавляет Корра, — то ты заплатишься своим имуществом“. О том же, что с провинившимися жителями не церемонились, но часто применяли к ним самые жестокие пытки, говорит другой приказ того же Корры. В нем отменяется одна из пыток: вливание в рот и нос извести, разведенной уксусом, причем отмена мотивируется тем, что такая пытка отражается на потере пытаемыми их работоспособности, что невыгодно для государства, теряющего нужные ему рабочие руки.

О мучительности же пытки повествует нам одно письмо, посланное слугой господину и падающее на период сассанидского нашествия на Египет, т. е. на 619—629 гг. „Да знает мой добрый господин, что я многое выстрадал, — говорит автор письма, и продолжает. — Пришли Персы и потащили меня в Фоссат и пытали меня уксусом и известью, вливая в рот и нос. И стал мертвым я, как те, что в гробу. Через три часа вернулось дыхание, и нашел я, что Персы ушли, а меня к северу от Летополя бросили. Ушел я таким образом из их рук и добрался до Арсинои. Там разболелся я. Пока же я без сознания лежал, взяли Персы еще и детей моих. И вот один, нагим, пришел я сюда“.

Это письмо пусть будет заключительным словом моего доклада... Хотя я и не мог с исчерпывающей полнотой обозреть весь громадный материал, представляемый нашими коллекциями, все-таки для каждого, думается мне, ясно, как много нового заключает он в себе и для филолога, и для историка, и для юриста. Следовало бы нам расширить наши коллекции папирусов, и сделать папирологию одним из предметов преподавания на историко-литературных факультетах наших вузов, ибо ей предстоит богатейшее будущее.



რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან

კორნელი დანელიძე

ბიბლიამ ადრე ყველა ქრისტიანი ერის კულტურულ ცხოვრებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. კ. კეკელიძე წერს: „ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ყველგან საერთოდ, ისე ჩვენშიც, ბიბლიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მისცა ძველ სასულიერო მწერლობას ნიმუშები ლიტერატურული ენაებისა, პოეტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქნილი, დახვეწილი პროზაული ენისა. ძველი მწიგნობრები ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვის ხერხებსა და შემოქმედების ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალური საქმიანობის განვითარებისათვის“ (18), 428). სამწუხაროდ, ბიბლიური წიგნების ძველი ქართული რედაქციების ქრონოლოგიისა და წარმომავლობის შესახებ ადრეული (V—VIII) პერიოდიდან არ მოიპოვება რაიმე პირდაპირი და ისტორიული ხასიათის ცნობები. ძველი (X საუკუნემდელი) მთარგმნელები და რედაქტორები რუღუნებით იღვწოდნენ, ოღონდ უხმაუროდ და სახელმოუხსენებლად ტოვებდნენ თავის ნამუშავეთ. ასეთ კრძალულებას, ალბათ, უპირველესად თვით ქრისტიანული ეთიკა შთააგონებდა: „ეკრძალენით ქველის საქმესა თქუენსა, რაჟთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა“ (მ. 6, 1); „მაჟა შენი რომელი ჰხედავს და ფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მ. 6.6). ძველ მორწმუნე მთარგმნელებსა და რედაქტორებს, ალბათ, სწამდათ ღმრთის სიტყვებისა, რომ „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადდეს“ (მ. 10, 20). მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის დღემდე დაფარულია და საიდუმლო, თუ ვინ იყვნენ ბიბლიის ქართულ ენაზე პირველად მთარგმნენი, რომელი უცხოენოვანი რედაქციით სარგებლობდნენ ისინი, ან როდის უნდა შესრულებულიყო ასეთი უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაო.


ქართულ ენაზე ბიბლიის პირველ მთარგმნელთა სახელების მოუხსენებლობას ქრისტიანულ მოკრძალებასთან ერთად, შესაძლოა, ისიც განსაზღვრავდა, რომ ამ საქმის შემსრულებელი ერთი ან ორი კაცი კი არა, მთელი კომისია უნდა ყოფილიყო. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება ქართლსა (337 თუ 325—330 წ.წ.) ([12], 225—228; [25], 73; [10], 83) და ეგრისში (IV საუკ.) [25], 188) გულისხმობდა არა მარტო გარკვეულ შინაურ სოციალურ-საზოგადოებრივ პირობებს, არამედ გარეპოლიტიკურსაც. ცხადია, ასეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მოვლენის (ქრისტიანიზაციის) საყრდენის—ბიბლიური წიგნების ნაციონალურ ენაზე გადმოღება მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო

საქმედ იქნებოდა მიჩნეული და მისი შესრულება ერთ კაცს არ ექნებოდა მიჩნეობილი. ამ დროს არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნახევრად ლეგენდური ცნობა იმის შესახებ, რომ ებრაული ძველი აღთქმის ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნაში 70 თუ 72 ალექსანდრიელი სწავლული ყოფილა ჩაბმული (III საუკ. ძვ. წ.), რის გამოც ბერძნულ ტექსტს, სეპტანტას, ლათინურად სეპტუაგინტას უწოდებენ. უფრო მეტიც: XIX საუკუნის I ნახევარში ბიბლიის რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში მონაწილეობდა სამი სასულიერო აკადემია პეტერბურგის, მოსკოვის და კიევისა... ასეა თუ ისე, ჩვენთვის დღემდე უცნობია არა მარტო ბიბლიის ქართულ ენაზე პირველად მთარგმნელთა ვინაობა. არამედ ამ უცნობლობის მიზეზიც.

მხოლოდ XI საუკუნიდან მოგვებოვება ყრუ ცნობები ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებზე. გიორგი მთაწმიდელი უდიდესი მოკრძალებით და ქებით ახსენებს ქართულ ენაზე ბიბლიის პირველად გადმოღებთ და, როცა ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით საქმიანობას ეხება, ამბობს: „ეგვიეთარი თარგმანი გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუნსა და ვგონებ თუ, არცალა გამოჩინებად არს (15], 47, 2). ასევე მაღალ შეფასებას აძლევს მათ გიორგი მცირე (ხუცეს-მონაზონი)“; „... პირველით განვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი“ (127]. 123, 20). დღეს ძნელია იმის თქმა, გიორგი მთაწმიდლის დროისათვის საქართველოში იცოდნენ თუ არა ბიბლიის ქართულ ენაზე მთარგმნელთა სახელები. ნაკლებ დასაჯერებელია, რომ ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა ანდერძ-მხნაწერებში პირველ მთარგმნელთა სახელები მოხსენიებული ყოფილიყო და შემდგომი დროის გადამწერთ უგულუბელეყოთ ისინი.

მდგომარეობა იცვლება X—XI საუკუნეებისათვის: გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე დაუფარავად მიუთითებენ იმ შრომაზე, რაც მათ გასწიეს ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანთა რედაქტირებაზე. ამ შემთხვევაში დეაწლის გამჟღავნება და დაუფარავობა ობიექტური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, და არა უკრძალველობით: მათ ძველი და დიდი ლიტერატურული ტრადიცია იმე-მკვიდრეს. XI საუკუნეში მძიმე პოლიტიკურმა და კულტურულმა გარემომ დიდ-მპყრობელური ბიზანტიის იმპერიაში მოქმედი ქართული სამწერლო კერები აიძულა, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანი, რომელიც არსებითად შემოქმედებითი თარგმანი იყო, შეესწორებინათ და დაეახლოვებინათ ბერძნულ ტექსტთან. საუკუნეების განმავლობაში ქართული ეკლესიის მიერ მიღებული და მოქმედი ძველი თარგმანის შეცვლა და უსახუთებლად და სახელმოუხსენებლად უდიდეს მწვალებლობად, მკრთელობად ჩაითვლებოდა. ამიტომაც იყვნენ იძულებული გიორგი და ეფრემი, არ დაეფარათ ბიბლიის ტექსტების რედაქტირებაზე გაწეული შრომა.

დღეს საკამათოდ არავის მიაჩნია, რომ აუცილებელია ქართული ბიბლიური წიგნების ცალ-ცალკე საგანგებოდ შესწავლა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ წერდა ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგი რობერტ ბლეიკი: თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბიბლიის ცალკეულ წიგნებს თავ-თავისი ისტორია გააჩნიათ და რომ ქართული ბიბლია მთლიანად შედგენილი ხსიათისაა და სხვადასხვა მიმართებაშია უცხოენოვან პირველწყაროებთან, მაშინ ამ საკითხის ყოველ მხრივ გასარკვევად და ყველა მიმართებით შესასწავლად საჭირო იქნება მკვლევართა არაერთი თაობის შრომა ([36], 2). ასეთ შემთხვევაში ქართულ ბიბლიაზე საერთოდ, საზღვარშემოუწერლად საუბარი უშედეგოა. ამიტომ ჩვენი წერილის მიზანია წარმოადგინოს ზოგიერთი ახალი მასალა, ან ცნობილი მასა-



ლების ახლებური ინტერპრეტაცია ბიბლიური წიგნების ქართულად თარგმნის ზოგიერთ საკითხზე; კერძოდ: 1. როდის უნდა ვადმოილოთ ქართულად ბიბლიური წიგნები; 2. რომელი უცხოენოვანი რედაქციით უნდა ესარგებლოთ პირველმთარგმნელთ; 3. როგორია ძველი ქართული თარგმანის ხასიათი ზოგადად; 4. ზოგიერთი ქართული ქრისტიანობის ტერმინის გენეზისისა და სემანტიკის საკითხი. ჩვენ კარგად ვვაქვს შეგნებული აქ აღძრული საკითხების სირთულე და მათი საბოლოოდ გადაჭრის პრეტენზიას სრულებით არ ვაცხადებთ. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ კომპლექსური შესწავლის გარეშე ქართული ფილოლოგიის წინაშე დასმული ბიბლიოლოგიური პრობლემები ვერ გადაიჭრება. საჭიროა: ა. კრიტიკულად იქნეს შესწავლილი ამ საკითხებთან დაკავშირებული გვიანდელი (XI—საუკ-დან მოყოლებული) ლიტერატურული ცნობები, ბ. გათვალისწინებულ იქნეს IV—V საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა, გ. მკაცრი ლინგვისტურ-ფილოლოგიური ძიებით გამოვლინდეს ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში უცხოენოვანი ელემენტები და გაირკვეს მათი ქრონოლოგიური უწინარესობა — შემდგომადობა. თუ სამივე გზით მიღებული შედეგები ერთნაირ დასკვნამდე მიგვიყვანს, უკეთ სხვადასხვა გზით მიღებული დასკვნების ურთიერთგამოურთიკხაობის შემთხვევაში შეიძლება მიღებული შედეგები ჭეშმარიტებასთან მიახლოვებულად ვივარაუდოთ. დღემდე ბიბლიოლოგიური საკითხების კვლევის მეთოდოლოგიური ნაკლი ის არის, რომ ცალკეულ უბანში მოპოვებული კვლევის შედეგებით არის გაცემული პასუხი კარდინალურ კითხვებზე, ე. ი. საკითხების გადაჭრა ხდება ან ლიტერატურული წყაროს ინტერპრეტაციით, ან ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, ანდა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზით, და არა სამივე უბანში მიღებული კვლევის შედეგების ურთიერთშეჯერებით.

1. ქრონოლოგიის საკითხი: ბიბლიური წიგნების ქართულ ენაზე გადმოღების დროის შესახებ ძველი წერილობითი წყაროები დუმს. ამიტომ მკვლევარებიც ვარაუდს სჯერდებიან ხოლმე. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „უნდა ვიფიქროთ, რომ საღმრთო წერილი ყველაზე ადრე ითარგმნა ქართულად... იაკობ ცურტაველის თხზულება „მარტვილობა შუშანიკისი“ ნათლად გვიმტკიცებს, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელს ანუ სახარება, პავლე მოციქულის ეპისტოლენი, სიიდანაც იაკობს ციტატები მოჰყავს, და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი დავითნი“ ([8], 411—412). V საუკუნის II ნახევრის მწერალი იაკობ ხუცესი რომ პავლე მოციქულის სიტყვებს იმოწმებს, ეს მართლაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერის დროისთვის უკვე არსებობდა პავლეს ეპისტოლეთა ქართული თარგმანი. მაგრამ კატეგორიულად ამის დამტკიცება მხოლოდ აღნიშნული ფაქტის საფუძველზე გაჭირდება. გაჭირდება იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, იაკობს განათლება რა ენაზე ან რა წყაროებით ჰქონდა შეძენილი, რომელ ენაზე კითხულობდა ის ეპისტოლეებს თუ სახარებას, რომელსაც თვით ბერძნული „ევანგელე“-ს სახელით იხსენიებს. ეს სკეპსისი მოიხსნება, თუ ცურტაველის თხზულებაში მოყვანილი ბიბლიური ციტატები თანხედენილი აღმოჩნდება თვით ბიბლიური წიგნების ძველი ქართული რედაქციების იკითხვისებთან. საკითხის დაწვრილებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ „შუშანიკის წამებაში“ არ ვვაქვს ზუსტი ციტაცია, გარდა ერთი ადგილისა (II ტომ. 2, 17), იაკობი ახდენს პავლესეული აზრის პერიფრაზებს თხრობის საჭიროებისამებრ. ასეთ შემთხვევაში პავლესეული ნააზრევი იაკობმა ქართული თარგმანიდან აიღო თუ არაქართული წყაროდან, დაუდგენელი რჩება. მაგრამ

არის ერთი ადგილი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ იაკობს უნდა ესარგებლა პავლეს ეპისტოლეების ძველი ქართული თარგმანით. რჯულგამოცველი ქართველი საეკლესიო ადმინისტრაციული უმუშაო ტოვებს სასახლეს. მასთან მიღწევა მსგავსად ხუცესი, ანუ გემებს და ამხნეებს: „ლუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუჟუჟე მტერმან ვითარცა სრსულმან საძოვარი პოს შენ თანა“ ([26], 13, 20). უკანასკნელი წინადადება პავლეს ეპისტოლედან არის, სადაც პავლე (ბერძნული დედნის მიხედვით!) არიგებს ტიმოთეს, განერიდოს ცრუ-მოციქულებს, არ მოექცეს მათი გავლენის ქვეშ, თორემ მათი (მწვალებელთა) სიტყვები ისე გავრცელდება, როგორც განგრენაო. ეს აზრი ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებში ასეა გადმოცემული: „და სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსულმან, საძოვარი პოს“ ([17], 11 ტიმ. 2; 17). ქართული თარგმანი ბერძნული წყაროს შეუფერებელ გადმოცემას, ე. წ. nonsens-ს წარმოადგენს. ბერძნული γάρყρανα (განგრენა) ქართულში სრსულ სიტყვითაა გადმოცემული, ხოლო ναιρη ჰქვამს რომელიც იდიომია და ნიშნავს „გავრცელდება“, პირდაპირ, კონტექსტისათვის შეუფერებლად არის გადმოღებული: „საძოვარი პოს“. ამ ადგილის სწორი თარგმანი არც სომხურსა და არც სირიულ რედაქციებში არა გვაქვს ([18], 151—153). და, რადგან ასეთ შემთხვევაში იაკობ ხუცესისეული ციტატი იმეორებს ძველი ქართული თარგმანის სპეციფიკურ იკითხვის, საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ იაკობი სარგებლობდა ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანით.

მასასადამე, „უმუშანიკის წამების“ შექმნის დრო (475—484 წწ) ეს არის ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნის ქართული თარგმანის არსებობის, ასე ვთქვათ, ზედა ქრონოლოგიური ზღვარი (ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ზღვარის უკან გადაწვევა შეიძლება სხვა საბუთის მოშველიებით). მაგრამ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან ე. ი. IV საუკუნის 30—40-იანი წლებიდან „უმუშანიკის წამების“ დაწერამდე (ე. ი. V საუკუნის 80-იანი წლებამდე) დაახლოებით საუკუნე ნახევარი ძვეს. უნდა ვიფიქროთ: რადგან ქრისტიანობა უაღრესად მწიგნობრული რელიგიაა, ამ ხნის განმავლობაში ქართულ ეკლესიებში მღვდელთმსახურება ან ბერძნულ ენაზე სრულდებოდა, ანდა ქრისტიანობის გამოცხადების ახლო წლებში გადმოღებული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე ქრისტიანული რელიგიის საყრდენი წიგნები, უპირველესად სახარება და სამოციქულო, ხოლო მერმე ფსალმუნის და ძველი აღთქმის სხვა წიგნებიც. უკანასკნელის დაშვებისათვის მეტი საფუძველი არსებობს. კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ერთ ადგილს, სადაც ლაპარაკია, რომ პეტრემ შინ, კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე, ე. ი. 424 წლამდე „დაისწავა ყოველი სწავლა და გულისხმის-ყოფით აღმოიკითხავნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მათ დღე და ღამე“ ([8], 411). რაგინდ რიტორიკულ მკვერმეტყველებად და აგიოგრაფიულ შაბლონად უნდა ვივარაუდოთ მოყვანილი სიტყვები, საგულისხმო ფაქტად მიგვაჩნია ის, რომ აქ ბიბლიის რომელიმე ნაწილი (წიგნი) კი არ არის დასახელებული, არამედ ზოგადად მთელი ბიბლია, „წმიდა წერილი“.

ახალი აღთქმის წიგნების ქართულად გადმოღების დროის დასაზუსტებლად ანგარიშგასაწვეია ერთი ფაქტი, რომელიც დღემდე გამოუვლენელი იყო. სამოციქულოს ძველ ქართულ რედაქციებში მოიპოვება დანართი (ე. წ. სტიქომეტრია), რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთათვის. ეს ასეა არაა იმიტომ, რომ მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს ასეთი დანართები აკლდეთ, არამედ იმიტომ, რომ მათ საერთოდ არ ჰქონიათ ასეთი დანართები

ძველ რედაქციებში, როგორც ეს ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერების შემდგენილობიდან ჩანს. ეს შემთხვევითი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულში დანართი თავდაპირველად სამოციქულოში შემავალ წიგნთაგან მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთათვის შეუდგენიათ (მკვლევართა უმეტესობის აზრით, 458 წლამდე), ხოლო მოგვიანებით (დაახლოებით 490 წლისთვის) ასეთი დანართები წარუშდგარებიათ მოციქულთა საქმისა და კათოლიკე ეპისტოლეებისათვისაც ([51],...). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქცია, რომელიც დანართებს იცნობს მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთათვის განკუთვნილ შესრულებულ უნდა იყოს მანამდე, სანამ მსგავსივე დანართები გაუჩნდებოდა ბერძნულში მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს, ე. ი. არა უგვიანეს V საუკუნის 60-იანი წლებისა. ეს რედაქცია ტექსტუალურ-კომპოზიციური (და არა წმინდა ენობრივი) თვალსაზრისით არსებითად პირვანდელი სახით დაუცავთ გვიანდელ, X საუკუნის ხელნაწერებს. პირვანდელი სახით იმიტომ ვამბობთ, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქციების შემცველი X საუკუნის ხელნაწერები არ იცნობს ვრცელ უწყებებს პავლეს ნაწილში და საერთოდ დანართებს — სამოციქულოს სხვა წიგნებისათვის*. ბერძნულში კი სამოციქულოს მთელი აპარატის ჩამოყალიბება ერთმანეთის გამომრიცხველ შეხედულებებითაც კი IV—VII საუკუნეებს არ სცილდება. მაშასადამე, ფაქტია: ბერძნული სამოციქულოს გვიანდელი დანართები არ გადმოსულა და არ შესულა ძველი ქართული რედაქციების შემცველ X საუკუნის ხელნაწერებში, რადგან ეს უკანასკნელი იმიორებენ V საუკუნის თარგმანის ტექსტს. ამ ფაქტს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ სარწმუნო ხდება ა. შანიძის მიერ არაერთგზის გამოთქმული ვარაუდი, რომ ბიბლიური წიგნების შემცველ X საუკუნის ხელნაწერებში არსებითად V საუკუნის ქართული თარგმანები არის მოღწეული.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მთელი ბიბლიისა არა, ზოგიერთი წიგნის (სახარებების, სამოციქულოს, ფსალმუნის) ქართულ ენაზე თარგმნა IV საუკუნის 40-იანი წლებიდან V საუკუნის 60-იანი წლებამდე უნდა შესრულებული იყოს.

2. ქართული თარგმანის უცხოენოვან რედაქციებთან მიმართების საკითხი: ამ საკითხზე დიდალი და უმეტესად ურთიერთგამომრიცხველ მტკიცებათა შემცველი ლიტერატურა არსებობს, რომლის მიმოხილვასა და კრიტიკულ შეფასებას დიდტანიანი შრომა სჭირდება. ამიტომ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ ზოგადად იმას, რომ მკვლევრებს ბიბლიის ქართული თარგმანის სხვადასხვა წიგნის სხვადასხვა ტიპის ტექსტები უდარებიათ ასევე განსხვავებული ტიპის ბერძნულ, სომხურ და სირიულ წყაროებთან და სამივე უცხოენოვანი ტექსტის გავლენის კვალი შეუნიშნავთ, ასევე დასკვნებიც განსხვავებული გაუკეთებიათ. ყოველ მკვლევარს თავის მტკიცებისათვის გარკვეული მასალა ჰქონია და ტენდენციურობას ვერავის მივაწეროთ. მაგრამ თვით საკითხის კვლევა უდიდეს შემთხვევაში მცდარ მეთოდოლოგიას ემყარებოდა: ა. ქართული თარგმანის უძველესი რედაქცია არ იყო დადგენილი და უცხო წყაროებთან შედარება ხდებოდა ნებისმიერი ხელმისაწვდომი ქართული ტექსტისა (ხშირად გვიანდელი და საეკლე-

* დაწვრილებით ეს საკითხი შესწავლილი გვაქვს შრომაში, რომელიც შეიცავს სამოციქულოს დანართების ძველი ქართული რედაქციის ტექსტს და გამოკვლევას: ვეოალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები: ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977.

სიო გამოცემებისა (კი), ბ. ყოველთვის არც უცხოენოვანი რედაქციების კრიტიკული გამოცემები იყო შედარებისას მოხმობილი, გ. ბიბლიის ერთი-ერთი წიგნის რამდენიმე ადგილის შედარების შედეგად მიღებული დასკვნა ვრცელდება ბოდა მთელი ბიბლიის ქართულ თარგმანზე. დ. კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპლექსურად კი არ ხდებოდა, არამედ იზოლირებულად ცალკე უბნებში, ე. ი. არ იყო ერთმანეთთან შეჯერებული ისტორიული ვითარების, წერილობითი წყაროების ჩვენებანი და ტექსტობრივი შედარების შედეგები. ეს ნაკლი მეტ-ნაკლებად ბევრ მკვლევარს ჰქონდა. ბოლო წლებში ბიბლიოლოგიური საკითხების კვლევა ინტენსიურად წარიმართა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ და საიმედო პერსპექტივები დაისახა. მიუხედავად ამისა, დღესაც ნაყოფიერად მომუშავე ზოგი უცხოელი ქართველოლოგი ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში გამოვლენილ სომხურ ელემენტებს გადაქარბებულ მნიშვნელობას აძლევს* და ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის სომხური წყაროდან მომდინარეობის დამამტკიცებელ საბუთად თვლის.

აღრეც ზოგიერთ მკვლევარს (კონიბერს, მარს...**) შეუმჩნეველი არ რჩებოდა ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში სირიული ელემენტებიც, მაგრამ ეს უკანასკნელიც სომხური წყაროდან გადმოყოლილად ითვლებოდა. ასე იყო მაშინაც კი, როცა თვით სომხური წყარო სირიულ იკითხვისს არ შეიცავდა (ივარაუდებოდა, რომ სომხურმა დაკარგა სირიული იკითხვისი, მაგრამ სომხურზე დამოკიდებულმა ქართულმა თარგმანმა შეინარჩუნა. ამიტომაც ქართული ტექსტი სომხური თარგმანის ადრეული ვითარების აღდგენისათვის ერთგვარ საკონტროლო საშუალებად ითვლებოდა). ამ თეორიას ტრადიციის ძალით დღესაც ჰყავს დამცველები. აღსანიშნავია, რომ როგორც სხვა, ასევე ამ თეორიის წარმომადგენლებისთვის სადავო არ არის ბერძნულ ენის სიჭარბე ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში, მაგრამ ისინი დაახლოებით ასე მსჯელობენ: ქართულ თარგმანში სომხიზმები უძველესი ტექსტობრივი ფენისაა, ვიდრე ბერძნულში. რატომ? იმიტომ, რომ VII საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველოსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილება მოხდა, ქართული თარგმანისათვის სომხური წყაროს გამოყენება არ არის სავარაუდო. მაშასადამე სომხიზმები მეშვიდე საუკუნემდელი მოვლენა ყოფილა და უძველესი ქართული თარგმანის სომხურ წყაროზე დამოკიდებულების მაჩვენებელიო. ერთი შეხედვით, ასეთ მეჯვობას ლოგიკა არ აკლია. მაგრამ თვით წანამძღვრებია დაუდგენელი. გაუთვალისწინებელი რჩება, რომ საქართველოში ქრისტიანობის მიღებიდან (IV საუკუნის I ნახევრიდან), რომლის ახლო წლებში უნდა ვივარაუდოთ ბიბლიური წიგნების ქართულად თარგმნა, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მომხდარ განხეთქილებამდე (607—609 წწ) ([8], 124, [23], 5), დაახლოებით 250 წელი ა. საკით-

* დ. ლანგის ერთი ბიბლიოლოგიური შრომის კრიტიკული შეფასება მოცემულია ს. სერგბრიაკოვის წერილში ([39], 117—120).

ი. მოლითორის რამდენიმე ბიბლიოლოგიური შრომა დასახელებული გვაქვს ერთ-ერთ გამოკვლევაში ([20], 161), აქ დამატებით ვასახელებთ კიდევ სხვა ბიბლიოლოგიურ შრომებს ([52 ა. ბ. გ. დ. ე.]).

ახალი აღთქმის ძველ ქართულ თარგმანში უცხოენოვანი ელემენტების გამოვლენის თვალსაზრისით, მეტად საყურადღებოა ი. მოლითორის ერთ-ერთი შრომა, რომელშიც დაბეჯითებით ნათქვამია: „ძველი ქართული ვერსია დამზადებულია არა ბერძნული ორიგინალის მიხედვით, არამედ ძველი სომხურისა“ ([52-ე], 8).

** ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ნ. მარის ვრცელი შრომა არა დასკვნებით, არამედ ფაქტების გამოვლენის თვალსაზრისით ([50], 163—174...).

საქართველო
საქართველო
საქართველო

ხავია, რის საფუძველზე ეძლევა სომხიზმებს ქრონოლოგიურად უწინარესობის სტატუსი ბერძნიზმებთან შედარებით? პასუხი არ ჩანს. საქმე ისაა, რომ, რადგან საქართველო ქრისტიანობის მიღებას გარკვეული აზრით ანტიპატარსულ და ბიზანტიურ სამყაროსთან დამაახლოებელ გარემო-ტიკურ აქტადაც თვლიდა, წარმოდგენელია უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რელიგიური დოკუმენტის—ახალი აღთქმის გადმოღებისას პირველწყაროსთვის—ბერძნული დედნისთვის გვერდი აევლოთ და მხოლოდ სომხურ თარგმანს დამყარებოდნენ. კ. კეკელიძე ამის თაობაზე წერს: „არ შეიძლება ისეთი წიგნის გადმოთარგმნისას, როგორცაა ბიბლია, ქართველები დაკმაყოფილებულნიყვნენ მხოლოდ სომხური დედნით და არ მიემართათ, იმისდა მიხედვით, თუ სად ითარგმნებოდა შემადგენელი მისი ნაწილები, სხვა ენისათვისაც, განსაკუთრებით ბერძნულისათვის, რომელზედაც პირველად ითარგმნა (ძველი აღთქმა) და დაიწერა (ახალი აღთქმა) ბიბლიური წიგნები“ (ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 423). არის საფუძველები ვამტკიცოთ, რომ ბერძნულიდან მომდინარე უძველესი ქართული თარგმანის ზოგიერთი ბიბლიური წიგნი V—VI საუკუნეებში უნდა შეეჯერებინათ სომხურ წყაროსთან გარკვეული წრის (გამორიცხული არ არის—გაქართველებული სომხური წრეების) სურვილების დასაკმაყოფილებლად. ამას გვაფიქრებინებს: ა. ისტორიული ვითარების გათვალისწინება, ბ. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს ჩვენება, გ. უცხოენოვან ვერსიებთან უძველესი ქართული რედაქციის შეჯერებით გამოვლენილი მასალები. მოვიხმოთ მოკლედ სამივე ტიპის მასალა.

ა. ისტორიული ვითარება: III საუკუნეში ირანი და ბიზანტია დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს საქართველოს დამორჩილებაში. ბოლოს, 298 წელს, ნიზიბის ზავით ირანმა ცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე. ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო. ქართლი ნომინალურად იყო რომის ვასალი, თორემ ფაქტიურად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იმ ხანად ბიზანტია დიდ პრეტენზიებს არ უყენებდა, ნაკლებად აწუხებდა ქართლს, რაც უკანასკნელს ხელს აძლევდა, დაცულიყო აგრესიული ირანისაგან. ამიტომაც „ქრისტიანული სარწმუნოების მიღება ხელს უწყობდა ქართლსა და რომის იმპერიას შორის კავშირის განმტკიცებას, რადგან ეს ნიშნავდა ირანულ ორიენტაციაზე უარის თქმას, ბრძოლას ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის წინააღმდეგ“ ([25], 70—71).


დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, IV—V საუკუნეებში ბიზანტიის გავლენა უფრო საგრძნობია, რასაც საფუძველები ადრე, ანტიკური ხანიდანვე ჰქონდა. ანგარიშგასაწევი ის ფაქტი, რომ მეგრულში დღემდე შემორჩენილია უმუშაოდ ბერძნულიდან შემოსული სიტყვები, რომლებიც ძველი ნასესხობის ნიშანს ატარებენ: საბატონი (σάββατον) „შაბათი“, ქულა (χάλις) „კოჭლი“, ბებელუა (βέβηλος) „წაბილწვა“ ([37], 345—348), საკი (σάκις) „ტომარა“, ბორია (βιρβιά) „ქარი“... ეს სიტყვები ძველ ნასესხობას ამჟღავნებენ, რადგან ბერძნულში IV—V საუკუნეიდან მოხდა ზოგიერთი ხშული ბგერის სპირანტიზაცია: β=ბ→ვ, γ=გ→ღ, χ=ქ→ხ... ასეთ შემთხვევაში მეგრულში ნასესხები ბერძნული სიტყვები იმ გამოთქმას ასახავენ, როგორც ადრე, IV საუკუნემდე იყო ბერძნულში. შემდგომაც ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმის რომაულ-ბიზანტიური კულტურის ელემენტებს. ცნობილია, რომ ბიჭვინთის ადრექრისტიანული ტაძრის მოხაიკა ნარევა აღგილობრივი და ელინისტური ტრადიციებისა. რომაულ-ბიზანტიური გავლენა ჩანს ამ დროის არქიტექტურაში, წეს-ჩვეულებებსა და ტანსაცმელ-მორთულობაში; ფაზისში უმაღლესი რიტორიკული სკოლაა,

სადაც ბერძნებიც კი ჩამოდიან სასწავლებლად. 325 წელს I მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში დასახელებულია ბიჭვინთის (პიტუნტის) ეპისკოპოსი სტრატონფილე ([25], 182—188). ყოველივე ეს კარგად მეტყველებს, რომ ქართლში და ეგრისი IV საუკუნეში ნებისთინე უნებლეთ რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ახლო კონტაქტშია. ასეთ შემთხვევაში ბიბლიური წიგნების თარგმნისას ბერძნული წყაროსთვის გვერდის ავლა ალოგიკური ჩანს.

ბ) ლიტერატურული წყაროს ჩვენება: X—XI საუკუნეებში ბიბლიური წიგნების ძველმა ქართულმა რედაქციებმა საფუძვლიანი გადამუშავება განიცადა ბერძნულ წყაროსთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით. ამ დროისათვის მწიგნობართა შეგნებაში ჯერ კიდევ ცოცხალია წარმოდგენა ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ღირსებასა და წარმომავლობაზე. XI საუკუნის მწერალი გიორგი მცირე თავის შესანიშნავ ისტორიულ თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ“ წერს: „ეგრეთვე დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი. გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელი იყო და უმანკოჲ, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი“ ([27], 123).

მკვლევრები გიორგი მცირის ამ ცნობას ბიბლიის ქართულად თარგმნის საკითხის კვლევისას რატომღაც ყრუდ უვლიან გვერდს. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ზემოდასახელებულ ადგილას ავტორი ტენდენციურობას ამჟღავნებს მეზობელი სომეხების მიმართ, რაც გამოძახილია ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის გამწვავებული ურთიერთობისა. მაგრამ ამის გამო მთელი ცნობის უგულებელყოფა ან ლეგენდად მიჩნევა ([8], 60) გაუმაართლებელია. გიორგი მცირე, როგორც მწერალი და ისტორიკოსი, ფაქტებისა და ისტორიული რეალიების გადმოცემისას არანაკლებ ფრთხილი და მკაცრია, ვიდრე თვით გიორგი მთაწმიდელი. ივ. ჯავახიშვილი წერს: გიორგი მცირე „თავის მოძღვარს ჰბაძავს, იმის მეთოდებს მისდევს და მხოლოდ „უტყუელი“ წყაროებით სარგებლობს“. გიორგი ხუცეს-მონაზვნის თხზულება „ძვირფასი და შინაარსიანი, ამასთანავე, სრულებით სანდო საისტორიო წყაროა“ ([12], 147, 151).

თუ კრიტიკულად შევაფასებთ გიორგი მცირის ცნობას და მისგან გამოვიცხავთ მეზობელი ხალხის ტენდენციურ დახასიათებას, პოზიტურ ფაქტად რჩება შემდეგი: 1. ქართველებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ადრე ჰქონიათ ძველ მთარგმნელთა მიერ გადმოღებული ბიბლიური წიგნები („პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა“), 2. შემდგომ, რადგან საბერძნეთი ტერიტორიულად შორს იყო საქართველოსაგან, საქართველოში მცხოვრებ სომეხებს ქართველებისათვის „მიზეზითა წესიერებისაჲთა“, ე. ი. სისწორის დაცვის მოტივით, შეუთავაზებიათ ბიბლიური წიგნების თავიანთი თარგმანით სარგებლობა, 3. ამის შედეგად ქართულ ენაზე სომხურიდან გადმოუღიათ ზოგიერთი ბიბლიური წიგნი. ვიმეორებთ, რავინდ სუბიექტურად მოგვეჩვენოს XI საუკუნის მწერლის ზემომოყვანილი ცნობა, ერთი აშკარაა: ავტორის რწმენით, სომხურ წყაროზე დამოკიდებული ზოგიერთი ბიბლიური წიგნის ქართული თარგმანი არ არის თავდაპირველი თარგმანი. სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანის გაჩენამდე ქართველებს ჰქონიათ ბიბლიური წიგნების („წერილების“) ისეთი ძველი



თარგმანი, რომელიც სომხურ წყაროზე არ იყო დამოკიდებული: „პირველი-
განვე გუქონდეს (გუაქუნდეს) წერილიცა“ აშკარად ხაზს უსვამს, რომ ზოგჯერ
ბიბლიური წიგნის სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანი ქრონოლოგიურად
მეთრეულ, მოგვიანო მოვლენად არის მიჩნეული.

გიორგი მცირის ცნობა რომ საფუძველს მოკლებული არ არის, ამას სხვა
გარემოებაც გვაფიქრებინებს: ის ქართული რედაქციები, რომლებიც აშკარად შეი-
ცავენ სომხურენოვან ელემენტებს, თითო ნუსხით არის მოღწეული, ასეთებია,
მაგალითად, ადიშის ოთხთავი 897 წლისა, „მცხეთის დავითი“ (A—38) ([22],
[38]), მცხეთური ბიბლიის ზოგიერთი წიგნი (22^ა). რა თქმა უნდა, არ არის
გამორიცხვლი, რომ არმენიზებული ქართული რედაქციების სხვა ნუსხებიც და-
კარგულიყო ისე, როგორც დაიკარგა ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის
შემცველი ნუსხები. მაგრამ რაც ბედუკუდმართობას გადაურჩა, ასეთ სურათს
იძლევა: არმენიზებული ქართული რედაქციის ტექსტები თითო ნუსხითაა
მოღწეული, ხოლო სხვა ტიპის რედაქციის ტექსტები—ათეულობით. ეს გვაფი-
ქრებინებს, რომ სომხურენოვანი ელემენტების შემცველი ქართული რედაქცია
ძველადვე არ უნდა ყოფილიყო საყოველთაოდ მიღებული და გავრცელებული. ის
სომხური წარმოშობის ქართული წრეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად
უნდა შექმნილიყო. ასეთი რამ სრულიად შესაძლებელია V—VI საუკუნეებში, როცა
ქართველებსა და სომხებს მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და სარწმუნო-
ებრივი კავშირი ჰქონდათ.

ძველი ქართული თარგმანის სომხურ წყაროსთან შეჯერება, თუ სომხურიდან
ხელახლა თარგმნა V—VI საუკუნეებისათვის უფრო საფიქრებელია სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოს ტაოს თემში, სადაც სომხური მოსახლეობის ხვედრითი
წონა დიდი იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით, ტაო IV—VI საუკუნეებში სომ-
ხური პროვინცია იყო, დიდი ფეოდალური საგვარეულოს — მამიკონიანთა საგან-
მგებლო ([1], 06). არა თუ ამ დროს, არამედ გვიანაც, IX—X საუკუნეშიც, როცა
ეკლესიური განხეთქილება საქართველოსა და სომხეთს შორის მწვავე ფორმებს
იღებს, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, სადაც მოძმე სომხებიც
სახლობდნენ, უშუალოდ სომხურიდან ქართულ ენაზე გადმოჰქონდათ ლიტერა-
ტურული ძეგლები და პირუკუც, და ასე ამდიდრებდნენ ქართულ-სომხურ კულ-
ტურას. ამ ხანის აგიოგრაფიულ თხზულებათა ქართული თარგმანები, ილ. აბუ-
ლაძის დასკვნით, არის „ტაოს სომეხ დიოფიზიტთა ლიტერატურული შემოქმე-
დების ნაყოფი“ ([1], 063).

საკითხავია: ბიბლიური წიგნების სომხიზმების შემცველი ძველი ქართული
რედაქციები სომხური წყაროდან მომდინარე დამოუკიდებელი თარგმანი უნდა
ყოფილიყო თუ — თავდაპირველი, არსებული ქართული თარგმანის რედაქციული
გადამუშავება სომხური წყაროს კვალობაზე? ვფიქრობთ, უკანასკნელი ვარაუდის-
თვის მეტი საფუძველი არსებობს, რადგან აშკარად სომხურელემენტოვან ქართულ
რედაქციაშიც კი ვლინდება ბერძნული ტექსტის ადრეული გავლენის მაუწყე-
ბელი უძველესი ტექსტუალური იკითხვისები ([14], 93—117; [38], 29—38;
[39], [40]).

გ. ტექსტუალური შედარების მონაცემები: როგორც აღვნი-
შნეთ, არმენიზებული ქართული რედაქციის ისეთ ნუსხებში, როგორიცაა ადიშის
ოთხთავი და „მცხეთის „დავითი“, გამოვლენილია უძველესი ტექსტუალური ფენის
ბერძნოზმები. ჩვენის მხრივ, დავსძენთ, რომ პავლეს ეპისტოლეთა თავდაპირველი
ქართული თარგმანიდან მომდინარე ძველ რედაქციაშიც ბერძნოზმების
ძველი ფენა ხელშესახებია. სრულად ბერძნოზმებზე სხვა შრომაში გვექნება

საუბარი, აქ აღნიშნავთ მხოლოდ ერთი ტიპის მასალას, რომელსაც, ჩვენი აზრით, ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთოდ თარგმანის წაჭიმვისა და ლოზის დასადგენად. ესაა ე. წ. nonsens-ები, როცა თარგმანში მითითდება მცდარი, კონტექსტისთვის შეუფერებელი, უაზრო ადგილები. ასეთ შემთხვევაში თუ გაირკვევა სიტყვის თუ ფრაზის მცდარად თარგმნის მიზეზი, წყარო, ცხადია, ვარკვეული იქნება თარგმანის პირველწყაროც. ვასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

1. „ესენებასა წმიდათასა ეზიარებოდეთ“ (პრომ. 12,13 AB). კონტექსტის მიხედვით მოსალოდნელი იყო: „საქმარსა წმიდათასა ეზიარებოდეთ“, როგორც ეს არის გვიანდელ (CD) რედაქციებში, რადგან პავლე მიმართავს რომაელებს, რათა დაეხმარონ წმინდანებს, თანაუგრძნონ მათ ვასაჭიროში. ბერძნულის მსგავსად, სომხურსა და სირიულ წყაროებში საჭიროების („საქმარის“) მნიშვნელობის სიტყვებია ნახმარი. ასეთ შემთხვევაში ძველი რედაქციების მცდარი იკითხვისის საფუძველი შეიძლება ის იყოს, რომ ბერძნული წყაროს *χρεια*, რომელიც საჭიროებას აღნიშნავს, გაგებულ იქნა მეორე ომონიმურ *χρεια* სიტყვად, რომელიც უწყებას, გამორტმას აღნიშნავს (შდრ. ვსენება AB-სი).

2. „ხოლო სიტყუსა მისთჳ წმიდათაჲსა, ვითარცა უბრძანე ეკლესიათა ვალატიაჲსათა, ეგრეცა თქუენ ჰყვით. ერთშაბათად-ერთშაბადად კაცად-კაციად თქუენი თქუენ თანა დაიკრებდინ და დაიუნჯებდინ, უკუეთუ განმარჯუება რაჲმე იყოს, რაჲთა არა, ოდეს მოვიდე, მაშინლა სიტყუჲაჲ იყოს“ (I კორ. 16, 1—2 AB).

ძნელია ამ ადგილის გაგება ბერძნული დედნის გაუთვალისწინებლად, ძნელია, რადგან მცდარი თარგმანია. კონტექსტის მიხედვით, პავლე მოციქული შემდეგს ეუბნება კორინთელებს: წმინდანებისთვის შესაწირავის მოგროვებისას ისე იმოქმედეთ, როგორც ეს ვალატის ეკლესიებისათვის მიბრძანებია — განმიწყესებია. კვირაობით ყოველმა თქვენგანმა დაზოგოს და მოაგროვოს (შესაწირავი), თუ ამის შესაძლებლობა იქნება, რათა, როცა მე მოვალ თქვენთან, მაშინ არ იყოს შესაწირავის მოგროვებაო. ძველ ქართულ რედაქციებში შესაწირავ-შესაკრებელის ნაცვლად მცდარად ორჯერ ნახმარია სიტყვა, რაც გაუგებარს ხდის ორივე მუხლის შინაარსს. გვიანდელ რედაქციებში ეს შეცდომა გაუწივრებიათ გიორგი მთაწმინდელსა და ეფრემ მცირეს. ძველი (AB) რედაქციების მცდარი იკითხვისის საფუძველი ის არის, რომ ბერძნულ წყაროში ნახმარი *λοιπια*, რომელიც შეწირულობის შეგროვებას ნიშნავს, ძველ ქართველ მთარგმნელს გაუგია, როგორც *ლრიცა* სიტყვა, რომელიც უპირველესად სიტყვას ნიშნავს. სომხურსა და სირიულ რედაქციებში *λοιπια* სწორად არის გაგებული. მაშასადამე, ქართული თარგმანის შეცდომის წყარო მხოლოდ ბერძნული ტექსტია, უკეთ რომ ვთქვათ: ბერძნული ტექსტი უბიძგებს ქართველ მთარგმნელს შეცდომისაკენ.

3) პავლე ფილიპელებს სწერს, რომ მათ დასამოდგრაყად გამოავხანის თავის ერთგულ მოწაფეს—ტიმოთეს: „ამისსა ვესავ მივლინებასა, რაჲჲს განვივოთ თავისა ჩემისაჲ მისგან (ფილიპ. 2,23 AB). ქართული თარგმანი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ წყაროს, ოღონდ ბოლო სიტყვაა მცდარად ნახმარი. კონტექსტის მიხედვით მისგან სიტყვის ნაცვლად ქართულ თარგმანში უნდა ყოფილიყო მაშინ ან მყისვე, როგორც ამას გვაფიქრებინებს ბერძნული დედანი და სხვა უცხოენოვანი (სომხური, სირიული) თარგმანები. წინადადებაში ასეთი აზრია: ვიმელოვნებ (ვესავ) ამის (ტიმოთეს) გამოავხანას, როგორც კი მოვაგვარებ (ან: მოგვარებულს შეგხედავ) ჩემს საქმეებს, მაშინვე. ეფრემ მცირეს შეუნიშნავს

ქართული თარგმანის ეს შეცდომა და „მისგან“ შეუცვლია „მყისი“ სიტყვით ძველ რედაქციებში დაშვებული შეცდომის მიზეზია ბერძნული წყარო, რომელშიც ნახმარი ჰქვამდა ზმნიზნაჲს: სწრაფად, ჩქარა, მაშინვე რამ ქართველ მთარგმნელს ეს სიტყვა გაუგია, როგორც ჰქ(წ) „გან“ თანდებულისანი აბარა „მისი“ ნაცვალსახელი და უთარგმნია, როგორც „მისგან“. აქაც ქართველ მთარგმნელს მხოლოდ ბერძნული წყარო „აცთუნებს“, რადგან სხვა უცხოენოვან რედაქციებში სწორად არის თარგმნილი ბერძნული სიტყვა.

4. პავლეს აზრით, მთელი საღმრთო წერილი (ბიბლია) სასარგებლოა ადამიანის დსამოდღერაჲად, „რათა აწვე იყოს ღმრთისა იგი კაცი ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ“ (II ტიმ. 3.17 AB). ქართულ თარგმანში გაუგებრობას ქმნის აწვე სიტყვა, რომლის ფარდად ბერძნულ და სომხურ-სირიულ წყაროებში სრულყოფილის მნიშვნელობის სიტყვებია ნახმარი. ქართულ თარგმანში დაშვებულ შეცდომას ისევ ბერძნული წყარო განსაზღვრავს, რომელშიც მოიპოვება ἄρτιჲ ზედსართავი სახელი, რომელიც სრულყოფილს ნიშნავს. მაგრამ ქართველ მთარგმნელს ეს სიტყვა აღრევია ἄρτι ზმნიზნაჲში, რომლის მნიშვნელობაა „ახლა“, ძველი ქართულით, „აწ“. დასახელებულ ადგილას სომხურსა და სირიულში შეცდომა არ არის დაშვებული. ოღონდ აღსანიშნავია, რომ სირიულ ტექსტში ნახმარი სიტყვა საერთოდ ნიშნავს ადამიანს, მაგრამ იშვიათად, კერძოდ, აქ სრულყოფილს აღნიშნავს, როგორც მიუთითებს ჯენინგსი (1531, 48). დავსძენთ, რომ ეფრემ მცირეს ქართულ ტექსტში შექნიშნავს ეს შეუსაბამობა და სრულყოფილის მნიშვნელობით მოუცია „უნაკლულო“ სიტყვა „აწვე-ს“ გვერდით.

5. პავლე არიგებს ტიტეს, არ აპყვეს ცრუმოდღერათა სიტყვებს: ხოლო სიცოფისათა მათ ძიებათა და ცუდთა სიტყუათა და ჯდომთა და ლალვათა შჯულისათა განეშოვრე, რამეთუ არიან ურგებ და ამო“ (ტიტ. 3,9 AB). ძველ ქართულ თარგმანში შეცდომითაა ნახმარი „ცუდთა სიტყუათა“, რადგან უცხოენოვან რედაქციებში მის ფარდად არის „შთამომავლობის“ მნიშვნელობის სიტყვები (ბერძნ. γενεαλογιαჲ, სომხ. ტოჰმათიეს სირ. თაშ'აშთა დეშარბთა). გვიანდელ (CD) რედაქციებში ეს შეცდომა გასწორებულია „ტომის რაცხათა“ სიტყვით. ძველი რედაქციების მცდარი „ცუდთა სიტყუათა“ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვის არასწორი წაკითხვის საფუძველზე: რთული (თხზული) γενεαλογιαჲ სიტყვის პირველი ნაწილი γენα წაკითხული ჩანს γενε-დ (γενός, γενός ნიშნავს ამაოს, ძე ქართული, ცუდს), ხოლო მეორე ნაწილი კი λγος სიტყვად, რომელიც უპირველესად სწორედ სიტყვას აღნიშნავს (შედრ. სლავურ-რუსული родство, რომელიც ბერძნული γενεαλογია-ს კალკია).

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დასახელებულიც კმარა, რომ დავასკვნათ: პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებში დაცული კონტექსტისეული შეუსაბამობანი (ნონსენსები) უძველესი ტექსტუალური ფენისაა და წარმოშობილია მხოლოდ ბერძნული წყაროს არასწორი გაგების საფუძველზე. ე. ი. უძველესი ქართული თარგმანი ბერძნულ წყაროზეა დამოკიდებული. ზედმეტი სკეპსისი იქნება, რომ ასეთი ნონსენსები მერმინდელი შეჯერების გზით გაჩენილად მივიჩნიოთ. შეჯერების მიზანი ხომ ის არის, თარგმანი ზუსტ შესაბამისობაში მოიყვანოს შესაღარებელ წყაროსთან. ამიტომ, რომ გვიანდელი რედაქტორები — გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე ბიბლიური წიგნების თარგმანის შეუსაბამო

ადგილებს ხშირად ასწორებენ და მართებულადაც. რა თქმა უნდა, შეჯერების დროსაც ზოგჯერ გამოპჩრებით გაუსწორებლად ძველი თარგმანის მცდელობები თხვისები, მაგრამ შეჯერებისას გასწორდეს თარგმანი და ისიც უაზროდ, მცდელობას, ეს იშვიათია და მოულოდნელი (ცხადია, სიტყვა-სიტყვით კალკირებული თარგმანი სხვა რიგის მოვლენა).

თუ ზემოთ მოტანილ მასალებს მთლიანობაში განვიხილავთ, ცხადი გახდება შემდეგი: ისტორიული გარემო, ლიტერატურული ცნობები და თვით ტექსტუალური ჩვენება ურთიერთგამოუთრცხავად საცნაურს ყოფენ, რომ თუ მთელი ბიბლიის არა, ბიბლიის ზოგიერთი წიგნის (სახარებების, სამოციქულოს) უძველესი, თავდაპირველი ქართული თარგმანის წყარო ბერძნული ტექსტი უნდა ყოფილიყო. ძველი ქართული თარგმანი ადრევე, VII საუკუნის დასაწყისამდე, გარკვეული წრეების (სავარაუდოა, სომხური წარმოშობის ქართული წრეების) ინტერესების შესაბამისად შეჯერებული ჩანს სომხურ წყაროსთან. ასე რომ, V—VI საუკუნეების საქართველოში ბერძნულიდან მომდინარე ძველი ქართული თარგმანის გვერდით უნდა არსებულიყო არმენიზებული ძველი ქართული თარგმანიც. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ ეკლესიებში უფრო მიღებული ყოფილა ბიბლიური წიგნების პირველი თარგმანის ტრადიციის მქონე ტექსტი, რასაც მოღწეული ნუსხების სიმრავლე ცხადყოფს. ხოლო არმენიზებულ ძველ ქართულ თარგმანს ფილიაცია და მასშტაბურობა არ მოუპოვებია.

ბიბლიის ქართულ თარგმანებზე მომუშავე გვიანდელ მწერლებსა თუ რედაქტორებს — გიორგი მთაწმინდელს, ფერემ მცირეს, და გიორგი მცირესაც სწორედ პირველი თარგმანის ტრადიციის ტექსტებზე უჭირავთ თვალი*.

3. ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის რაობის საკითხი: დღეს სადავო არ არის, რომ IV საუკუნეში ქართულ ენაზე ბიბლიური წიგნების გადმოთარგმნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ქართულ ენას ძველი სამწერლო ტრადიცია არ ჰქონოდა. მართა ის ფაქტი, რომ ბიბლია ასე ადრე ითარგმნა ქართულ ენაზე, აშკარად მეტყველებს საქართველოს მაღალ სამწერლო კულტურაზე. IV—V საუკუნეებისათვის ქართულ ენაზე ბიბლიის არსებობის ფაქტი ბევრ საკითხს აღძრავს და ერთი ამათავანია ის, თუ როგორ მოხერხდა მრავალსაუკუნოვანი წარმართული კულტურის წიაღში ახალი, ქრისტიანობის ცნებების ათვისება და გამოხატვა. ბიბლიის ნაციონალურ ენაზე გადმოღობა

* გიორგი მთაწმინდელი არა ერთხის აღნიშნავს: „ჩუენში ყოველი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად“ ([13], 285), „გვევითარი თარგმანი გარეშე მათ პირველთა და არღარა გამოჩინებულ არს ენას ჩუენსა ([5], 47). ფერემ მცირემ იცოდა, რომ გიორგი ნდობით და კრძალვით ეპყრობოდა ძველი ქართული თარგმანის ტექსტს და ხშირად არც ეკვლიდა რედაქტირებისას, ბევრი ასეთი ადგილი „ძუელისა პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია“, ანდა: სამოციქულოს ზოგი ადგილი, „რომელი მრავალს პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისა და მიუყვანებია“ ([2], 029). გიორგი მცირეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრადიციულ აზრს იმეორებს: „პირველთაგანვე გუქონდეს წერილნიცა“.

მოუხედავად ჩვენი მტკიცებისა, რა თქმა უნდა, კვლავ ძალაში რჩება ის ვარაუდიც, რომელიც ადრე პროფ. ალ. ტაგარელმა გამოთქვა (Сведения..., I, 1886, 15—16; II, 1889, XVI) და შემდეგ გ. პეჩმა ახალი საბუთიანობით გაიმეორა: „საერთოდ საფიქრებელია, რომ მთარგმნელმა იმ მნიშვნელობებისთვის, რომელთა გავება სირიულიდან ან ბერძნულიდან ვერ მოახერხა, რჩევასათვის სომხურს მიმართა, როგორც უფრო მახლობელსა და ნაცნობს. ეს სულაც არ ნიშნავს ყველა შემთხვევაში, რომ მთელი თარგმანი სომხურ ორიგინალს ეყრდნობა ([30], 60).

ურთულესი საქმე იყო ყველა ქრისტიანი ერისათვის და მათ შორის ქართველებისთვისაც. ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნას ართულებდა არა მარტო ქართველთა მსოფლმხედველობისა და კულტურის წარმართული ხასიათი, არამედ მათი ზოგიერთი ბიბლიური წიგნის აშკარა ალეგორიულ-აპოკალიპსური შინაარსი, ტექსტის მეტაფორულ მნიშვნელობებში ჩაწვდომა, უძველესი სამწერლო ტრადიციის მქონე ბერძნული ენის პოლისემიური სიტყვებისათვის ზუსტი, კონტექსტისეული მნიშვნელობის დაძებნა-მიგნება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედნისეული „ღრმა ადგილების“ გადმოცემა „ქართული მსგავსებული სიტყვით“ სწორედ ასეთი სირთულე ჰქონდა მხედველობაში ეფრემ მცირეს, როცა ამბობდა: „ბერძენთა ენა უფსკრულ ღრმა არს, და იგივე და ერთი სიტყუა მრავალსა პირსა აღიარებს“ ([2], 029). თუ როგორ არის დაძლეული თარგმნის პროცესში წამოჭრილი სირთულეები, ძველ ქართველ მთარგმნელთა მიერ, ეს საკითხი სრულებით შეუსწავლელია დღემდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთი და ორი მკვლევრის სიცოცხლე არ ეყოფა იმ საკითხების შესწავლას, თუ რას წარმოადგენს ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანი, როგორც ლიტერატურულ შემოქმედებითი ფენომენი, ან როგორ და რაში ვლინდება ქართული თარგმანის მხატვრულ-ესთეტიკური და ენობრივ-სტილისტური სპეციფიკა. ვიმეორებთ, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის რაობა-სპეციფიკის საკითხი ქართული ფილოლოგიის წინაშე მწვავედ დგას და გადაჭრას ელის. კ. კეკელიძემ კარგა ხნის წინათ დასვა ეს პრობლემა, როცა წერდა: „რამდენადაც ქართველებმა ახალი რელიგიური სისტემა ძველ წარმართულ სარწმუნოებაზე დაამყნეს, იმდენად ბიბლიური წიგნების მთარგმნელნი იძულებული ხდებოდნენ შეეგუებინათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო, და გამოეყენებინათ მარავი წარმართული საკრალური ენისა. აი, ამ მარავიდან იღებენ პირველი მთარგმნელები ენობრივ, მხატვრულ და აზრობრივ საშუალებებს... ახალი იდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და მორალური შეხედულებანი ხშირად გადმოიცემიან ამ თარგმანში ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, ისეთი ფორმებითა და სახეებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროდან მოდიან და რომელნიც, როგორც აღინიშნა მეცნიერებაში, პირველყოფილ ქართულ-ქრისტიანობას სინკრეტულ ხასიათს აძლევდნენ“ ([6], 186). მაგრამ, სამწუხაროდ, არც კ. კეკელიძეს და არც სხვა მკვლევარს ფაქტობრივად, მასალობრივად არ უჩვენებია თუნდაც რამდენიმე მაგალითიც კი იმისა, თუ სად, როგორ ან რაში ვლინდება წარმართული მსოფლმხედველობა და საკრალური ენის ელემენტები ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში. მოსალოდნელი იყო, რომ მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხებზე მომუშავე გ. გაჩეჩილაძე თუ გადაწყვეტით არა, ისე მინც დასვა მამ ხაზით გადასაჭრელ პრობლემებს და გადაჭრის გზებსაც დასახედა. მაგრამ მკვლევარი გვერდს უვლის რთულ საკითხებს და არსებითად კ. კეკელიძის მიერ ზოგადად გამოთქმული მოსაზრებების დამოწმებით კმაყოფილდება. მკვლევარს იმის დასამტკიცებლად, რომ ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანები ალაგ-ალაგ ზუსტი, ადეკვატური თარგმანის ნიმუშებს წარმოადგენენ, მოჰყავს რამდენიმე მუხლის ძველი ქართული თარგმანი სახარებიდან (მ. 6,5—13) ინგლისური და რუსული თარგმანების პარალელურად ([4], 62—64). არაფერს ვიტყვით კვლევის ისეთი მეთოდის აკვარგიანობაზე, როცა ძველი ქართული თარგმანის სიზუსტე შეფასებულია არა პირველწყაროსთან შეპირისპირებით, არამედ ძველი ქართული სამყაროსათვის სრულიად უცნობი, მაშინ არარსებული თარგმანების ჩვენებათა ფონზე, აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ

არის თარგმანის ღირსების ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, კერძოდ ის რომ ზუსტი და თავისუფალი თარგმანის ფაქტს უპირველესად თვით პირველწყაროს სხვადასხვა ადგილის მეტ-ნაკლები ტექსტობრივი სირთულეები ნიშნავს, იმას რომ დედანში გვერდიგვერდ შეიძლება იყოს ისეთი ადგილები, რომელთა თარგმანისას დამოუკიდებლად მომუშავე რამდენიმე მთარგმნელმა ზუსტად ერთნაირი ტექსტი მოგვეცეს, და ისეთი ადგილებიც, რომელთა გადმოღებისას რამდენიმე მთარგმნელმა სხვადასხვაგვარი ტექსტი მიიღოს. მაგალითად, როცა დედანში ასეთი მნიშვნელობის სიტყვებია: მამაო ჩუენო, ცათა შინა, ქუეყანასა ზედა, პური ესე ჩუენი არსობისა და სხვა, და ესენი თარგმანში ტოლფარდი მნიშვნელობის სიტყვებით არის გადმოცემული, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვამტკიცოთ: მთარგმნელი ადეკვატურ თარგმანს იძლევაო. ასეთი ადგილების ადეკვატური თარგმანი იმის შედეგია, რომ დედანში ყოველთვის არის არსებითად მონოსემანტიური, ერთმნიშვნელობიანი, თითქმის შეუწავლადი სიტყვები, რომელთა გადმოღებისას მთარგმნელი იძულებითაა მიჯაჭვული სიტყვის პირველწყაროსეულ მნიშვნელობაზე და თვითონ ვერ ამყარებს საკუთარ მთარგმნელობით პრინციპს. ამის შესანიშნავ მაგალითს იძლევა გიორგისა და ფერემის ნარედაქციევი ბიბლიური ტექსტების შედარება ძველი რედაქციის ტექსტებთან: პირველნი უცვლელად იმეორებენ ხშირად ძველი რედაქციის მთელ მუხლებს მიყოლებით, იმეორებენ იმიტომ, რომ მათ შესაცვლელი არაფერი აქვთ. მთარგმნელის თუ რედაქტორ-შემეჭრებლის პოზიცია, მთარგმნელობითი მეთოდი, ჩვეულებრივ, მკლავდნება პირველწყაროს ისეთი ადგილების თარგმანისას, რომლებიც პოტენციურად სხვადასხვაგვარი გააზრების შესაძლებლობას იძლევა ანუ დედანისეული ადგილი „მრავალსა პირსა აღიარებს“. სწორედ ასეთი ადგილები უნდა იყოს მხედველობაში მიღებული თარგმანის ხასიათის დასადგენად. ხოლო კვლევის სწორად წარმართვისათვის მეორე, მეთოდოლოგიურად აუცილებელი წინაპირობაა: ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანის რაობის დადგენა და დახასიათება უნდა ემყარებოდეს იმ უცხოენოვან რედაქციებთან შედარება-შეპირისპირებას, რომლებთანაც სავარაუდოა ქართული ტექსტის დამოკიდებულება — კავშირი (ასეთებია: ბერძნული, სომხური, სირიული ვერსიები). ცხადია, ასეთი შედარების გარეშე იზოლირებულად ვერასოდეს ვერ დადგინდება ქართული თარგმანის სპეციფიკა და ვერ გამოვლინდება ძველ ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებითი წვლილი პირველწყაროს გააზრება — ინტერპრეტაციაში. ჩვენ შორს ვართ იმის გაფიქრებისაგანაც კი, რომ ზემოთ დასმული საკითხების გადაჭრის ვაპირებდეთ, მაგრამ ერთს კვცდილობთ: ზოგიერთი ბიბლიური წიგნის ძველი ქართული თარგმანის სავარაუდო უცხოენოვან პირველწყაროებთან შეპირისპირება-შედარების გზით გამოვვლინოთ ისეთი ფაქტები, რომლებიც ცხადად წარმოაჩენენ ძველი ქართული თარგმანის რაობა-სპეციფიკის შესწავლისას, თუ რა საკითხები (მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-ესთეტიკური, ენობრივ-სტილისტური) შეიძლება წამოიჭრას და რა გზით გადაწყდეს ისინი. ივარაუდება, რომ პოზიტიური მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები მსგავსი ან განსხვავებული იქნება სხვადასხვა ბიბლიური წიგნის მიმართ.

ძველი თარგმანის ხასიათი: ბიბლიური წიგნების თარგმანს ძველადვე განსაკუთრებული ნიჭიანობით და ერთგვარი ღვთიური შიშით ეკიდებოდნენ რადგან წინასწარმეტყველთა და მხარუბელ-მოკაქულთა აკუორიანი ცნობაო

ტექსტები უზენაესი ღმერთის ნებისა და ფიქრის განცხადებად, ღმერთის ნაპირ-
ნახევ სიტყვებად მიაჩნდათ თვით ბიბლიური წიგნების ავტორებს. ეს გაჩვენება
თავიდანვე აიძულებდა მორწმუნე ქრისტიან მთარგმნელთ, ბიბლიის — ~~სიძვერის~~
სიტყვის“ ნაციონალურ ენაზე გადმოღებისას მაქსიმალურად ჩაწვდომოდნენ
დედნისეულ აზრს და ზუსტად, ყოველგვარი ინდივიდუალური ინტერპრეტაციის
გარეშე გადმოეტანათ ის, ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად მოსალოდნელია, თარ-
გმანები მხოლოდ ზუსტი იყოს, და არა თავისუფალი. ძირითადად, ეს ასეც არის.
მაგრამ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში უზუსტესად თარგმ-
ნილი ადგილების გვერდით მაინც მოიპოვეს ე. წ. თავი-
სუფალი თარგმანის ნიმუშები. ამჟამად, ჩვენ მხოლოდ ასეთ არაზუსტ,
მაგრამ კონტექსტისათვის ასატან, მორგებული თარგმანის შემთხვევებზე შევიჩრ-
დებით. ადგილები მოგვყავს პავლეს ეპისტოლეებიდან.

1. უკეთეს დასაბამი იგი წმიდა არს, შემდგომიცა. და ძირი იგი თუ
წმიდა არს, მისნი რტონიცა“ (პრომ. 11,16). ძველი (AB) რედაქციების ეს
ადგილი ასეა გადმოცემული გვიანდელ (CD—გიორგისა, ეფრემისა) რედაქციებში:
„ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა, და უკუეთუ ძირი იგი
წმიდა არს. და რტონიცა მისნი“. აქ მოციქული ალევგორიულად ლაპარაკობს
ისრაელის მომავალი ხსნის შესაძლებლობაზე: ისრაელს აქვს უფლება გადარჩე-
ნისა, რადგან მისი დასაბამი წმინდაა (ივლისხმება: ძველი აღთქმისეული წმინდა
პატრიარქები ჰყავდა მას). თუკი ისრაელმა წარმოშვა წმინდა პატრიარქები (მეტა-
ფორულად: ისრაელისგან — ცომისგან, „თბესაგან“ გამოიცხო რამდენიმე წმინდა
პური — პატრიარქები — ღმერთისადმი შესაწირად გამზადებული პირველნაყოფივით)
([41], 495), მაშინ თვითონ ისრაელშიც ყოფილა სიწმინდე. მაშასადამე, წმინდა
ისრაელის ხსნაც შესაძლებელი ყოფილა. ძველ ქართულ თარგმანში ბრწყინვალედ
არის დაცული მეტაფორულიობასთან ერთად მხატვრული პარალელ-
ლიზმის პრინციპი (თუ საწყისი წმინდაა, — მომდევნოც, გავრძე-
ლებაც!), მაშინ. როცა თვით ბერძნულ ორიგინალში დარღვეულია ეს.
ბერძნულს ზუსტი თარგმანია CD-ს იკითხვისი (თუ საწყისი წმინდაა, — ცომიც
[„თბეცა“]). ბერძნული ფრაზა („თბე“, ცომი) არღვევს მეტაფორული და მხატვ-
რული პარალელიზმის სტრუქტურას, მაგრამ ძველი ქართველი მთარგმნელი
თვით ქმნის ისეთ კონსტრუქციას, როცა ცომის მნიშვნელობის ბერძნულ
სიტყვას შემდგომი სიტყვით ცვლის. ეს, ასე ვთქვათ, დედნიდან მცდარი,
საზიანო გადახვევა კი არ არის, არამედ დედნის „გაკეთილშობილება“. ვიმეორებთ
სხვა სომხურ, სირიულ რედაქციებში ამ ადგილის ასეთი გააზრება არა გვაქვს,
მათში არის: ზანგუაწნ („ცომი“), გებნლთნ („ცომის მასა“).

2. „ყოველი კაცი კელმწიფებასა მას უმთავრესა დაემორჩილენ“ (პრომ.
13,1AB). მოციქული აქ ქრისტიანებს მოუწოდებს რომის უმაღლესი ხელის-
უფლებისადმი მორჩილებისაკენ. „ყოველი კაცი“ გადმოსცემს ბერძნული დედნის
πᾶσα ψυχῆ-ს. უკანასკნელის ზუსტი თარგმანია „ყოველი სული“ (CD); სირიულ
ტექსტშიც სულის, „სულიერის“ მნიშვნელობის ნგფეშ სიტყვაა, ხოლო სომხურში
პირის, „პიროვნების“ შინაარსის ანძნ სიტყვა. მართალია, „კაცი“ და
„სული“ გარკვეულ კონტექსტში სინონიმურ მნიშვნელობას ატარებს, მაგრამ
ზემოდასახელებულ ადგილას ძველი მთარგმნელის მიერ ნახმარი კაცი (ადამიანი)
უკეთ გახაზავს, რომ აქ ლაპარაკია გარკვეული სახელმწიფო ვალდებულებების
მქონე მოქალაქეზე და არა საერთოდ სულიერზე.

3. „კაცად — კაცადმან ჩუენგანმან თავისა თვისათჳს სიტყუა — უვოს
ღმერთსა (პრომ. 14,13AB). აქ ლაპარაკია, რომ ყველა ადამიანი თავის საქციელზე


პასუხს აგებს ღმერთთან, განკითხვის დღეს ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს. ^{ქართული} თული „სიტყუს-გების“ ფარდად ბერძნულ წყაროშია *λαγειν δ᾿απει*, რომლის ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანია „სიტყუაჲ მისცეს“ (CD) შდრ. სომხურ ^{სომხურ} ტაქე („ანგარიშს მისცემს“). ძველი ქართველი მთარგმნელი ბერძნული ფრაზის აზრს ბუნებრივი ქართული შესატყვისით გადმოსცემს, მაშინ როცა გიორგი მთაწმიდლისეული ზედმიწევნით ზუსტი თარგმანი გაუგებარს ხდის კონტექსტში ჩადებულ აზრს: „სიტყვის მიცემაში“ ძნელია ქართველმა კაცმა მოიაზროს „ანგარიშის ჩაბარება“, რადგან მისთვის ეს სინტაგმა „დაპირების“, „პასუხის“ შინაარსისაა.

4. „... არა შეამთხვოთ დაბრკოლებაჲ გინასაცთური ძმასა“ (პრომ. 14,13,AB). ბერძნულ დედანში „შემთხვევის“ ფარდად ნახმარია „დადებადდგმის“ მნიშვნელობის *τῆμα* ზმნა: *μη τῆμα παροισμα...* ბერძნულში *τῆμα* ზმნას ორმოცამდე მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან უძირითადესია: დადება, დადგმა, დაგება. გიორგი მთაწმიდელს სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს დანახული: „არა დაუდგათ შესაბრკოლებელი გინასაცთური ძმასა“. „დაუდგათ“ ზმნა ქართულში, ასე თუ ისე, იკუთვნებს პირდ. ობიექტად „შესაბრკოლებელს“, მაგრამ მასთან „საცთურის“ დაკავშირება სტილისტურად შეუწყნარებელია: „არა დაუდგათ... საცთური“ ბუნებრივი სინტაგმა არ არის. ძველი მთარგმნელი კი ბერძნული *τῆμα* ზმნის უამრავი მნიშვნელობიდან ფაქიზად არჩევს კონტექსტისათვის ყველაზე შესაფერას შინაარსს ქართული ფრაზის ბუნებრიობის შეუბღალავად.

5. „ღამე იგი განგუეშოვრა და ნათელი შემოგუეხლა“ (პრომ. 13,12AB). „ნათელ“ სიტყვის ფარდად ბერძნულ წყაროში „დღის“ შინაარსის *ἡμέρα* სიტყვაა. სირიული ტექსტის *ḥmḥm* და სომხურის ტივ ასევე „დღეს“-ს აღნიშნავს, გიორგისეულ რედაქციაშიც „დღე შემოგუეხლა“ იკითხება.

ზემოდასახელებულ ადგილას დამე და დღე ალევორიულად არის ნახმარი: დამედ იკულისხმება ამა ქვეყნის ცოდვებით დამძიმებული ადამიანის სიცოცხლე, ხოლო დღედ — ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ ცოდვებისაგან განთავისუფლებული მორწმუნის სუფევა (I411,505). ამიტომაც ამავე მე-12 მუხლში მოციქული ამბობს: „აწ უკუე განვიშოვრნეთ საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საქურველი ნათლისაჲ“. აღსანიშნავია, რომ სამოციქულოს ეფრემ მცირისეული რედაქციის ხელნაწერებში ამ ადგილს აშიაზე ასეთი კომენტარი აქვს (ალბათ, ეფრემისავე): „ღამედ საწუთროსა ამასა ცხოვებასა უწოდს, რომლისა შემთხუევაჲ კეთილთა გინა ჳირთანი არარაჲთ განყოფილ არიან სიხმართაგან“.

ძველ მთარგმნელს მოსალოდნელი ქრისტეს მეორედ მოსვლა დღის მოახლოებად კი არ გაუაზრებია, როგორც ეს არის უცხოენოვან წყაროებში, არამედ ნათლის მოახლოებად. მართალია, დღე სიტყვაში ნათლის შინაარსიც შემოდღის თითქოს, მაგრამ პირველში მინც დროის მონაკვეთის მნიშვნელობაა უმთავრესი. ძველი მთარგმნელი გრძნობს, რომ დღის მოახლოება შთაბეჭდავად ვერ გადმოსცემს მხსნელი ქრისტეს მეორედ მოსვლის გრანდიოზულ სურათს და ამიტომ ის ხმარობს დროით შემოუსაზღვრელ ნათელს, როგორც ღვთის ხატის გამოვლინებას. გამორიცხული არ არის ამასთანავე, რომ აქ, ნებისთ თუ უნებლიედ, მთარგმნელის მსოფლმხედველობის წარმართული სინათლის კულტთან კავშირი ცხადდებოდეს (ამაზე ვრცლად ვმსჯელობთ ქვემოთ „ნათლისცემა“ ტერმინთან დაკავშირებით).



6. „ღმერთმან ჩუენ მოციქულნი უკუანაჲსკენელად გამოგუაჩინნა ვითარცა სასიკუდიენნი, რამეთუ თითის საჩუენებელ ვიქმნენით სოფლისა“ (I კორ. 4,9AB). აქ და მომდევნო მტხლებში პავლე მოციქული ჩივის მღვდართა კორინთელების საკდემელად, რომ მოციქულები მძიმე პირობებში ცხოვრობენ სიკვდილისჯილებივით, ქვეყნის დასაცინად არიან გამხდარი.

ძველი ქართული რედაქციების იკითხვისი „თითის საჩუენებელ ვიქმნენით“ გადმოსცემს ბერძნული ტექსტის *μῆαταιν ἔყενημῆμεν*-ს, რომლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი მოეპოვება გიორგი მთაწმიდელს: „სახილველ ვიქმნენით“. ასეთი ზუსტი თარგმანი კონტექსტისათვის შეუფერებელია. ასევე შეუფერებლად არის ეს ადგილი გადაღებული სომხურ თარგმანში, სადაც იკითხება: ტესილ ელვაქ („სახედველ-საჩვენებელი ვავხდით“), ხოლო სირიულ ვერსიაში ბერძნული ტექსტის ეს მეტაფორული ადგილი დაუძლეველი ჩანს, ბერძნული *μῆαταιν* უთარგმნელად არის გადასული და ნათქვამია: რადგან შევიქენით თეატრონი, ე. ი. სპექტაკლი [53]. მხოლოდ ძველი ქართველი მთარგმნელი ახერხებს, ჩაწვდეს ბერძნული ფრაზის კონტექსტისეულ მნიშვნელობას და ზუსტად შერჩეული ქართული იდიომით გადმოსცეს ის. ბერძნული *μῆαταιν ἔყενημῆμεν* კონტექსტში გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და რეალურად ნიშნავს: სასაცილო, საჯაროდ გასაკიცხი, ქვეყნის დასაციინი ვავხდით. ზუსტად ამასვე ნიშნავს ძველი რედაქციებით იკითხვისი „თითის საჩუენებელ ვიქმნენით სოფლისა“*. საეჭვო არ არის, რომ ეს მაგალითი კარგი ნიმუშია ძველი მთარგმნელის შემოქმედებითი ძალისა და მხატვრული ოსტატობისა.

აღსანიშნავია, რომ სხვაგან მსგავსივე შინაარსის ბერძნული *μῆαταινῆμενοι* ძვ. ქართულ თარგმანში გადმოღებულა, როგორც „სოფლის სახილველ ვიქმნენით“: „ესე არს, ყუედრებთა და ჳირთა შინა სოფლის სახილველ იქმნენით“ (ებრ. 10,33).

7. „პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი ზეცით გამო სულიერი“ (I კორ. 15,47AB); რომ ამ ადგილის მნიშვნელობა გასაგები ვახდეს, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: პავლე მოციქული (I კორ. მე-15 თავში) საგანგებოდ მსჯელობს მკვდრეთით აღდგომის შემთხვევაში როგორი სხეულის მატარებელი იქნება ადამიანი და აღიარებს წარმართული ფილოსოფიისათვის ცნობილ ე. წ. ტრიქოტომიულ თვალსაზრისს, რომლითაც ადამიანის ბუნება სამი ცნაწილის განსახიერებაა: სხეულისა, ხორცისა, (σῶμα-სი) საშუამინველისა (ψυχή-სი) და სულისა (πνεῦμα-სი). სხეული და საშუამინველი არაადამიანსაც აქვს, საშუამინველი (ფსიქე) ასულიერებს სხეულს, გვამს ამოძრავებს, სასიცოცხლო ძალას სძენს მას, მაგრამ სული (პნევმა) უმაღლესი საწყისია მხოლოდ ადამიანის არსებისა, ის გვიან გამოდის სამოქმედოდ ღმრთის ნებით. ადამი და მისი შთამომავალი ქრისტემდე საშუამინველი (მომაკვლავი, ვარწნადი) ხორცის მატარებელ არსებებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ შეიძინა სულიერი (უხრწნელი) ხორცი, სხეული. ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს მკვდრების აღდგენა მოხდება სწორედ ქრისტესმიერი სულიერი (უხრწნელი) სხეულით. მოციქული ზემოდასახელებულ მუხლში ქრისტეს უპირისპირებს ადამს და ამბობს: პირველი კაცი (ე. ი. ადამი) მიწის მტერისაგან იყო,


* იდიომი „თითით საჩვენებელი“ დღესაც ნიშნავს დასაციინს, სამარცხინოს, თუმცა საპირისპირო — კარგის, სანიშუოს, — მნიშვნელობითაც იხმარება ([31], 175; [32], 96).

(რომლის განხრწად სხეულს ღმერთმა შთაბერა მხოლოდ მაცოცხლებელი სული (ფსიქე), ხოლო მეორე კაცი (ე. ი. ქრისტე) ზეციდან (ღმრთისაგან) გაუფრთხილდებოდა, (პნევმატიკური), ე. ი. უხრწელი სხეულით ივულისხმება, რომელსაც მოკვდავი ადამიანი იძენს ქრისტეს რწმენით, ნათლს-ღებით. ეს უკანასკნელი გააზრებულია, როგორც ქრისტეს სიკვდილის (ე. ი. განხრწადი სხეულის დატოვების) და კვლავ აღდგომის (ე. ი. უხრწელი სხეულით შემოსვის) მიბაძვა, იმიტაცია, რომლითაც მორწმუნე ქრისტეს თანაზიარი ხდება. ამ აღგილას ძველ ქართულ რედაქციებში ანტონი-მური პარალელი ზმის პრინციპი დაცულია. მაგრამ პირველწყაროში ასე არ არის. ბერძნულში ბოლო ფრაზა ასეთია: ἢ μὲν τῆς ἀπορίας ἐξ ἑσθλασ ἢ ἑσθλασ ἢ ἑσθλασ („მეორე ის კაცი ციდან [არის]“). ე. ი. პირველწყაროში I ფრაზის „მიწისა“ სიტყვას II ფრაზაში ანტონიური მეწყვილე, ქართული „სულიერის“ ფარდი, სეერთოდ, არა აქვს. აღსანიშნავია, რომ როგორც ბერძნული ტექსტის ტიშენდორფისეული გამოცემის კრიტიკული აბრატიდან ჩანს, ბერძნული ვერსიის ზოგ ნუსხას ჰქონია ჯრდის სიტყვა, რაც გათვალისწინებულია კიდევ გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში: „მეორე იგი კაცი უფალი ზეციით“. ასევე მოიპოვება „უფლის“ მნიშვნელობის მწრდ სიტყვა სირიულ ტექსტში და სომხურისაში. ძველი ქართული ვერსიების იკითხვისი „მეორე იგი კაცი ზეციით გამო სულიერი“ ან ისეთი ბერძნული წყაროდან მომდინარედ უნდა ვივარაუდოთ, რომელსაც ჰქონდა, მაგრამ დაჰკარგვია „სულიერის“ ფარდი სიტყვა (ასეთ შემთხვევაში ძვ. ქართულ თარგმანს ბერძნული დედნის პირვანდელი სახის აღსადგენად ექნება მნიშვნელობა), ანდა ქართველი მთარგმნელის შემოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. ასე თუ ისე, ფაქტია რომ ძველ ქართულ თარგმანში უცხოენოვან წყაროებთან შედარებით უკეთ არის მეტაფორული ადგილი გააზრებული და მხატვრული პარალელი ზმის პრინციპი დაცული.

8. ვერვეე წიგნი იტყვს, ვითარმედ: „იყო პირველი იგი კაცი ადამ საშუმინველად ცხოველად, ხოლო მეორე იგი ადამ — სულად განმაცხოველებლად“ (I კორ. 15, 45AB). დედნშია: οὗτος ἦν ὁ ἀρχαρχαίτης..., რომლის ზუსტი თარგმანია გიორგისეული რედაქციის „ვერეცა წერილ არს“. ასევე ზუსტად არის გადაღებული ეს ადგილი სომხურ და სირიულ ვერსიებში: გრეულე ქეთბ ე. ი. წერილ არს“, მხოლოდ ძველ ქართულ თარგმანში გაქვს: „წიგნი იტყვს“, რომელიც კონტექსტისეულ აზრს უფრო გასაგნობრივებულს, კონკრეტულს, გასაგებს ხდის, ვიდრე განუსაზღვრელი შინაარსის „წერილი“: აქ ხომ მითითება ძველი აღთქმის წიგნზე (დაბ. 2, 7), სადაც ლაპარაკია პირველი კაცის — ადამის შექმნაზე.

9. „უკუეთუ ვინ გიხილოს შენ, რომელსა გაქუს მეცნიერებაჲ, საკერპოსა შინა ინაწით-მჯდომარჲ, არა-მეა გონებაჲ იგი მის უძლურისაჲ განჰჰენდეს ნაკერპავისა მის ჰამად?“ (I კორ. 8, 10AB). აქ პავლე ლაპარაკობს, რომ ქრისტიანები უნდა მოერიდონ საკერპოებში სიარულს, თორემ ცოდვები დაუძძიმდებათ: თუ ვინმე განახავს შენ, ცოდნით, რწმენით ძლიერ ქრისტიანს, საკერპოში ფეხმორთხმით ჰამ წარმართებთან ერთად მაშინ განა (შენი მიბაძვით) უძლურის (ე. ი. რწმენით სუსტი, მერყევი ქრისტიანის) გონება არ გაიხსნება (ე. ი. განა არ ჩათვლის საჭიროდ), რომ ნაკერპავი (ე. ი. კერპისადმი შეწირული მსხვერპლის ნარჩენები) ჰამოს?

ძველი ვერსიების „გონებაჲ იგი მის უძლურისაჲ განჰჰენდეს“ არა-პირდაპირი, მაგრამ სწორი აზრობრივი თარგმანია ბერძნული წყაროს ამ ადგილისა: „ἢ ὑπερῆτος ἀπὸν ἀπορίας ἐξ ἑσθλασ ἢ ἑσθλαს ἢ ἑσθλαს...“ გიორგი მთაწმი-



დისეული პირდაპირი თარგმანი კი გაუგებარს ხდის კონტექსტისეულ მნიშვნელო-
ბას: „გონება იგი უძლურისაჲ მის აღეშენოს“.

10. „ქრისტემან გამოგვქსნა ჩუენ წყვეისა მისგან შჯულისა“ (გალ. 3,13AB).
ბერძნულ დედანშია: $\chi\rho\iota\sigma\tau\omicron\varsigma \eta\mu\acute{\alpha}\varsigma \xi\eta\gamma\iota\rho\alpha\sigma\epsilon\upsilon\lambda\omicron\varsigma\dots$, რომლის პირდაპირი თარგმა-
ნია გიორგისეული რედაქციის იკითხვისი: „ქრისტემან ჩუენ მოგვყიდნა“... სირიულ
ტექსტშიც ზაბნან „გვიყიდა“ ზმნა არის ნახმარი, ამავე შინაარსისაა სომხური
გნეაც. ძველი ქართველი მთარგმნელი კი კონტექსტისათვის ყველაზე შე-
საფერ მნიშვნელობას არჩევს, რადგან აქ მორწმუნეთა გამოხსნაზეა ლაპა-
რაკი: შჯულის (ე. ი. მოსეს კანონების) სახელმძღვანელო პრინციპი რწმენა
კი არ არის, არამედ მიღებული წესების შესრულება. ამ წესების შეუ-
სრულებლობას უცილობლად მოჰყვება დასჯა. ქრისტემ თავის თავზე მიიღო
მოსეს კანონების უარყოფელთათვის განკუთვნილი ღმრთის წყევა და სასჯელი
(ჯვარს ეცვა). მოციქული აგრძელებს: თავისი მიწიერი სიკვდილით (ღვთის
სასჯელის მიღებით) ქრისტემ ყველა გამოგვიხსნა მოსეს კანონების შესრუ-
ლების აუცილებლობისაგანო. ვიმეორებთ, ძველი მთარგმნელის მიერ შერჩეული
გამოხსნა სიტყვა უზუსტესად გადმოსცემს კონტექსტისეულ აზრს, რადგან
მხსნელი, მაცხოვარი იესოს უდიდესი კეთილშობილური საქციელის გამო-
ხსნად სახელდება შეუნაცვლებადია, ყიდვა-გამოსყიდვა მას ვერ შე-
ეტოლება.

11. რამეთუ თქუენ ყოველნი ნაშობნი ნათლისანი ხართ და ნაშობნი
დღისანი (I თეს. 5,5AB). ბერძნულ დედანში ნაშობ სიტყვის ფარდად შვილის
მნიშვნელობის ანიძ არის, ასევე სირიული ტექსტის ბუნად და სომხურის (ე)ორდიქ
იგივეა, რაც შვილნი. პავლე მოციქული მიმართავს მორწმუნე ქრისტიანებს:
თქვენ ნათლის, დღის (ე. ი. ქრისტეს) შვილები ხართ, ამიტომ არ შეიძლება,
რომ თქვენ მეორედ მოსვლის უამს არ ცხონდეთ (არ გადარჩეთ) და არ ეზიაროთ
მუღმიე სასუფეველსო. საკითხავია, უცხო წყაროების კვალობაზე მოსალოდნელი
„შვილნი“ ფორმის ნაცვლად ძველ ქართულ რედაქციებში რატომ არის ნა-
შობნი? თითქოს აქ გამოსარკვევი არაფერია, „ნაშობი“ და „შვილი“ სინონი-
მებია, ერთ რედაქციაში ერთია ნახმარი, მეორეში — მეორე; კიდევ მეტო, ორივე
სიტყვა მიმღობაა, ოღონდ პირველს ზმნური შინაარსი შენარჩუნებული აქვს
(ნა-შობ-ი ← *ნა შვ-ობ-ი), მეორეს — არა, უკანასკნელი გასუბსტანტივებულია
(შვ-ილ-ი, შდრ. თხრ-ილ-ი); სინტაგმა „შვილნი ნათლისანი“ და „ნაშობნი ნათ-
ლისანი“ გრამატიკულად საეგზეთ იდენტურია, მაგრამ შინაარსობრივად განსხვა-
ვებული. პირველ სინტაგმაში „შვილნი“ თავისი სუბსტანტიური შინაარსით ისეთ
მიმართებას ქმნის „ნათლისანი“ მსაზღვრელთან, რომ ეს უკანასკნელი კუთვ-
ნილებით შინაარსს იძენს (მსგავსად, ვთქვათ, ასეთი სინტაგმისა: „წიგნი მამი-
სანნი“), მეორე სინტაგმაში კი „ნაშობნი“ თავისი ზმნური შინაარსით მსაზღვ-
რელს (ნათელს, დღეს) მოქმედის, სუბიექტის მნიშვნელობას ძენს (მსგავ-
სად, ვთქვათ, ასეთი სინტაგმისა: „ნაწერნი მამისანი“). უნდა ვიფიქროთ: ძველმა
მთარგმნელმა გაარსებითებულ შვილ სიტყვას იმიტომ ამჯობინა ნაშობ ზმნური
სიტყვა, რომ დღე, ნათელი, იგივე ქრისტე ღმერთი შთამბეჭდავად
წარმოედგინა, როგორც აქტიური, მოქმედი ძალა, დემიურგი. ასე
რომ, ამ შემთხვევაში „ნაშობნი“, როგორც იტყვიან, ერთადერთი სა-
ჭირო სიტყვაა (I42),11), რომელიც ფრანზს ექსპრესიულს ხდის.

12. „გული გეტყვს ხილვად ჩუენდა, ვითარცა-ესე ჩუენ თქუენდა
(I თეს. 3,6AB) ბერძნულ დედანშია: $\xi\pi\lambda\omicron\mu\omicron\iota\sigma\upsilon\upsilon\tau\epsilon\varsigma \eta\mu\acute{\alpha}\varsigma \xi\delta\epsilon\iota\chi\omicron\upsilon\varsigma\dots$ გიორგი მთა-
წმიდელი ამადგილს ასე თარგმნის: „და გსურის ხილვად ჩუენდა“... ბერძნულის


მსგავსად სირიულში სურვილის მნიშვნელობის ვასვენ სიტყვაა ნახშირი, ასევე სომხურში ცანკაცეალ ექ წადილს აღნიშნავს. რა თქმა უნდა, ძველქართული რედაქციების „გული გეტყვას“ მნიშვნელობით დაახლოებით იგივეა „გსურის“, მაგრამ პირველი ქართული იდიომური სინტაგმაა და სურვილის შინაარსს უმატებს უშუალოდის, გულწრფელობის, შინაგანი წადილის ნიუანსს.

13. „ვჰმადლობდით მამასა,... რომელმან-იგი მივსნა ჩუენ ჳელმწიფებისა მისგან ბნელისა და მიმაწინა ჩუენ სასუფეველსა ძისა მისისა საყუარლისასა (კოლ. 1,12—13AB). ძველი რედაქციების „მიმაწინა“ ზმნის ბაღდად ბერძნულ დედანშია *μαρτσησεν*, რომელსაც გიორგი შთაწმიდელი „მიმცვალნა“ ზმნით თარგმნის. ზუსტი თარგმანი არც ერთია და არც მეორე, რადგან *μαρτσησεν* სიტყვასიტყვით ნიშნავს „გადაგვაადგილა“, „გადაგვსვა“ (ამ მხრივ, ზუსტია სომხური თარგმანის ფოხეც ზემეზ), მაგრამ ძველი რედაქციების „მიმაწინა“ შესანიშნავად ვადმოსცემს კონტექსტისეულ აზრს, უფრო ცხოველმყოფელად, ვიდრე ეს დედანშია: ქართულ თარგმანში შთამბეჭდავად ძლიერდება მამა ღმერთის ძალის გრანდიოზულობა, როცა თხრობის მდინარება ქრისტეს სამყოფელს — სასუფეველს საერთოდ მიუწვდომლად სახავს, მაგრამ მორწმუნე ქრისტიანისთვის — მისაწვდომად, მისაწეველად.

მსგავსი მაგალითების მოყვანა ნებისმიერი ბიბლიური წიგნიდან შეიძლება, მაგრამ ნიმუშად, ვფიქრობთ, დასახელებულიც კმარა. მაგრამ ასეთი შემოქმედებითი, თავისუფალი თარგმანების გვერდით, რა თქმა უნდა, მოიპოვება აშკარა შეცდომებიცა და პირდაპირი, კონტექსტისათვის შეუფერებელი სემანტიკური, დერივაციული და სინტაქსური კალკები*. ორივე ტიპის ნიმუშებს ცალ-ცალკე უნდა გამოვლენა და შესწავლა თითოეული ბიბლიური წიგნის მიმართ.

4. **ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ:** ელინიზებულ იდეურ წრეებში შექმნილი ქრისტიანობის საყრდენი ძველი „ახალი აღთქმა“ მეტად დავალებულია „ძველი აღთქმისაგან“. ის ებრაიზმები, რომლებიც ისე ჭარბად არის სეპტანტაში, რომ მკვლევრებს ათქმევინებს: „ბერძნულ აღთქმაში არ არის გვერდიც კი, სადაც არ იყოს ებრაიზმები“ ([42], 17), ახალ აღთქმაში ყველა მთიპოვება ([43], 28). ქრისტიანულმა რელიგიამ ახალი ცნებები შექმნა, მაგრამ მათ ვადმოსაცემად ახალი ბერძნული სიტყვები კი არ შეუქმნია (ასეთი სიტყვები თითზე დასათვლელია), არამედ ძირითადად აიღო არსებული სიტყვები და განსაკუთრებული, მისთვის საჭირო მნიშვნელობებით აღჭურვა ისინი. ასევე უნდა მოხდარიყო ეს ქართულ სინამდვილეში: ბიბლიური ცნებების ვადმოღება მეტწილად ადრე არსებულ სიტყვებს უნდა დაკისრებოდათ. მაგრამ იყო სხვა გზაც: ა) სპეციფიკური ქრისტიანული ტერმინის სესხება, როგორცაა ევანგელე ეპისტოლე, ეკლესია, ანგელოზი, ეპისკოპოსი, კურექსი, ფსალმუნი, დიაკონი, მარტულია, პასქა და ა. შ. ოღონდ ადრევე ცდილან ზოგი ნასესხები ტერმინისათვის ქართული შესატყვისობანი დაემქნათ, რისი შედეგიცაა სინონიმური პარალელიზმები: ევანგელე — სახარება, მარტულია — მებერგასე, პასქა — ვნება. ბ) ლექსიკური თუ დერავაციული კალკი, მაგალითად: ყოვლისმპყრობელი (*παντοκράτωρ*), მრგულიად — დასაწუველი (*ἐλε-*

* ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციის ქართულ თარგმანებში არსებობის შესახებ ([21], 79—90).



χάρισμα), თვითმპყრობელი (ἀπειθαρχία), წინაწარმეტყუელი (προφοΐτης)... გ) სა-
 ქუთარი სიტყვაწარმოებითი საშუალებანი, მაგ., სამოციქულო
 სახარება, ნათლის-ცემა...

ძნელია იმის დადგენა, თუ წარმართული დროის რომელმა სიტყვებმა იცვა-
 ლეს მნიშვნელობა და შეიძინეს ქრისტიანული შინაარსი, ძნელია, იმიტომ, რომ
 წინაქრისტიანული წერილობითი ძეგლების უქონლობის გამო ჩვენ მოკლებული
 ვართ საკონტროლო საშუალებას, თვალი ვადევნოთ სიტყვათა მნიშვნელობების
 ცვლას, წარმართული სიტყვების „გაქრისტიანებას“. მიუხედავად ამისა, ეტიმოლო-
 გიური ძიებითა და სხვა ისტორიული რეალიების გათვალისწინებით მაინც შეიძ-
 ლება ზოგიერთი ქართული ქრისტიანული ტერმინის ისტორიის მიახლოებითი
 გარკვევა.

1. სახარება: ამ ტერმინს ერთბაშად არ მოუკიდა ფეხი ქართულში. მარ-
 თალია, ოთხთავის ძველ ქართულ რედაქციებში ბერძნული εὐαγγέλιον-ის ფარ-
 დალ მხოლოდ „სახარება“ იხმარება, მაგრამ ეს ტერმინოლოგიური უნიფორ-
 მაციის მეორე ეტაპს უნდა ასახავდეს, ადრე მას სხვა სიტყვებიც ეცილებოდა.
 ამას მიგვანიშნებს სამოციქულოს ერთი ადგილი: „უსასყიდლოდ სიტყუაჲ იგი
 გახარე თქუნ“ (II კორ. 11,7 AB). აქ „სიტყუაჲ“ გადმოსცემს ბერძნულ εὐαγγέ-
 λιον-ს. ვიორგი მთაწმიდელს, როგორც მოსალოდნელი იყო, „სიტყუაჲ“ შეუცვ-
 ლია „სახარება“ ერთეულთ. აქვე შეიძლება გავისხენოთ, რომ შუშანიკისა და
 ევსტათი მცხეთელის წამებათა ავტორები ბერძნულ ევანგელე ტერმინს არჩევენ.
 ქრისტიანული ხარების მნიშვნელობით, რომლისაგანაც სახარება ტერმინია
 ნაწარმოები, ძველ ქართულში თხრობაც უხმარიათ (ი. 20,18 DE) და ქადა-
 გებაც (მრ. I, 38 DE).

სახარება იმავე ტიპის სა— მაწარმოებლიან საწყისად მიიჩნევა, როგო-
 რიცაა საარება, აღსარება, საღმობა ([15], 227; [28], 250) მართლაც, საწყის-
 სური შინაარსით არის სახარება ნახმარი ალაგ-ალაგ: „არა მიმავლინა მე უფალ-
 მან ნათლის-ცემიდა, არამედ სახარებად“ (I კორ. 1,17). აქ სახარება ნიშ-
 ნავს ქრისტეს მოძღვრების თხრობას, უწყებ- შეტყობინებას ანუ
 ხარებას, ისე როგორც მისი ფარდი ბერძნული საწყისი εὐαγγέλιον-ს. მაგ-
 რამ ბიბლიურ ტექსტებში საწყისად, ჩვეულებრივ, ხარება იხმარება (ლ. 1,19;
 ლ. 4,43...). რადგან საწყისური შინაარსით ოდენსუფიქსიანი წარმოების
 ხარება იხმარებოდა, პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახარება-ს ტერმინის
 მნიშვნელობა უნდა მიეღო და გასუბსტანტივებულიყო: მეტაანალიზით სა- პრე-
 ფიქსი დერივაციულ (დანიშნულების მაწარმოებელ) ოდენობად უნდა გა-
 აზრებულიყო. ამისათვის ხელი უნდა შეეწყო სათანადო სომხური ტერმინის ანა-
 ლოგიურ წარმოებას: ავეტარან („სახარება“) ნაწარმოებია ავეტელ ძირიდან
av-pan სუფიქსით; ეს უკანასკნელი, დაახლოებით, ქართულ სა- მაწარ-
 მოებელს უდრის და აღნიშნავს დანიშნულებას ან რისამე შემცველო-
 ბას. ასე რომ, ტერმინად ქცეული სახარება გაგებულია, როგორც დანი-
 შნულების სახელი, კეთილი ამბის, ხარების შემცველი წიგნი,
 ანუ, როგორც საბა განმარტავს, სახარებელი. სირიულში კი ფეხი ვერ მოი-
 კიდა ბერძნული ტერმინის სემანტიურმა ფარდმა სებართონ (მ. 4,23) სიტყვამ,
 რომელიც ბროკელმანის მიხედვით არის მხიარული ამბავი, ცნობა, სახარება
 ([54], 185), და ფეხი მოიკიდა ქადაგების შინაარსის ქარუზონ (← *χρησίζ*)
 ფუძის ქარუზონთ სიტყვამ და პირდაპირ ნასესხებმა 'ევანგელიონ ერთეულმა.

მაშასადამე, სახარება სიტყვის ტერმინად ქცევა IV—VI საუკუნეებში დასრუ-
 ლებული არ ჩანს. საყრდენ ხარება ძირს წარმართულ ხანაშივე უნდა ჰქონოდა

ორი მნიშვნელობა: 1) ცნობება, შეტყობინება ([34], 193—224), 2) კარგი/ამ ბის ცნობება — შეტყობინება. ხარება ძირიდან ნაწარმოებ სახეობებში სიტყვაში მეტაანალიზის შედეგად საწყისური შინაარსი დაჩრდილულად დასწავლა შნულების სახელად გააზრებულია. ამ გზით მიღებული სახარება ორიგინალური სახელდების ქართული ტერმინია, რომლის მარტივი ფუძე მოხდენილად აერთიანებს ერთდროულად სუბსტანტიურ და ატრიბუტულ შინაარსს: ის აღნიშნავს არა მარტო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობა-მოძღვრების შემცველ წიგნს, არამედ იმასაც, რომ ეს წიგნი კარგს, საუკეთესოს, სასიხარულსაც შეიცავს.

2. ნათლის-ცემა, ნათლის-ღება: მონათვლა შვიდი ქრისტიანული საიდუმლოდან ერთი უმთავრესთაგანია, რომელიც პრაქტიკაში II საუკუნიდან შემოდის, ხოლო ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, 325 წლიდან, სავალდებულო ხდება ქრისტეს სჯულის აღმსარებელთათვის.

ნათლის-ცემის რიტუალში უმთავრესი კომპონენტია წყალი, წყლით განბანვა: წყალს მაგიური ძალა მიეწერება — თითქოს ის ღვინის აღამიანის სხეულში დასადგურებულ იმ ავ სულს, რომელიც ცოდვების ჩადენისაქენ უბიძგებს მას. წყლით ნათვლა უძველესი ჩვევაა, რომელიც მიღებული იყო ბევრგან, ძველ (წარმართულ) საბერძნეთსა, იუდეასა თუ ირანში (თვით მითრას ტაძარში სრულდებოდა ეს რიტუალი) ([44], [46], [47]). ქრისტიანულმა რელიგიამ ამ წარმართულ ჩვევას ახალი, სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა და ქრისტეს რწმენის განმტკიცების სამსახურში ჩააყენა: წმინდა ემბაზში ჩაძირული აღამიანი ქრისტეს სიკვდილის მოზიარე ხდება: კაცი იძირება წყალში, ე. ი. სიმბოლურად — მოკვდავი, განხრწნადი სხეული ეფლობა სამარეში. ამით იმიტირებულია განკაცებული ქრისტე-ღმერთის სიკვდილისა და დაფლვის სცენა, რომ მოსანათლი თანაზიარი გახდეს ქრისტეს სიკვდილისა ანუ ქრისტეს მსგავსად დატოვოს განხრწნადი სხეული. ხოლო წმინდა ემბაზიდან ამოსვლა სიმბოლურად მოიაზრება, როგორც მკვდრეთით აღდგომა, ქრისტესმიერი უხრწნელი სხეულით შემოსვა. ამ სიმბოლური აქტით შეძლო ქრისტიანულმა რელიგიამ საუკუნეების განმავლობაში ეკვება მორწმუნენი იმის იმედით, რომ ისინი ნათლის-ღებით ქრისტესმიერი უკვდავების თანაზიარნი ხდებოდნენ.

საინტერესოა ეფრემ მცირის „სამოციქულოს“ თარგმანება — კომენტარებიდან ერთი ადგილი ამ ქრისტიანულ სიმბოლოზე (თავად ეს თარგმანება ეფუძნება იოვანე ოქროპირის, ბასილ დიდის, კირილე ალექსანდრიელის და სხვა ღვთისმეტყველთა ნააზრევს) ([19], 27—47). პავლე მოციქული ამბობს; „რამეთუ ქრისტე იესუმს მიერ არცა წინადაცუეთილებად რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთელობად, არამედ ახალი დაბადებული“ (გალ. 6,15). ეფრემ მცირე განმარტავს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს „ახალი დაბადებული“, წერს: „კუალად მსგე ზემოთ თქუმულსა სიტყუასა იტყუს, ვითარმედ არაა მეტობად არს პურიათავანობად, არცა წარმართთავანობად, არამედ ესე ოდენ საძიებელ არს, რაათა დაძულებად იგი ცოდვათა მიერი ახალ დაბადებულ იქმნა ქრისტეს მიერ საბანელითა წმიდისა ემბაზისადათა, რომელსა შინა ძუელი კაცი ჩუენი დაეფლვის ქრისტეს თანა და განახლებული აღმოვალს მიერ. და კუალად ახალ დაბადებულ არს, რაჟამს ჩუენ ძლით ჩუენ თანა განხრწნილი სოფელი კუალად ჩუენ თანავე ახლად მეორედ დაიბადოს ქრისტეს მიერ განახლებითა საუკუნეთა და კუალად განუხრწნელითა“ (A—390, 38 r).

უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ ღვთისმეტყველთა ნააზრევი, რომელიც ეფრემს თავის კომპოზიციურად ორიგინალურ თარგმანებაში მოჰყავს, თავად

ემყარება პავლე მოციქულის მოძღვრებას. პავლე სწერს ეფესელებს: „განიშნეთ თქვენ განაპირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძუელი იგი განხრწნილი იგი გულის თქუმისა მისებრ მის საცთურისა, და განახლებადეთ სულითა მით გონებისა თქუენისაათა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაათა“ (ეფეს. 4, 22—24). კოლასელებს კი ასე მიმართავს: „მის (ე. ი. ქრისტეს) თანა დაეკლენით ნათლის-ღებითა მით, რომლისა თანაცა აღსდევით სარწმუნოებითა შეწვენითა ღმრთისაათა, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრებით (კოლ. 2.12).

როგორც აღინიშნეთ, ნათლის-ცემის რიტუალში მთავარი კომპონენტია წყალი, წყალში ჩაძირვა და სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი აღებული ამ ქრისტიანული სიმბოლოს სახელდების მოტივად ბერძნულსა და ბევრ სხვა ენაში. ძვ. ბერძნული *βαπτίζω* ზმნა საზოგადოდ მნიშვნელობით ნიშნავდა წყალში ჩაძირვას, ჩაყურყუმადებას, მაგრამ მან ქრისტიანობის პერიოდში შეიძინა სიმბოლური მნიშვნელობა ქრისტიანული საიდუმლოსი [48], 695). ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ხალხებს ნათლის-ცემა სხვა ეტიმოლოგიის მქონე სიტყვებით აღუნიშნავს. დღეს სადავო არ არის, რომ ელინურმა სამყარომ გავლენა მოახდინა იუდაიზმზე. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ პროზელიტების (არაებრაელების) იდეურ სარწმუნოებაზე მოსაქცევად წინადაცვეთასთან ერთად საჭიროდ მიიჩნეოდა წყალში ჩაძირვა, უკანასკნელის გარეშე წარმართი ვერ გახდებოდა იუდეველი: ებრაული *tabila* ბერძნული *βαπτίζω*-ს ზუსტი თარგმანია, ნიშნავს „წყალში ჩაძირვას“ [45], 283). სირიული ტერმინიც ბერძნულის ლექსიკური კალკია: ‘მდ ნიშნავს: ქვევით, ძირისკენ სვლას, ჩაძირვას; წყლით განწმენდას; ნათვლას ([53], 164).

სომხურში ნათლვა აღინიშნება ორი გინალური სიტყვით, მკატელ ზმნით, რომლის სარწმუნო ეტიმოლოგია დღემდე არ მოიპოვება: ერთნი მას უკავშირებენ რკობის, ჩაძირვის მნიშვნელობის მხრჭელ ან განწმენდის შინაარსის მაქროტელ სიტყვას, მეორენი — ჭრის (წინადაცვეთის) მნიშვნელობის სემიტურ *kr* ძირს, მესამენი — დასველების მნიშვნელობის ისეთ ინდო-ევროპულ ძირს, როგორიცაა ძვ. სლავური *moknъ, moknati, močiti* ([55], 1069).

ძველ სლავურსა და რუსულში ნათლვა გამოხატულია ნასახელარი *крѣстити* (→*крестить*) ზმნით, რომელსაც საფუძვლად უძევს ჯვრის მნიშვნელობის *крест* სიტყვა. ოღონდ თავად საეკლესიო სლავური *крест* (*χрест*) უკავშირდება სიტყვა ქრისტეს (ზღრ. ბულგარული *χрест* „ჯვარი“ და ბერძ. *χριστός*) მნიშვნელობის ასეთი ცვლით: ქრისტე → ჯვარცმული → ჯვარი ([49], 374). აქვე შეიძლება სხვა ენის მასალების მოყვანა, მაგრამ დასახელებულიდანაც კარგად ჩანს ერთი რამ: ნათვლის — ძირითადი ქრისტიანული საიდუმლოს — აღმნიშვნელი ტერმინის საფუძვლად სხვადასხვა ენაში სხვადასხვა გარემოებაა გათვალისწინებული, უდიდეს შემთხვევაში, თვით რიტუალის ერთ-ერთი კომპონენტის სახელწოდება (წყალში ჩაძირვა, განბანვა, რკობა, ჭრა, ჯვარი, ქრისტე...) მხოლოდ ქართული ტერმინის საფუძველი არც ნათელი. ნათლის-ცემა, ნათლის-ღება, გარკვეული აზრით ქართული ორიგინალური ტერმინია, რადგანაც მას პარალელი არ ეძებნება არცერთ იმ ენაში, რომელთა მატარებელ ხალხთანაც ქართველებს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონია I—IV საუკუნეებში (უპირველესად, ეგულისხმობთ ბერძნულ, სომხურ, სირიულ ენებს). თუ რად არის

მოტივირებული ქართული ენის სინამდვილეში ძირითადი ქრისტოლოგიური ტერ-
მინის სახელ დებვის პრინციპის განსხვავებულობა, ეს უნდა იხსნას
ქრისტიანობამდელი ქართული წარმართული რწმენისა და მსოფლმხედველობის
გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ ანტიკური და გვიანანტიკური ხანისათვის საკუთარი მზის
კულტის ძველდროიდანვე თაყვანისცემა და მზის გაღმერთების უძველესი ტრა-
დიცია ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ წინა აზიის უძველესი მკვიდრი მოსახ-
ლეობისაგან სპარსელების მიერ შეთვისებულ მზის ღვთაებას — მითრას კულტს —
საქართველოშიც ფეხი მოედგა ([24], 679; [32], 179—193). ისიც გარკვეულია,
დღეს, რომ ქრისტიანობამ საერთოდ ბევრი რამ შეითვისა წარმართული კულ-
ტებიდან, მათ შორის მითრანიზმისაგან, კერძოდ, განკაცება, ხსნის იდეა, მკვლრე-
თით აღდგომისა და მეორედ მოსვლის იდეა, ზიარება, ნათლის-ცემა, მირონ-
ცხება და სხვა ([7], 343—350). ამჟამად ჩვენ გვიანტერესებს ერთი მომენტი:
მითრა არის მზე-ღმერთი, რომელიც ქვეყნიერებას ანიჭებს სიცოცხლესა და სი-
ნათლეს. ქრისტეც, ადრეული ქრისტიანული ლიტურატურით, არის „ნათელი ნათ-
ლისაგან“, „მზე სიმათლისა“, ცხოვრების მომნიჭებელი, მაცხოვარი. პავლე
მოციქულს ქრისტეს ხილვა უდიდესი ნათლის ხილვად აქვს
წარმოდგენილი: „იყო უკუე ჩემსა მას სლვასა და მიახლებასა დამასკისასა შუა
სამხრის, მეყსეულად ზეციით გამომიბრწყინდა ნათელი დიდი ჩუენ
ზედა (საქმ. 22,6). მეორეგანაც იმეორებს: „შუადღე გზასა ზედა ვიხილე, მეფეო,
ზედითი გარდამო უბრწყინვალესი მზისა გამომიბრწყინდა მე ნათელი
და ჩემ თანა მოგზაურთა მათ“ (საქმ. 22,13).

ცნობილია: ტაძრებში მითრას ქანდაკის წინ დაუშრეტელი ლამპარი
ენტო; ქრისტიანულ ნათლის-ცემაშიც ნათელი მონაწილეობს: ანთებული სანთ-
ლები უჭირავთ ხელში. ჩანს, ქართველი ხალხის შეგნებაში იმდენად ძლიერად იყო
გამჯდარი წარმართული სინათლის კულტი, რომ ქრისტიანული ნათლის-
ცემის რიტუალის კომპონენტებს შორის გამოჩნდებოდა იქნა დანახული ნათელი,
სინათლე. უკეთ: ძნელად შესაღწეველი სინათლის კულტი ქრის-
ტიანულ სამოსელში იქნა გახვეული და შეფარებული. ვიმეო-
რებთ ქართველი ხალხის მსოფლმხედველობით, ქრისტიანულ ნათლის-ცე-
მაში ტრანსფორმირებული სახით წარმართული სინათლის
კულტი ცხადდება. ამრიგად, ნათლისცემა ორიგინალური სახელ-
დების ქართული წარმართული ტერმინია, რომელსაც მოხდენ-
ილად აქვს მორგებული ახალი ქრისტოლოგიური შინაარსი:
მოაზრება, როგორც მორწმუნის სანუგვარი იდეის — მარადიულ, შემოუსაზღვრელ
ნათელთან — ღმერთთან ზიარების ხორცშესხმა. ამდენად, გადაჭარბებად არ შეიძ-
ლება ჩავთვალოთ, რომ „ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელე-
მენტებს წარმართული სკარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელით უმრავლეს
შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-
დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეუ-
ლებები სრულდება ([3], 1—2).

დავძენთ, რომ კოლხეთს იბერიისგან დამოუკიდებლად უნდა მიეღო ქრის-
ტიანობა, რასაც ამტკიცებს კოლხურში (მეგრულ-ქანურში) ქართულისაგან გან-
სხვავებული ქრისტიანული ტერმინოლოგია: შობა — ქირსე (← ქირსე, ქრისტე),
აღდგომა — თანაფა, („თენება“), ეკლესია — ოხვამე („სამლოცველო“)
მღვდელი — პაპა. ქართულის გვიანდელი გავლენაც ჩანს: ნათლის-ცემა, ნათელა
აღინიშნება ქართულიდან შესული ნათუა ფუძით (ნათ-ელ, თენ-ებ-ა და

მ-თ-ი(გ)-ებ ფუძეებში ძირეულად თ მიიჩნევა). კოლხურს ნათელ ფუძის სესხებამდე, შესაძლოა, სხვა ძირი ჰქონდა ამ ცნების მნიშვნელობით. ამ მხრივ ნიშნავია ის ფაქტი, რომ „ნათლულ“-ის ფარდად ქართული ძირის „ნანათა ინბარება, მაგრამ „ნათლის“ მნიშვნელობით კი—„მორდია“ (შდრ. მორდუობა), რომელიც ეტიმოლოგიურად ზრდა ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს: ზრდ-ი-ს /რდ-უნ-ს (ზ, ზა ქართულ ფუძეში მეორეულად კი არა) [16], 309), არამედ კოლხურისაში დაკარგულად უნდა ჩავთვალოთ: კოლხურში აუტანელია თანხმოვანთა დაჯგუფება და ისიც სიტყვის დასაწყისში.

მაგრამ სინათლის წარმართული კულტი უნდა ჩანდეს „აღდგომის“ მნიშვნელობის კოლხურ „თანაფა“ ტერმინში, რომელიც ქართული „თენება“-ს კანონზომიერ შესატყვისობას წარმოადგენს. თავად ქართული „აღდგომა“ ბერძნული ἀναστασις-ის ზუსტი გადმოცემაა და ქრისტიანული წინაარსი მისთვის მეორეულია (მსგავსად მისი ბერძნული ფარდისა).

3. მღვდელი: ეს სიტყვა ოთხთავში სისტემებრ გადმოსცემს ბერძნულ წიგნების, ხოლო მღვდელთ-მოძღუარი — ἀρχιεπίσκοπος-ს. ორიგინალურ ძეგლებში ხმარებული ხუცესი სიტყვა მღვდლის მნიშვნელობით ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში არ ჩანს. ხუცესი ბიბლიურ თარგმანებში ჩვეულებრივ გადმოსცემს ბერძნულ πρεσβύτερος-ს, ხოლო ეს უკანასკნელი მღვდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა გვერდით იხსენიება, როგორც იუდეური საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენელი. შემდგომ ეს ებრაული შინაარსის სიტყვა მოციქულთა მოღვაწეობის ხანაში (I—II საუკ.) ძველი საზოგადო მნიშვნელობით (=უფროსს), ხოლო მოგვიანებით (III—IV საუკ.) ქრისტიანული ეკლესიის მსახურის აღმნიშვნელი ხდება: პრესვიტერებად იწოდებიან ეპისკოპოსები და პირიქითაც, თუმცა ამავე დროს ასაკობრივად უფროსის მნიშვნელობაც შენარჩუნებული აქვს (1 პეტ. 5,1; 2 იოან. 1,1), საბოლოოდ კი პრესვიტერი ეკლესიის მეორე საფეხურის მოხელეა ეპისკოპოსის შემდეგ. პრესვიტერის ქართული ფარდი ხუცესი „შუშანიკის წამებაში“ უკვე მღვდელს აღნიშნავს.

ცნობილია, რომ კლასიკური ხანის ბევრმა ბერძნულმა სიტყვამ ბიბლიის ენაში იცვალა მნიშვნელობა. ასე მოხდა აქაც: ბერძნულში ქრისტიანობამდე წიგნების აღნიშნავდა წარმართული მსხვერპლშეწირვის აღმსრულებელს, ქურუმს. ასევე სირიული ქაპანა ქურუმსაც ნიშნავს და მღვდელსაც. ხოლო სომხ. ქაპანა ნასესხებია სირიულიდან. შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული მღვდელიც წარმართული ხანის ტერმინია, მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გარკვევის საინტერესო ცდაა მოცემული ს. ყაუხჩიშვილის შრომაში, რომლითაც მღვდელი დასაძებნა ფუძეში დაცული დად ჩირისაგან მ-ელ აფიქსებით ნაწარმოები მოქმ. გვარის მიმღეობა უნდა იყოს: *მ-ღ-დ-ელ-ი → მღვდელი ([14], 95). ეს ახსნა, ი. იმნიშვილის აზრითაც „ძალიან ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ“ ([29], 30). თითქოს გამორიცხული არ არის სხვაგვარი ახსნაც: შესაძლოა, მღვდელ ფუძეში ხაღ-ა ზმნური ძირი იყოს. რომლის მნიშვნელობაა მოხმობა, დაძახება, მოწოდება („ხუ ჰხადი მეგობართა შენთა, ლ. 14,14): *მ-ხაღ-ელ-ი → მ-ხ-ღ-ელ-ი → მ-ღ-ელ-ი (ზ-ს ასიმილაციური გამჟღავნება და ლ-ში გადასვლა დ-ს გვერდით შეუძლებელი არ უნდა იყოს, თუმცა ქართულში, ჩვეულებრივ, მეღვრთა დაყრუება ხდება). არც ისაა შეუძლებელი, რომ ლად და ხად ერთი ძირის ვარიანტები იყოს. ასეა თუ ისე, ერთი ამკარაა: ქრისტიანობამდე მღვდელ სიტყვა ხმამაღლა მოხმობის, მომწოდებლის, წარმართული რიტუალის მონაწილე შემსრულებლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მას (ბერძნული ჰიე-

რევისის მსგავსად) მერმე უნდა დაკისრებოდა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მსახურის მნიშვნელობის გამოხატვა.

რაც შეეხება ხუცეს სიტყვას, ის ძველი, ეტიმოლოგიური მნიშვნელობითაც ესადაგებოდა ბერძნულ პრესვიტერს: ხუცესი ც ძირიდან ნაწარმოები უფროობითი ხარისხის ფორმაა, რომელსაც ხ პრეფიქსი რუდიმენტით შეპრჩენია და უფროსს ნიშნავს. მისი კანონზომიერი შესატყვისები მეგრ. უ-ჩ-ამ და სვან. ხ-ო-შ-ა დღესაც უფროსის შინაარსის მატარებელია. ხუცესს სიტყვას გვიანობამ დე (X—XI საუკ.) მკრთალად კიდევ შერჩენილი ჰქონდა ძველი მნიშვნელობა, რაზეც უნდა მიანიშნებდეს გომარეთის ეკლესიის წარწერაში დადასტურებული ხუც-გალატოზი, რომელიც მთავარ-კალატოზს აღნიშნავს ([9], 336).

4. **მოციქული:** წარმოშობით ეს სიტყვა ციქუ ძირისგან მოულ—აფიქსებით ნაწარმოები საშუალო გვარის მიმღობაა (შდრ. ანალოგიური წარმოების: მო-ნატრ-ულ-ი, მო-ხარ-ულ-ი, მო-ყუარ-ულ-ი...). ძველ ქართულში იხმარება მარტივი თემის პირიელი ფორმებიც: ქრისტესთვის ვციქუთ, ვითარცა ღმერთი გლოცავს ჩუენ მიერ“ (II კორ. 5,20). „რაჲთა მომეცეს მე სიტყუჲ აღებასა პირისა ჩემისასა განცხადებულად უწყებად თქუენდა საიდუმლოჲ იგი სახარებისაჲ, რომლისოჲს ვციქუ ჩაჭკუთურთ“ (ეფეს. 6,19—20). ხაზგასმული ზმნის ფორმების ფარდად ბერძნულ ტექსტშია: *πρεσβευται* და *πρεσβευτα*, რომელიც საერთოდ უხუცესობას, უფროსობას ნიშნავს, მაგრამ ახალ აღთქმაში გაგზავნას, წარვლინებას გამოხატავს (შდრ. რუსული თარგმანის *посланики*). ეფრემ მცირეს ვციქუ ზმნა ვით სიტყვით შეუცვლია. თუ პირველი ზმნა წარვლინების მნიშვნელობისაა, მეორე — შუამდგომლობას უნდა გამოხატავდეს (შდრ. მე-იხ-ებ-ა).

მოციქულ მიმღობისგან კვლავ არის ნაწარმოები რთული თემის მოციქულ-ებ-ა, მოციქულ-ობ-ა. ეს საწყისური ფორმები ჩვეულებრივია ძველ ქართულში, მაგრამ შესაბამისი პირიელი ფორმები საქებარია, საშუალო ქართულში კი მოხშერებულა: ესე უთხარ: „ამის მეტსა ჰმოციქულობ ნურას ნუო“ (1482,1; ვეფხ. 1957 წ. გამოც.).


მოციქულ ფუძიდან დანიშნულებების ტიპის ახალი ქრისტოლოგიური ტერმინია ნაწარმოები სა—ო აფიქსებით: სა—მოციქულ-ო — ახალი აღთქმის წიგნები, რომლებშიც მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობა და ნაზრევია გადმოცემული.

ეტიმოლოგიურად ციქუ|ციქვ ძირი უნდა ნიშნავდეს ვინმეს წარვლინებას, რასაც გვაუწყებს ამ ძირის კანონზომიერი კოლხური ფარდი ჩქვ (<—ჩიქუ); ო-ჩქვ-ან-ს („ავზანის ვილაცას“), ვ-ო-ჩქვ-ი („გავავზანე ვილაც“) მოციქულ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობაა მიგზავნილი, წარვლინებული, რაც მას საშუალოსა და ახალ ქართულშიც არ დაუკარგავს.

„წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა,

მოციქული—მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა“ (ვეფხ. 323,2).

მაგრამ ამ სიტყვას ახალი აღთქმის ძველ ქართულ თარგმანებში შექმნილი აქვს მეორე, ქრისტოლოგიური მნიშვნელობა, აღნიშნავს ქრისტეს მოძღვრების განმავითარებელ-გამავრცელებელს, ქრისტეს თითოეულ თორმეტ მოწაფეთაგანს. აღსანიშნავია, რომ ახალი აღთქმის ქართულ თარგმანში მოციქულ სიტყვას მხოლოდ მეორეული, ქრისტოლოგიური მნიშვნელობა აქვს.



ქართული მოციქულ ტერმინის შინაარსის გაფართოება პარალელს პოულობს სხვა ენებში მსგავსივე მნიშვნელობის სიტყვათა სემანტიკურ ცვლასთან. ბერძნული *ἀποστολὴ* ანტიკურ, ქრისტიანობამდელ ხანაში წარვლენილი ნაგა და შემდეგ მიიღო ქრისტოლოგიური შინაარსი. ასევე სომხური არაქელ („მოციქული“) ვალ სუფიქსით ნაწარმოები წარსული დროის მიმღობაა არაქელ ზმნისა, რომელიც უპირველესად წარვლენა-გაგზავნას ნიშნავს. სირიული შგლნზ „მოციქული“ ემყარება წარვლინების მნიშვნელობის შგლას ზმნას. მაგრამ სლავურ-რუსულ და დასავლეთ ევროპის ხალხთა ენებში გზა გაიკაფა ბერძნულმა *ἀποστολὴ* სიტყვამ.

ქართულ ორიგინალურ ძეგლებში მოციქულ სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება: აღნიშნავს არა უშუალოდ ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგანს, არამედ, საერთოდ, ქრისტიანული რელიგიის წინაშე დამსახურებულ პიროვნებას, ე. ი. იმას, ვინც თავისი საქმიანობითა და ღვრსებებით ჰგავს პირველ მოციქულთ. „ნინოს ცხოვრებაში“ ქრისტეს მოციქულების გვერდით წმინდა ნინოც მოციქულად არის მიჩნეული: „წმიდამან ღმრთისმშობელმან... მოიქენა წილხედობამა მისი ქართველთა ნათესავისაჲ, ოდეს-იგი წილ იგდეს მოციქულთა ქუეყანაჲ; და ამისთჳსცა განჰმზადა ღირსი და წმიდაჲ ნინო მოციქულად (135), 218, 29). ასეთივე გაგებით უწოდებს გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელს მოციქულს: „ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულ მან წარმოთქუა ქებაჲ ხანცთისაჲ (126), 262, 32).

მაშასადამე, მოციქული წარმართული დროის ძველი ხმარების სიტყვაა, რომელიც ქრისტიანობამდე მხოლოდ წარვლინებულს ნიშნავდა. შემდეგ ამ სიტყვამ პირველ მნიშვნელობასთან ერთად შეიძინა ახალი ქრისტოლოგიური შინაარსიც, რასაც ამტკიცებს როგორც თვით სიტყვის ეტიმოლოგია, ასევე მისი ლექსიკურად ფარდი უცხოენოვანი ერთეულების სემანტიკური ევოლუციის ჩვენება-მოწმობა.

ლიტერატურა

1. აბულაძე ილ., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—XII საუკუნეებში, თბ., 1944.
2. საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950.
3. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941.
4. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1969.
5. გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1946.
6. ქეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ეტ., 1, თბ., 1956.
7. ქეკელიძე კ., ქრისტიანობა და მითრიაზმი. ეტ., II, თბ., 1945.
8. ქეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960.
9. ქეკელიძე კ., „ხუც“ ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“. ეტ. I, თბ., 1956.
10. ლომოური ნ., ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975.
11. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ. 1951.
12. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.
13. შანიძე აკ., უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. თხზულება, I, თბ. 1957.
14. ყაუხჩიშვილი ს., აღიშის ხელნაწერის ბერძნოზმები: ენიმკის მოამბე, XIV, 1944.
15. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

16. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
17. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და ქ. დანელიამ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1974.
18. დანელია კ., პავლეს ეპისტოლენი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო. თსუ-ს შრ., 8—9, № 155—156, თბ., 1974.
19. დანელია კ., ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 4, თბ., 1974.
20. დანელია კ., იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები ძვ. ქართ. ენ. კათ. შრ. ტ. 9, თბ., 1964.
21. დანელია კ., უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 4, თბ., 1975.
22. დოჩანაშვილი ე., მასალები აღმის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. მასალები საქ. დაკავ. ისტორიისათვის, ნაკ. 32, თბ. 1955.
- 22ა. დოჩანაშვილი ე., ტექსტობრივი დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა ძველი აღთქმის ზოგ ქართულ ხელნაწერში. „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), № 2, 1971, 77—82.
23. უხტანესი, ისტორია გამოყოფის ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, თბ., 1970.
25. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბ., 1973.
26. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, I, თბ. 1964.
27. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები..., II, თბ., 1967.
28. იმნაიშვილი ივ., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია: ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971.
29. იმნაიშვილი ივ., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, თბ., 1957.
30. პეჩი გ., ლინგვისტური შენიშვნები ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანის (საიუბ. კრებ.), თბ., 1969.
31. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. I, თბ., 1950.
32. მაკალათია ს., ღვთაება მითრას კულტი საქართველოში: საქ. მუზეუმის მოამბე, III, თბ., 1927.
33. ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბ., 1966.
34. შატბერაშვილი გ., ხარება, ჭაშნიკი, თბ., 1964.
35. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.
36. Р. П. Блейк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: Изв. Кавк. отд. Моск. арх. общества, вып. VI. Тифлис, 1921.
37. Г. В. Рогова, О некоторых устных заимствованиях из греческого в картвельских языках: Проблемы античной культуры. Тб., 1975.
38. Мз. Шанидзе, Древнегрузинские переводы „Книги Псалмов“ (Автореферат докт. диссертации), Тб., 1974.
39. С. Серебряков, К вопросу об отношении двух древнейших груз. четверо-глава к греческим версиям: ძვ. ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ., 1962.
40. მისივე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის ზოგიერთი ფილოლოგიურ საკითხი. ლიტ. ძიებანი, XV, 1963.
41. Толковая библия... проф. А. Лопухина, т. II, С.—Пб., 1914.
42. А Гвоздев, Очерки по стилистике русского языка, М., 1955.
43. Н. Н. Глубоковский, Библиейский греческий язык в писаниях Ветхого и Нового Завета. Киев, 1914.
44. А. Ранович, Происхождение христианских таинств. М., 1931.
45. А. Ранович, Очерки истории древнееврейской религии, М., 1957.
46. Л. Емелях, Происхождение христианских таинств, М., 1956.
47. Л. А. Филиппов, Крещение, М., 1967. В. Иванов, Таинство крещения. Минск, 1911.

48. С. Соболевский, *Κοινή* „Общий* греческий язык (по связи (библейским). Правосл. богосл. энциклопедия... Н. Н. Голубковского. т. IX, С.-Пб., 1908.
49. М. Фасмер, *Этимологический словарь русского языка*, II. М., 1967.
50. Н. Марр, *Заметки по текстам святого Писания в древних переводах армян и грузин*: X. В., т. II, вып. II. 1913 (162—174), т. II, вып. III. 1914 (263—274), т. III, вып. III, 1915 (149—262), т. IV, вып. III. 1916 (229—245).
51. Galandius, *Notitia: Patr. Gr. t. 85, 1864, 33. 620—622. Novum Testamentum Graece. Ad antiquissimos testes denno recensuit, apparatus criticum apposuit C. Tischendorf, v. III. Prolegomena, scripsit C. B. Gregory. Lipsiae, 1894, 33. 158. Pauly's Real-Enzyklopädie der klassischen Altertumswissenschaft, B. VI, 1909. 1495—1497.*
52. J. Molitor: а) *Zur Textcharakter der altgeorgischen katholischen Briefe: Or. Chr., B. 51, 1967, 33. 51—66.*
- б) *Die georgische Version des Römerbriefes unter Hervorhebung typisch syrischer Lesarten ins Lateinische übertragen: Or. Chr., B. 57, 1973, 33. 31—56.*
- в) *Die georgische Version des I und II Korintherbriefes ins Lateinische übertragen und nach Syriazismen untersucht: Or. Chr., B. 58, 1974, 33. 1—38.*
- г) *Die altgeorgische Version des Calater — und Epheserbriefes ins Lateinische übertragen und nach Syriazismen untersucht: Or. Chr., B. 59, 1975, 33. 1—18.*
- д) *Die Eigennamen in der altgeorgischen Übersetzung der Evangelien und der Apostelgeschichte und ihre textkritische Bedeutung... Bamberg, 1962, 33. 3—22.*
53. W. Jennings. *Lexicon to the Syriac New Testament. Oxford, 1926.*
54. С. Brockelman, *Syrische Grammatik, Leipzig. 1962.*
55. *Р. Ц. ფ ა ნ ბ ა ნ ი. უძველესი არქიტაქტური რეკონსტრუქციები, IV, 1930, ბრძან.*

К. Д. ДАНЕЛИА

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ПЕРЕВОДА БИБЛИИ

Резюме

В работе выделены и рассмотрены четыре вопроса:

- 1) хронология, 2) происхождение, 3) сущность грузинского перевода,
- 4) семантическое изменение христологических терминов.

1. На основании некоторых письменных источников (как, напр., библейские цитаты в оригинальных текстах, данные Стихотворения Евталия Александрийского...) высказывается мнение, что, если не вся Библия, то, во всяком случае, несколько её книг (Евангелие, Псалтырь...) должны были быть переведены на грузинский язык с 40-х годов IV в. до 60-х годов V в.

2. Комплексное изучение вопроса о происхождении древнегрузинского перевода библейских книг (а) историческое положение, б) литературные сведения, в) сопоставление данных текстуального сравнения) наводит на мысль, что первоисточником грузинского перевода некоторых библейских книг служил греческий оригинал. С этой точки зрения особое значение

имеют происходившие из греческого источника nonsense-ы (Посл. к. Римл. 12—13; I Кор. 16, 1—2; Филип. 2—13; II Тим. 3, 17; Тит. 3,9). Но вместе с тем, до начала VII века древнегрузинский перевод сравнивается с армянским источником, согласно интересам определенных грузинских кругов армянского происхождения. Хотя такой арменизированный перевод не нашел распространения.

3. Ставится вопрос о том, что представляет собой древнегрузинский перевод библейских книг как литературный факт. В чем и как выявляется художественно-эстетическая и языково-стилистическая специфика грузинского перевода.

С этой точки зрения особое внимание уделяется трем факторам: а) точный или свободный перевод обуславливается прежде всего степенью сложности отрывков самого первоисточника; б) происхождение перевода должно быть установлено на основании сравнения с теми иноязычными редакциями, с которыми грузинский текст может иметь связь (таковы греческий, сирийский, армянский версии); в) рядом с наиболее точно переведенными местами в древнегрузинском переводе имеются свободные, творческие примеры перевода, в которых путем сохранения логической и художественной целостности улучшен смысл контекста.

4. Рассмотрено несколько грузинских христологических терминов: სხარება „Евангелие“, ნათლის-ცემა „крещение“, მღვდელი „священник“, მოციქული „апостол“. На основании их этимологии и значения иноязычных лексических эквивалентов показано, как приобрели слова языческой эпохи христологическое значение.

K. DANELIA

EINIGE FRAGEN AUS DER GESCHICHTE DER ÄLTESTEN GEORGISCHEN BIBELÜBERSETZUNG

Zusammenfassung

In der Arbeit werden vier Fragen hervorgehoben und behandelt: Chronologie, Herkunft und Wesen der georgischen Übersetzung, sowie die semantische Veränderung christologischer Begriffe.

1. Auf Grund mancher schriftlichen Angaben (wie z. B. die Bibelzitate in Originalwerken, das Aufzeigen des euthalius'schen Apparats der Apostelgeschichten — der Stichometrie) wird vermutet, daß einige Bibeldbücher (Evangelien, Apostelgeschichten, Psalmen) wenn nicht die ganze Bibel ins Georgische in der Zeitspanne von den 40-er Jahren des 4. Jahrhunderts bis zu den 60-er Jahren des 5. Jahrhunderts übersetzt werden sollten.

2. Die komplexe Erforschung der Frage über den Ursprung der alten georgischen Übersetzung der Bibeldbücher (a) historische Verhältnisse, b) literarische Angaben, c) die Gegenüberstellung von Angaben der Textvergleiche bestätigt eher den Gedanken, daß als Urquelle der georgischen Übersetzung mancher Bibeldbücher der griechische Originaltext

dienen sollte. Von diesem Standpunkt aus sind die aus der griechischen Quelle stammenden "nonsens" (Römer 12, 13; I Korinther 16, 2; Philipper 2, 23; II Timotheus 3, 17; Titus 3, 9) von besonders großer Bedeutung.

Aber schon früher, bis zum Anfang des 7. Jahrhunderts wurde die alte georgische Übersetzung mit der armenischen Quelle den Interessen bestimmter georgischer Kreise (eher denen der Georgier armenischer Herkunft) entsprechend verglichen. Diese armenisierte georgische Übersetzung verbreitete sich doch nicht.

3. Es wird die Frage aufgeworfen, was die alte georgische Übersetzung der Bibelbücher als ein literarischer Faktum darstellt. Worin und wie äußert sich die künstlerisch-ästhetische und sprachlich—stilistische Spezifik der georgischen Übersetzung. In dieser Hinsicht stehen im Brennpunkt der Aufmerksamkeit drei Momente:

a) Präzise oder freie Übersetzung ist vor allem auf die verschiedenen Stellen der Urquelle selbst zurückzuführen, die textuell mehr oder weniger kompliziert sind; b) Es ist möglich, den Wert der Übersetzung festzulegen, wenn man auf dem Vergleich mit jenen fremdsprachigen Redaktionen fußt, zu denen der georgische Text vermutlich im Verhältnis steht (das sind griechische, syrische, armenische Versionen); c) Neben den aufs genaueste übersetzten Stellen sind in der alten georgischen Übersetzung Beispiele der freien, schöpferischen Übersetzung zu finden, in denen durch die Erhaltung der logischen und künstlerischen Einheit der Sinn des Kontextes verbessert ist.

4. Es werden einige georgische christologische Begriffe behandelt: სახარება — sachareba (das Evangelium), ნათლის-ცემა — nathlis-zema (die Taufe), მღვდელი mgwdeli (der Priester), მოციქული — mozikuli (der Apostel). Auf Grund ihrer Etymologie und der Bedeutung der fremdsprachigen lexikalischen Äquivalente wird gezeigt, wie Wörter der heidnischen Epoche die christologische Bedeutung angenommen haben.

მარიამ დედოფალი XI ს. გეორგი ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცნობვაში

ირინე ნოდია

დუკათა სავარეულო მაშინ მოვიდა ბიზანტიის ხელისუფლების სათავეში, როდესაც ისააკ კომნენოსმა ორი წლის მმართველობის შემდეგ, 1059 წ., უარი განაცხადა ტახტზე და მის ნაცვლად იმპერატორად არჩეულ იქნა კონსტანტინე X დუკა (1059—1067). კონსტანტინე X მეფობის მერვე წელიწადს გარდაიცვალა, მისი შეუღლე ევდოკია მაკრემბოლიტე¹ დაინიშნა უფროსი ვაჟის, მიხეილის, რეგენტად, რომელიც, კონსტანტინე მანასეს ცნობით, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში 1067 წ. მის თანამოსაყდრედ იქნა გამოცხადებული (1), (72). ფაქტიურად ხელისუფლება ხელში ჩაიგდო კონსტანტინოპოლის მსახურეულმა არისტოკრატთა, რომელსაც ტონს აძლევდნენ ფილოსოფოსთა იპატოსი, მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი, მიქელ პსელოსი და ყოფილი მეფის ძმა იოანე დუკა, რომელიც ჯერ კიდევ კონსტანტინე X სიცოცხლეში იყო მისი ნდობით აღჭურვილი პირი და ატარებდა კეისრის საპატიო ტიტულს² ამ ვითარებაში თავი იჩინა პროვინციული არისტოკრატის შეთქმულებამ რეგენტის მთავრობის წინააღმდეგ, სერდიკის დუქის, ცნობილი სარდლის, რომანოზ დიოგენეს ხელმძღვანელობით, მაგრამ აჯანყება დამარცხდა და მის ორგანიზატორს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. რომანოზი უკვე სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, როდესაც განაჩენი კაპადოკიაში გადასახლებით შეუტევალეს, კონსტანტინოპოლში დააბრუნეს, უბოძეს მაგისტროსის ტიტული და მთავარსარდლის პოსტი. სულ მოკლე ხანში მისმა დაქორწინებამ დედოფალ ევდოკიაზე მას ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინი მოუპოვა 1068 წ. 1 იანვარს³. ტახტის მემკვიდრის, მიხეილ დუკას უფლებები შენარჩუნებულ იქნა.

გართულდა ბიზანტიის სავარეო პოლიტიკური ვითარება: იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრებს სელჩუკები აოხრებდნენ, რომანოზ დიოგენემ გადაწყვიტა გართულებული სავარეო ურთიერთობის მოწესრიგება. მისი ეს ცდა ცნობილი ფაქტით, 1071 წ. 19 აგვისტოს მანციკერტთან ბიზანტიის ჯარის სასტიკი დამარცხებით და რომანოზ დიოგენეს ტყვეობით დამთავრდა. [5]. იოანე დუკას ინიციატივით ევდოკია მისი შვილებიანად სასახლიდან განდევნეს და მონასტერში გაგზავნეს ([1], 41). ასე დაიწყო მიხეილ VII დუკას (პარაბინაქის) მმართველობა (1071—

¹ ევდოკია იყო კონსტანტინოპოლის ყოფილი პატრიარქის მიქელ კერულარიოსის ძმის შვილი.

² კეისარი—*καίσαρ*. ეს ტიტული, ჩვეულებრივ, ებოძებოდა ხოლმე იმპერატორის ძმას ([2], 36, [3]).

³ ევდოკიამ ქმრის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინოპოლის სინოდის და სენატის წინაშე დადო ფიცი, რომ ის ვათხოვებაზე არასოდეს არ იფიქრებდა(4). ეს ფიცი ჩააბარეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს. შემდეგ, ევდოკიას თხოვნით ეს დოკუმენტი მოსპეს.

1078). მისი აღმზრდელი, ფილოსოფოსთა იპატოსი მიქელ პსელოსი, თავის „ქრონოგრაფიაში“ გვაძლევს მიხეილ VII პორტრეტს: „20 წლისა გამეფდა, ჩაფიქრებული თვალებით, კეთილშობილური გამომეტყველებით, მთლიანად ჩაფიქრებული ხუცებულს უფრო წააგავდა, ვიდრე ჭაბუკს. გატაცებული იყო მეცნიერებით, უყვარდა ვარსკვლავთმომრიცხველობა, ისტორია, ლიტერატურა, წერდა ლექსებს. გულჩვილი, მორცხვი, ფაქიზი (6)“.

ქართულ-ბიზანტიური მასალებიდან ცნობილია, რომ მიხეილ VII ბავშვობიდანვე დანიშნული იყო საქართველოს მეფის ბაგრატ IV ასულ მართაზე. სიმონ დვალის წარწერის მიხედვით, მართა კონსტანტინოპოლში გამეზავრა 1066 წ. (7), დანიშნა მიხეილ ღუკაზე, ბიზანტიაში უწოდეს მარიამი და რამოდენიმე ხნის განმავლობაში, გათხოვებამდე იმყოფებოდა სადღეამთილოსთან, ევდოკია მაკრემბოლიტესთან, როგორც ამას ბიზანტიური ადათი მოითხოვდა. ამ ქორწინებიდან მარიამს ეყოლა ვაჟი—კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომელიც, ზონარას მოწმობით, აღრეულ ყრმობის ასაკში იყო გვირგვინკურთხეული და ამის აღსანიშნავად ატარებდა წიაკელ წაღებს ([8], XVIII 21).

მიხეილ VII მეფობის წლები აღინიშნა წარუმატებლობით როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის სფეროში.

როდესაც ნორმანდიის ჰერცოგმა რობერტ გვისკარმა 1071 წ. აიღო ბიზანტიელთა უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი იტალიაში, ქ. ბარი, მიხეილ VII მთავრობისათვის უკვე გასაგები იყო, რომ ბიზანტია ვერ გაუმკლავდებოდა ნორმანდიელებს, ამიტომ მათ გადაწყვიტეს რობერტ გვისკარის გამოყენება დამხმარე ძალად სელჩუკების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკური მოსაზრებით მიხეილ VII ვაჟი, რამდენიმე თვის კონსტანტინე ღუკა პორფიროგენეტი, დანიშნეს რობერტ გვისკარის ქალიშვილზე, ამასთან დაკავშირებით არსებობს მიხეილ VII ღუკას ქრისობული, რომელიც მიქელ პსელოსის მიერ არის გადაწერილი (9). დოკუმენტი გაფორმებულია 1074 წ. აგვისტოში, ნორმანდიის ჰერცოგი, რობერტ გვისკარი, ფიცსა სდებს, რომ არა მარტო არ დაარღვევს ბიზანტიის საზღვრებს, არამედ ყოველგვარ პოლიტიკურ დახმარებას გაუწევს ბიზანტიას.

კონსტანტინეს მცირეწლოვანი ნორმანდიელი საცოლუე ჩამოიყვანეს კონსტანტინოპოლში, გაუმართეს დიდი ოცაიები, უწოდეს ელენე ([1], 39) და აღსაზრდელად დატოვეს დედოფალ მარიამთან, მის სადღეამთილოსთან.

მიხეილ VII დროს ბიზანტიის სამეფოს კარზე დიდი გავლენა მოიპოვა ერთმა მედროვემ, საჭურისმა ნიკიფორემ (ნიკიფორიცად წოდებულმა), რომელიც წარმოშობით მდაბიო წრეს ეკუთვნოდა და ბიზანტიაში ფოსტის ლოგოთეტის პოსტი ეკავა¹. მალე ნიკიფორემ ახალგაზრდა და სუსტი ნებისყოფის მქონე მეფე გავლენის ქვეშ მოიქცია. ჩამოიცილა მეტოქენი და მთავარ ფიგურად იქცა ბიზანტიაში ([10], 180—200).

ნიკიფორიცას მიერ ჩატარებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას ისახავდა მიზნად, გამოიწვია უკმაყოფილება მოსახლეობის ფართე ფენებში და გახშირდა საპროტესტო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყება მოაწყო და ტახტზე პრეტენზია განაცხადა ერთდროულად სამი საგვარეულოს წარმომადგენელმა, სამმა ნიკიფორემ: ნიკიფორე ბასილაკიმ, ნიკიფორე ბრიენიოსმა და ნიკიფორე ბოტანიატემ, გამარჯვება წილად ხედა ანატოლიის თემის სტრატეგოსს მცირეაზიული სამხედრო არისტოკრატის წარმომად-

¹ *λογοθέτης του δειομοσι*—ევალებოდა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოწესრიგება და განაგებდა სახელმწიფო ფოსტას ([2], 91).

გენელს ნიკიფორე ბოტანიატეს. ეს წარმატება განაპირობა თურქ-სელჩუკებთან მისმა კავშირმა და ამრიგად, მის ხელთ აღმოჩნდა მცირე აზიის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ძალა.

მიხეილ VII იძულებული იყო გადამდგარიყო და მისი ბიძის იოანე დუკას რჩევით, სტუდიონის მონასტერს შეაფარა თავი, შემდეგ მან მიიღო ეფესოს მიტროპოლიტის კათედრა ([1], 69). 1078 წ. 3 აპრილს ბოტანიატე ბიზანტიის ეკლესიის მხარდაჭერით შევიდა კონსტანტინოპოლში და კონსტანტინოპოლის პატრიარქის, კოზმასაგან მიიღო გვირგვინი ([10], 273).

მარიამ დედოფალმა დატოვა სასახლე და თავის შვილთან, კონსტანტინე პორფიროგენეტთან ერთად თავი შეაფარა კონსტანტინოპოლში მდებარე წმ. პეტრეს მონასტერს ([1], 311).

ახალი ბასილევსი, ნიკიფორე ბოტანიატე, მიხეილ VII დროს ფლობდა კუროპალატის საპატიო ტიტულს და ეკავა ანატოლიის თემის სტრატეგოსის პოსტი. სკილიცეს ცნობით, მისი მეორე მეუღლე ბერდენა, მასთან იყო გვირგვინკუთხეული ([12], 738). მასალებიდან არ ჩანს გარკვევით, რა მოუვიდა ბერდენას, ზოგი ამბობს, რომ ის გარდაიცვალა (12), ბრიენიოსი გადმოგვცემს, რომ ის ცოცხალი იყო ([13] III, 25). მას არ შეეძლო ნიკიფორე ბოტანიატესათვის უზრუნველყო ის სათანადო გავლენა, რომელიც მას სჭირდებოდა გართულებულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში ([14] 131).

იმისათვის, რომ ბოტანიატეს თავისი უზურპირებული ხელისუფლებისათვის კანონიერი სახე მიეცა, მან გადაწყვიტა ცოლად შეერთო ყოფილ დედოფალთან, ან ევდოკია, კონსტანტინე X ქვრივი, შემდეგში რომანოზ IV დიოგენეს მეუღლე, ან მარიამი, ტახტიდან გაძევებული მიხეილ VII მეუღლე. პირველი, ევდოკია გამოიძახეს კონსტანტინოპოლში მისი შვილებიანად და ნიადაგი მზადდებოდა იმისათვის, რომ ის ისევ გამხდარიყო ბიზანტიის დედოფალი, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ნიკიფორესათვისაც და ევდოკიასთვისაც ეს მესამე ქორწინება იქნებოდა, რასაც ბიზანტიის საოჯახო სამართალი კრძალავდა ([15], 83). ევდოკიას საწინააღმდეგოდ, აქტიურად მოქმედებდა კეისარი, იოანე დუკა, რომელიც ცდილობდა არ დაეშვა ეს ქორწინება და მიზნად დაისახა, ხელი შეეწყო ბოტანიატესათვის ცოლად შეერთო არა ევდოკია, არამედ მარიამი, მისი ძმისშვილის, მიხეილ VII ცოლი, რომელსაც ჰყავდა ოთხი წლის ვაჟი კონსტანტინე დუკა პორფიროგენეტი. იოანე ცდილობს მარიამის მხარდაჭერით გზა გაუხსნას ბიზანტიის სამეფო კარზე ისევ დუკათა საგვარეულოს. ამიტომ სჭირო იყო იოანეს სასწრაფოდ შეეთავაზებია ბოტანიატესათვის მარიამის კანდიდატურა, მაგრამ საქმეს აფერხებდა, მისი ქმარი, მიხეილ VII ჯერ ცოცხალი იყო და ეს შეუძლებელს ხდიდა მარიამის გათხოვებას, ეს მესამე ქორწინებაზე უარესი იყო. მაგრამ მიხეილი ხომ ეფესოს პატრიარქის წოდებამდე აღაზრვეს. იუსტინიანეს კოდექსის თანახმად, თუ რომელიმე მეუღლე თავს აფარებდა მონასტერს, მაშინ, ასეთი მეუღლეები გაყრილებად ითვლებოდნენ, მეორე მხრივ, თუ ცოლიანი მღვდელი ეპისკოპოსი გახდებოდა, მაშინ მის ცოლს მასთან გაყრის უფლება ჰქონდა და სამი თვის შემდეგ ეძლეოდა დაქორწინების უფლებაც ([14], 133).

ანა კომნენე მოგვითხრობს, რომ იოანე ურჩევდა ნიკიფორე ბოტანიატეს „ცოლად შეერთო იგი (მარიამი). ამას იმით უსაბუთებდა, რომ მარიამი უცხოელია და გარს არ ახვევია ნათესავების ხროვა, რომელთა გამო მეფეს შეიძლება მოუხდეს სხვადასხვა უსიამოვნება; ამავე დროს, უქებდა გვარიშვილობას და დიდ ქებას ასხამდა მის ხორციელ სილამაზეს. მართლაც, მარიამი იყო მაღალი, ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი როგორც თოვლი პირისახე ჰქონდა არც თუ ძალიან

მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდით გაფურჩქნელი ვარდისფრად. ანლო თვალების ბრწყინვალებას აღარ იკითხავთ? ვინ შესძლებს მის აღწერას? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვლები ცისფერი; მხატვრის ხელი ხშირად ვად-მოგვეცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლითაც ვგასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო; მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიზიდ-ველობა, მისი ზნის სანდომიანობა—ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხე-ლოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის მსგავსი სხვა ქანდაკება. ამბობენ გორგონას თავი ქვებად აქცე-და ხოლმე იმ კაცებს, ვინც მას შეხედავდა; ხოლო ვინც შემთხვევით დაინახავდა დედოფალს ის რომ სეირნობდა, ან უცაბედად შეხვდებოდა მას სადმე, საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, ის გაქცევებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდა მას, თითქოს წართმეოდა სულიც და გონებაც. ასეთი თანაზო-მიერება ასოთა და ნაკეთობა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან, და ნაწილე-ბისა—მთელთან, მართლაც რომ არავის არასდროს არ უნახავს ადამიანის სხეულ-ში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით იმეროსი, რომელსაც ხორცი შეუხსნამს ამ ჩვენს დედამიწაზე“ ([1], 61—69).

მსგავსი არგუმენტები მოჰყავდა იოანე კეისარს იმის გამო, რომ ბოტანიატეში გაღვიძებულიყო ინტერესი მარიაშის მიმართ. ბოლოს, ბოტანიატემ გადაწყვიტა დაქორწინება მარიაშზე და კეისარმა იგი სასახლეში შეიყვანა ([1], 311). ეს ყვე-ლაფერი დიდი საიდუმლოებით იყო მოცული; ნიკიფორე ბრიენისი გადმოგვცემს ამ ქორწინების ცერემონიალს; მზადება ჯვარისწერისათვის და მეფე-დედოფალი უკვე დგანან საკურთხეველის წინაშე, მაგრამ მღვდელს, რომელსაც უნდა შეესრუ-ლებია ეს ცერემონიალი, შეეშინდა, რადგანაც მეფე მიხეილ VII დუკა, მარიაშის ქმარი და ბოტანიატეს მეორე ცოლი, ცოცხლები იყვნენ. ეს რომ გაახსენდა მღვდელს, შეიგნო, თუ რა ცოდვას ჩაიდენდა მეძაობისა და სამცოლიანობის კურთ-ხევით. საკურთხეველიდან არ გამოდიოდა და აგვიანებდა ამ საქმეს. კეისარი იოანე დუკა მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და დაიწყო წუხილი იმის გამო თუ პატრიარქი გაიგებდა მომხდარ ამბავს, ის ჩაშლიდა ჯვრისწერას, ამიტომ იოანემ იქვე მყოფ თავის შვილიშვილს, მიხაელს თვალთ ანიშნა, ის, რისი თქმაც უნდოდა, ხოლო ჭაბუკი მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა მყის მეორე მღვდელი მოამზადა ჯვრისწე-რის შესასრულებლად, რომელიც მანამდე დამალული ჰყავდა, ხოლო თვითონ მიუახლოვდა საკურთხეველს და მოუხმო მღვდელს, რომელმაც ჯვრის წერის შე-სრულებაზე უარი თქვა. როცა მან ჰკითხა, თუ რატომ ეძახიან, მაშინ ჭაბუკმა წა-აგლო მღვდელს ხელი ტანსაცმელზე და ჩუმად გაიყვანა იქიდან, ხოლო მის აღ-გილზე დააყენა მეორე, რომელმაც შესასრულა მღვდელთმსახურება ([2], 311—312).

ნიკიფორე ბოტანიატეს და მარიამ დედოფლის დაქორწინება შერისხული იქნა ბიზანტიური საზოგადოების ფართო წრეების მიერ, ვინაიდან იგი აღიქვა, როგორც ბიზანტიური ტრადიციული მორალის შეურაცხყოფა. ეს საქციელი კვა-ლიფიცირებული იქნა, როგორც *μωχελία*.

ჯერ კიდევ 1066 ს. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იოანე ქსიფილინოსმა გამოაქვეყნა სინოდის დეკრეტი, რომელიც კრძალავდა არაკანონიერ ნიშნობებს, ქორწინებებს, საზოგადოების დღევა რომ შეენელებინა, ნიკიფორე ბოტანიატემ 1080 წ. გამოსცა ქრისობული, რომლითაც დაადასტურა ეს დეკრეტი. ამით თით-ქოს მან საჯაროდ მოინანია თავისი საქციელი ([14], 135). მარიაშის მხრივ, ბოტა-ნიატეზე დაქორწინება ერთ მიზანს ისახავდა: როგორმე უზრუნველყო ტახტი მისი

ერთადერთი ვაჟისათვის, კონსტანტინესთვის. იქნებ მარიამის ნიკიფორე ბოტანიკოსთან დაქორწინებამ მისცა საბაბი მათე ედესელს, რომ მარიამის შესახებ შემდეგი დაეწერა: „მარიამ დედოფალმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მისი ქმრის ასკეტობით, შეიყვარა ვინმე ბერძენთა იშხანი და აუჯანყა მიხეილს. დანახა რა მიხეილმა, რომ მას მთელი კონსტანტინოპოლი აუჯანყდა, დასწყევლა დედოფალი, მიატოვა სამეფო ტახტი, მონასტერში წავიდა და შეუღდა იქ მოწესეთა ცხოვრებას, რადგანაც ამის სურვილი ჰქონდა მას დიდი ხნის წინ (16)“.

ანალოგიური ცნობა მოაქვს აგრეთვე ვიორგი კოლინეს:—უფალი მიხეილ დუკა... თავის მეუღლესთან, მარიამთან ერთად მეფობდა ექვსწელიწად-ნახევარს. ხლო ტახტიდან ჩამოვდებულ იქნა ბოტანიკოსს მიერ მისი მეუღლის ღალატის წყალობით. მონაზონის სქიმით გამოწყობილი გაიგზავნა სტუდიელთა მონასტერში, უფრო გვიან ეფესოს მიტროპოლიტობა მიიღო ([1], 156).

ასეთი ცნობა მარიამის თანამედროვე არც ერთ სხვა ნარატიულ წყაროში არ ჩანს (სკილიცი, ატალიატე, ზონარა, ბრიენოსი, ანა კომნენე).

ნიკიფორე ბოტანიკოსს ხანდაზმულობის გამო არ შეიძლებოდა რომ ჰყოლოდა შვილი ([1], 51), ბუნებრივი იყო, რომ ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო მისი მეუღლის, მარიამის ვაჟი კონსტანტინე დუკა პორფიროგენეტი და, ამრიგად, დუკათა საგვარეულო შეინარჩუნებდა იმპერატორის გვირგვინს, ეს იქნებოდა მემკვიდრეობის საკითხის კანონიერი გადაწყვეტა ([1], 52).

ანა კომნენეს ცნობით, კონსტანტინე პორფიროგენეტმა მისი მამის, მიხეილ VII დუკას ტახტიდან გადადგომის შემდეგ თავის ნებით გაიხადა წითელი წაღები და ჩაიცვა უბრალო შავი წაღები, ნიკიფორე ბოტანიკოსემ... თუმცა მაშინვე უბრძანა მას გაეხადა შავი წაღები და ჩაეცვა ფერადი აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილები, რადგანაც პატივს სცემდა ამ ახალგაზრდა ჭაბუკს და აფასებდა როგორც მის სილამაზეს, ისე გვარიშვილობას, მაგრამ მაინც შურით უყურებდა, რომ კონსტანტინეს წაღებს ძოწეულის აღმური ასდიოდა და მხოლოდ იმის ნება მისცა, რომ წაღები მართო ალაგ-ალაგ ყოფილიყო წითლად შეფერადებული. იყვნენ კიდევ ტახტის პრეტენდენტები—ყოფილი დედოფლის, ევდოკია მაკრემბოლიტეს შვილები რომანოზ დიოგენისაგან, ამ ორ ქალს შორის ქაშპის თავიდან ასაცილებლად ნიკიფორე ბოტანიკოსემ გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრედ წამოეყენებინა მისი ნათესავი ვინმე სინადინოსი, წარმოშობით მცირე აზიიდან, კეთილშობილი წარმომავლობის, გამჭრიახი გონების, დიდი ფიზიკური ძალის მქონე, შესახედავად ლამაზი ([1], 51).

სკილიცეს ცნობით, როდესაც ნიკიფორე ბოტანიკოსემ ხელისუფლების ხელში ჩაგდება განიზრახა, სინადინოსების მთელმა საგვარეულომ მას დიდი დახმარება გაუწია [12], 726).

კონსტანტინეს ეკუთვნოდა ტახტი პაპისა და მამისაგან, რითაც ბოტანიკოსე მოიპოვებდა დედოფალ მარიამის ნდობასა და მხარდაჭერას ([1] 52). მარიამი ღელავს, ის თვალწინ წარმოიდგენს იმ საშინელებას, რაც მოეწიეს მის ერთადერთ შვილს, კონსტანტინეს—ვანდენა, ან დაბრმავება; მარიამი ეძებს ძლიერ მოკავშირეს და ასეთ პირობებში ხდება მისი დაახლოება კომნენოსების საგვარეულოსთან. ეს საგვარეულო უწინ ფლობდა ბიზანტიის ტახტს და ახლა დუკებისა და დიოგენების პარალელურად ტახტის მძიებლები იყვნენ. მარიამის ყურადღება მიიპყრო კომნენოსთა საგვარეულოს ორმა წარმომადგენელმა: ისააკმა და ალექსიმ, უფროსი ძმა ისააკი მარიამის სიძე იყო, მარიამის ბიძაშვილი (დემეტრე ბაგრატიონის

ასული) ირინე ისააკ კომნენოსის მეუღლე იყო¹, როგორც ჩანს, ირინე მარიამს, ბიზანტიაში ჩამოყვა 1066 წ. ანა კომნენეს მოწმობით, ირინესა და ქორწინება მარიამის ხელის შეწყობით მოხდა (17).

უმცროსი ძმა, ალექსი, სიძედ ეკუთვნოდა მარიამს, რადგანაც ალექსის მეუღლე, ირინე დუკენა, მარიამის პირველი მეუღლის მიხედვით VII ბიძის, იოანე დუკას შვილიშვილი იყო. ალექსი კომნენოსი ნიკიფორე ბოტანიატეს დროს ფლობდა სევასტოსის ტიტულს და ეკავა დასავლეთის დიდი დომესტიკოსის საპატრიო პოსტი.

მარიამი ცდილობს მოაპოვოს ამ გავლენიან პირთა მხარდაჭერა იმისათვის, რომ მისი შვილისთვის, კონსტანტინესთვის, უზრუნველყოს ტახტი. ძებნა კომნენოსებმა, თავიანთი მხრივ, გადაწყვიტეს ისარგებლონ სამეფო ტახტის ირგვლივ შექმნილი თავისებური სიტუაციით, დაუახლოვდნენ მარიამს და იგი გამოიყენონ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას მიზნით.

კომნენოსთა სახლის წევრებს მარიამ ბაგრატიონის ასულთან დაახლოება იმიტომაც აინტერესებდა, რომ ბიზანტიის სამეფო ტახტი მართას შვილს, კონსტანტინეს ეკუთვნოდა, დედოფალსა და ტახტის მემკვიდრეს, ჩანს, საკმაოდ ძლიერი პარტიაც უჭერდა მხარს და ეს გარემოებაც შორსმკვრეტელ კომნენოსებს გამოსაყენებელ და ანგარიშგასაწევ მოვლენად ენატებოდათ (22).

ისტორიკოსი ანა კომნენე პორფიროგენეტი, რომელიც შემდეგში მარიამის ვაჟის, კონსტანტინეს, საცოლოე გახდა და იზრდებოდა მის საღვდამთილოსთან, მარიამთან, რომელსაც ძალიან უყვარდა ანა და უზიარებდა თავის საიდუმლოებებსაც კი ([1], 64), დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ დროს სასახლეში. ძებნა კომნენოსებმა გადაწყვიტეს დააყენონ დედოფლის წინაშე საკითხი, რომ ალექსი ეშვილებინა მარიამს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ დედოფალი უცხოელი იყო და ბიზანტიაში არავინ ახლობელი არ გააჩნდა ([1], 54).

დანიშნულ დღეს ალექსი და ისააკი გამოცხადდნენ დედოფლის წინაშე და ძველი დადგენილი წესების დაცვით ჩატარდა შვილობის რიტუალი, რაც ბიზანტიური კანონების თანახმად, უზრუნველყოფდა ისეთსავე მტკიცე კავშირს, როგორსაც ქორწინება ან სისხლით ნათესაობა ([15], 116—118). ძებნა დედოფალს ერთვულება შეპატივებს და აღუთქვებს, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მცირეწლოვან კონსტანტინეს შეუნარჩუნონ ტახტი.

ამის შემდეგ ძმები კომნენოსები განაგრძობენ უფრო მჭიდრო კავშირს დედოფალ მარიამთან, რომლის შემწეობით დეტალურად იტყობენ, რა ხდება საიმპერატორო კარზე; ნიკიფორე ბოტანიატესთან დაახლოებულ პირებს, ბოროლედ და გერმანეს განზრახული აქვთ ძმების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, მათი შე-

¹ ისააკისა და ირინეს უფროსი ვაჟი იოანე-ადრიანე ბულგარეთის უკანასკნელი არქიეპისკოპოსი იყო. ძირითადი ისტორიული წყარო, რომელშიაც ლაპარაკია იოანეზე, ეს არის ობრიდის არქიეპისკოპოსთა წესხა, რომელიც XII საუკუნეშია შედგენილი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. წესხა XII ს. ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოცვა დიუქანემა (18). ბოლო ხანებში იგივე წესხა გამოცვა ბულგარეთში (19). იოანე-ადრიანეზე, რომელიც ბულგარეთის უკანასკნელი არქიეპისკოპოსი იყო, ამ წესხაში შემდეგია ნათქვამი: „იოანე კომნენოსი, ბერა, ერის კაცობაში აღრიანე, პანევასტოსი, სევასტოსი, ძე მარადსასუნებელი დესპოტისა და პირველი სევასტოკრატორის ისააკ კომნენოსის, რომელიც შემდეგ იოანეს სახელით ბერად შედგა და არის ძე პირველი სევასტოკრატორი ქალბატონი ირინესი, რომელიც ქსენიას სახელით მოლოზნად აღიკვეცა. იგი, თავის მხრივ, ასულია ალანეთის თვითმპყრობელისა და არის ბიძაშვილი დედოფალ მარიამ ალანელის, რომელიც იყო ჯერ მიხეილ VII დუკას, ხოლო შემდეგ ნიკიფორე ბოტანიატეს მეუღლე“.

იოანე ადრიანეს ნიკიფორე ბასილაკიმ ენკომიონი უძღვნა, რომელიც 1965 წ. ანტონო ბარსიას მიერ არის გამოცემული ([20], 21).

პყრობა და დაბრმავება. მათი განზრახვა ძმებისთვის დაუყოვნებლივ ცნობილი გახდა მარიამის შემწეობით ([1], 59). ეს ამბავი აჩქარებს განზრახულის განსრულებას. ანა კომნენეს ცნობით, ალექსი ცდილობს თავის შეთქმულებაში ჩააბას გავლენიანი ბიზანტიელი ფეოდალი, წარმოშობით ქართველი, გრიგოლ ბაკურიანის-ძე, რომელიც ჯერ კიდევ რომანოზ დიოგენეს დროს იყო ყარსისა და თეოდოსიუპოლისის დეუკა (23); მიხეილ VII დროს გრიგოლის განკარგულებაში ჩანს ტერიტორიები ანისის მხარეში, ტაოში და არმენიაკონის თემში ([24], 150). ნიკიფორე ბოტანიატეს დროს გრიგოლ ბაკურიანის-ძეს მამულები ჰქონდა ფილიპოპოლში, აგრეთვე, ანატოლიაში ([24], 152).

ალექსი კომნენოსმა ინახულა გრიგოლ ბაკურიანის-ძე და მოლაპარაკების შედეგად იმაზე შეთანხმდნენ, რომ თუ გრიგოლი ალექსის ხელს შეუწყობს ტახტის ხელში ჩაგდებაში, მაშინ ალექსი მიანიჭებს ბაკურიანს ღომესტიკოსის პატისს, რომელიც ამჟამად თვითონ აქვს ([1], 61).

ამ დროს ბოტანიატეს მთავრობის წინააღმდეგ რამოდენიმე ანტიდინასტიურ გამოსვლას აქვს ადგილი. აჯანყდა ტახტის მადიებელი რამდენიმე საგვარეულო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კომნენოსების სიძის, ნიკიფორე მელისინის აჯანყება, იგი შეუთანხმდა თურქებს და უკვე კონსტანტინოპოლს დამუქრა, მაგრამ ამ დროს აჯანყდნენ კომნენოსები. მათ 1081 წ. თებერვალში დატოვეს კონსტანტინოპოლი. გავიდნენ თრაკიის ქ. ცურულში, რომელიც იქცა კომნენოსთა აჯანყების შტაბად. ალექსის ბრძანებით აქ თავი მოიყარეს ჯარის ნაწილებმა და კომნენოსთა მომხრეებმა, დეუკათა საგვარეულოს წარმომადგენლებმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ და სხვებმა. პირველი საკითხი, რომელიც აქ დაისვა, ეს იყო, ვის უნდა რგებოდა ტახტი, ალექსის თუ ისააკს. ასაკით ისააკი უფროსი იყო ალექსიზე და ამ პრინციპის მიხედვით ტახტი თითქოს ისააკს უნდა რგებოდა, მაგრამ ჯარმა ერთხმად მხარი დაუჭირა ალექსის კანდიდატურას. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ დეუკათა საგვარეულომ ალექსის სახელით დიდი დაპირებები აღუთქვა ჯარს. 1081 წ. 4 აპრილს, აღდგომა დღეს, ალექსი შევიდა კონსტანტინოპოლში და ეკურთხა იმპერატორად. ნიკიფორე ბოტანიატე იძულებული იყო გადამდგარიყო და თავი შეეფარებინა კონსტანტინოპოლში მდებარე პერიბლესტოსის საგანესთვის ([1], 61).

ალექსი კომნენოსის მოსვლა ხელისუფლების სათავეში დეუკათა კლანის დიდი გამარჯვება იყო (25).

ახალი ბასილევსი, ალექსი კომნენოსი, ბუკოლეონის სასახლეში დასახლდა, ძმებით, დედით ანა დალასინათი, იმ დროს, როდესაც მისი 15 წლის მეუღლე ირინა დუკენა, ქმრისაგან ცალკე ცხოვრობდა ქვედა სასახლეში, დედით, დებით და პაპით, იოანე დუკათი ([1], 65).

მარიამ დედოფალი თავის 7 წლის შვილთან კონსტანტინესთან ერთად სასახლეში იმყოფებოდა და ანა კომნენეს ცნობით, ბევრი ეჭვის თვალით უყურებდნენ დედოფლის დარჩენას სასახლეში, ჩურჩულით ამბობდნენ, ახალი ტახტის მპყრობელს განზრახული აქვს, როგორც ჩანს. მარიამის შერთვა ([1], 65—66). ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ ალექსი იმპერატორად ეკურთხა მეუღლის გარეშე პატრიარქ კოზმას ხელით ([1], 67). ანა კომნენე უარყოფს ამ ამბავს და თვლის მას მონაჭორად. მარიამმა სასახლეში ყოფნა იმიტომ დააყოვნა, რომ მას მისი შვილის „ქერა მენელოსის“ ბედი აწუხებდა, მას არ სურდა და არ გამოდიოდა სასახლიდან, რადგან ემიონდა, რომ მის ვაჟს ცუდი რამ არ შემთხვეოდა, თუ სასახლიდან გამოვიდოდა. ანა კომნენეს ცნობა, ალექსის მიერ მარიამის შერთვის სურვილის შესახებ, განიარებულა ყველა იმ ისტორიკოსის მიერ, რომელნიც იგ-

ლევან ამ პერიოდის ბიზანტიის ისტორიას. გ. ოსტროგორსკი წერს „ამ ჭკვიან და და ლამაზ ქალისადმი ალექსი კომნენოსი ჰეშმარიტი სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული და მზად იყო მისი ცოლი, ირინე დუქენა, მსხვერპლად შეეწირა მარიამისათვის“ (26).

იოანე დუქას აქტიური ზემოქმედების შედეგად 7 დღის შემდეგ ირინე დედოფლად აკურთხა პატრიარქმა კოზმამ ([17], III, 4); „ამის შემდეგ მარიამმა ალექსისგან მიიღო ოქრობეჭედი იმისა, რომ კონსტანტინე დუქა ალექსის თანამართველი იქნებოდა, ჩაიცვამდა წითელ წაღებს, თავზე გვირგვინს დაიდგამდა და ალექსისთან ერთად, მასაც უწოდებდნენ მეფეს. კონსტანტინეს გახადეს მაშინვე აბრეშუმის წაღები, რომლებიც აქამდე ეცვა, ჩააცვეს მთლიანად წითლები; სამეფო სიგელებსა და ოქრობეჭედებში ხელს აწერდა წითელი მელნით, ალექსი მეფის შემდეგ და საზეიმო გამოსვლების დროს სამეფო თავსაბუთრავით შემკული, მას მიჰყვებოდა უკან“ ([1], 71).

ამის შემდეგ მარიამმა იოანე დუქას რჩევით, საპატრიო ამლის თანხლებით დატოვა სასახლე და დასახლდა სამეფო პალატებში მახლობლად მთავარმოწამის გიორგის საფანისა, რომელიც მეფე კონსტანტინე მონომახმა აავო და რომელსაც მღაბიურად განგანა ეწოდება, ამ საფანეში მიაცილა იგი სევასტოკრატორმა ისააკმა ([1], 71—72). ზონარას ცნობით, ცოტა ხნის შემდეგ მარიამი მოლოზნად აღიკვეცა ([18], XVIII, 21).

მალე ირინესა და ალექსის შეეძინათ ქალიშვილი ანა, მომავალი ისტორიკოსი ანა კომნენე პორფიროგენეტი, რომელიც დანიშნეს მარიამ დედოფლის ვაჟზე, კონსტანტინე პორფიროგენეტზე¹, „მშობლებმა მომიძღვნეს გვირგვინი და სამეფო დიადემა. ხოლო რადგან... კონსტანტინე... მეფის, მამაჩემის თანამართველად ითვლებოდა და მასთან ერთად წითელი მელნით აწერდა ხელს სიგელებს, საზეიმო გამოსვლების დროსაც მას ახლდა ტიარით თავზე და წარმოთქმებშიც მეორე ადგილას იხსენიებოდა (მეფის შემდეგ), ამიტომ იმათ, ვისაც ეს წარმოთქმები ეხებოდა საზეიმო შემთხვევებში, ბრძანება გაცევს, რომ მეც ვყოფილიყავი მოხსენებული ამ წარმოთქმების დროს და წარმოეთქვათ: კონსტანტინე და ანა, ეს, როგორც მე გამიგონია, ჩემი ნათესავებისა და მშობლებისაგან, შემდეგაც კარგა დიდ ხანს სრულდებოდა“ ([1], 72—73).

1087 წ. ალექსი კომნენოსს ვაჟი შეეძინა, მომავალი ბასილევსი, იოანე II კომნენოსი. ეს ფაქტი დიდი ზეიმით აღინიშნა ბიზანტიაში. ამ ზეიმში მონაწილეობს 13 წლის კონსტანტინე პორფიროგენეტიც და მას არ ქონდა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ, ამ პერიოდში კონსტანტინეს სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა, სპორტული და ინტელექტუალური აღზრდის საკითხები. მისი აღმზრდელი იყო ცნობილი პიროვნება თეოფილაქტე ბულგარელი. მას დედოფალ მარიამის თხოვნით დაუწერია ტრაქტატი „დარიკებები უფლისწულთა აღზრდისათვის“ (27), რომელიც ითვალისწინებდა უფლისწულის ინტელექტუალურ აღზრდასთან ერთად მის ფიზიკურ წრთობასაც.

პირველად მარიამ დედოფლის სასოწარკვეთა, იოანეს დაბადების გამო აცებდა კონსტანტინეს, ხოლო შემდეგ ის მიხვდა, რასაც ნიშნავდა მისთვის ეს ფაქტი, ტახტის ორი პრეტენდენტი, ეს მეტისმეტია ერთი ტახტისათვის ([28], 356).

1090 წ. ალექსი კომნენოსი ატარებს თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრის კორონაციის ცერემონიას, რითაც მან უღალატა მარიამ დედოფლისადმი მიცემულ

¹ კონსტანტინე პორფიროგენეტისა და ნორმანდიელი ელენეს ნიშნობის ამბავი ანუ ლირებულ იქნა ბოტანიატეს ხელისუფლების სათავეში მოხელისთანავე.

ფიცს. ანა კომნენე თავის „ალექსიადაში“ ცდილობს ამ ფაქტს გვერდი უშაროს, მაგრამ ამის შესახებ ცნობას იოანე ზონარა გვაწვდის ([8] XVIII 23). კონსტანტინე ჩამოაშორეს სამეფო კარს და ამიერიდან იგი აღარ იყო თანაბანდობის სამეფო სიგელებსა და ოქრობეჭდებში ხელს აღარ აწერდა წითელი მელნით ალექსი მეფის შემდეგ.

მომხდარი ამბის გამო მარიამი შეძრწუნებულია, ცდილობს სამაგიერო გადაუხადოს ალექსის იმ შეურაცხყოფისა და ლალატისათვის, რაც მან მის მიმართ ჩაიდინა (29).

ალექსი კომნენოსის მეფობის პერიოდში მრავალ შეთქმულებას ჰქონდა ადგილი, ეს შეთქმულებები მიზნად ისახავდნენ არა მარტო მისი ტახტიდან ჩამოგდებას, არამედ მის მოკვლასაც. შეთქმულთა შორის იყვნენ მისი ყოფილი თანამებრძოლები, ტახტის მაძიებლები, სამეფო გვარის წარმომადგენლები, სენატორები, უმაღლესი სასულიერო პირები. შეთქმულება, რომელშიც მარიამ დედოფალი იღებდა მონაწილეობას, და რომელიც დოგენეს შეთქმულების სახელწოდებით არის ცნობილი, 1094 წ. მოხდა. შეთქმულება მიზნად ისახავდა ალექსი კომნენოსის ფიზიკურ განადგურებას. ამ შეთქმულების ინიციატორი ნიკიფორე დოგენე, იყო რომანოზ IV დოგენეს და ევდოკიას შვილი, ე. ი. მარიამის პირველი მეუღლის მიხეილ VII-ის ძმა დედის მხრივ, შეთქმულება გამოიყვანდა. ექვმიტანილ სახელთა შორის მარიამიც არის, მაგრამ ალექსის კარგად ახსოვს წარსული, ახსოვს, რა დიდი სამსახური გაუწია მას თავის დროზე მარიამმა, სიკვდილსაც კი გადაარჩინა იგი ნიკიფორე ბოტანიატეს დროს; ალექსი მას ტახტის ხელში ჩაგდებასაც უმაღლის (30), ამიტომ, ალექსიმ განკარგულება გასცა, რომ—შეთქმულთა სიაში არ ფიგურირებდეს მარიამ დედოფლის სახელი (1), 92—93).

ზონარას ცნობით, მარიამმა თავისი ცხოვრების მიწურულს მანუელის სავანეს შეაფარა თავი, იქ, სადაც იმყოფებოდა მისი ყოფილი მეუღლე მიხეილ VII დეუკა, რომელმაც თავისი სიკვდილის წინ მარიამს შეუნდო ყოველივე [(8), 229], (31).

მარიამ დედოფლის ვაჟი კონსტანტინე დეუკა პროფიროგენეტი გარდაიცვალა 1094 წ. ზონარას მოწმობით, კონსტანტინე გარდაიცვალა მანამდე, ვიდრე ანნა კომნენე მიიღწევდა საქორწილო ასაკს (8).

ფრანგ ბიზანტინისტს ბერნარ ლიბს წინადადება შემოაქვს გადაისინჯოს ბიზანტიის მმართველთა სია და მასში შესაბამისი ადგილი დაეთმოს მარიამ დედოფლის ძეს, კონსტანტინე დეუკა პროფიროგენეტს, ალექსი კომნენოსის ყოფილ თანამმართველს [28, 341].

ასეთია ის მასალები, რომელთაც მარიამ დედოფლის სინქრონული ბერძნული ნარატიული წყაროები გვაწვდიან, მისი ბიზანტიაში ყოფნის პერიოდის შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ე მ ბ ი

¹ გეორგიკა VI ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1966 წ.

² G. B. Bury. Imperial adm. system in the ninth century. London 1911.

³ Н. Скаболонович. Византийское государство и церковь в XI в. СПб, 1884, стр. 41.

⁴ N. Oikonomides, La serment de l'imperatrice Eudocie. RE. B. 21, 1963.

⁵ J. Laurent. Byzance et les Turcs Seljoucides dans l'Asie Occidentale jusques 1081, Nancy, 1913. p. 43.

⁶ Psellos Chronographia. Texte établi et traduit par E. Renaud. II, Paris, 1928, p. 181—182.

⁷ თ. ჟორდანიას, ქრონიკები I, თბილისი, 1872, 211.

⁸ Johannes Zonaras. Epitome historiarum ed Th. Büttner Wobst 1897.

⁹ П. Безобразов. Хрисовул императора Михаила VII Дуки В. Вр № 6 1899.

¹⁰ Attal „Michaelis Attaliothae historia“ rec. Bekkerus. Bonn 1853.

¹¹ ნიკიტორე ვრიენოსი თარგმანით. ბრეგადის, გეორგიკა V თბილისი, 1963.

¹² Scyl. Georgius Cedrinus. Joannis seylitzae ope ab I Bekkero suppletus et emendatus. II Bonn, 1839.

¹³ Nicephori Bryenii Commentarii Rec. A. Meineke Bonnae 1836.

¹⁴ Leib B. Nicéphore III Botaniates (1078—1081) et Marie d'Alanie, Actes du VI^e Cong. intern. d'études byzantines, Paris, 1950.

¹⁵ Zachariä von Lingenthal. Geschichte des griechisch-römischen Rechts, Berlin. 1892.

¹⁶ შა მქთა მონაქცი, ჭამანსაკაყოლქის, 1898.

¹⁷ Annae Comnenae Alexias rec. Reifferscheid Leipzig, 1894, Im II, 159.

¹⁸ Du Cange. Familiae augustae Byzantinae 1680 p 174.

¹⁹ Fontes graeci historiae Bulgaricae XIV Serdica 1968 p 111.

²⁰ Antonio Garsia Encomio di Adriano Comneno 1965 Napoli

²¹ А. Каждан. К истории византийско-кавказских связей XI—XII вв. Историко-филологический журнал, 1967, № 1.

²² ვ. კობლიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა, 970—1070 წლებში, 1969, გვ. 293.

²³ A. Holweg. Beiträge zur Verwaltungsgeschichte des oströmischen Reiches unter den Komnenen. München, 1965 S. 96.

²⁴ გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი. გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, 1963 წ.

²⁵ История Византии, т. 2. Москва, 1967, стр. 296—297.

²⁶ G. Ostrogorsky. Geschichte des byzantinischen Staates. 1940, p. 266.

²⁷ Migne Patrologia Graeca. t 126.

²⁸ B. Leib. Un basileus ignore Constantin Doucas B. S. 17. 1965.

²⁹ Chalandon F. Essai sur le règne d'Alexis I-er Comnène. Paris, 1900; p. 151.

³⁰ B. Leib. Complots à Byzance contre Alexis I Comnène (1081—1118) B. S. 23 1962. p. 262.

³¹ B. Leib. Nicéphore III Botaniates (1078—81) et Marie d'Alanie. Actes du VI-e congr. int. d'études byzantines 1950, 140.

И. М. НОДИЯ

ЦАРИЦА МАРИЯ В ПОЛИТИЧЕСКОЙ ЖИЗНИ ВИЗАНТИИ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XI в.

Р е з ю м е

Дочь грузинского царя Баграта IV Марфа, в Византии Мария, вышла замуж за императора Михаила VII Дуку (Парапинава). От этого брака у Марии родился сын Ковстантин Порфирородный. После свержения Михаила VII с целью сохранить престол своему малолетнему наследнику Мария вышла замуж за императора Никифора Ботаниата. Когда Марии стало известно, что Ботаниат не намерен сделать Константина своим наследником, Мария заключает договор с Комнинами и всячески содействует Алексею Комнину в овладении византийским престолом. После прихода к власти Алексея I, Мария получила от него хрисовул о том,

что сын Марии Константин является соправителем Алексея. После рождения у Алексея сына Иоанна, он нарушил клятву, данную Марии в шении ее сына Константина: Алексей провел церемонию коронации своего наследника, и Константин был лишен прав на престол.

Мария приняла активное участие в заговоре против Алексея в 1094 г.

I. NODIA


QUEEN MARIA IN THE POLITICAL LIFE OF BYZANTIUM IN THE LATTER HALF OF THE ELEVENTH CENTURY

S u m m a r y

Martha, daughter of King Bagrat IV of Georgia, married the Emperor Michael VII Ducas (Parapinakos) of Byzantium, assuming the name of Maria. Her son by this marriage was Constantine Porphyrogennitos, as, according to Zonaras, he was crowned in his infancy, in honour of which fact he wore red sandals.

After Michael VII had been dethroned, Maria—motivated by the desire to preserve the throne for her young son—married the Emperor Nicephorus III Botaniates. Having learned that Botaniates had no intention of proclaiming Constantine his heir, Maria entered into an agreement with the Comneni and assisted Alexius Comnenus in seizing the throne of Byzantium. Alexius I Comnenus having come to power, Maria obtained from him a chrysebull confirming that her son Constantine was co-ruler of the Empire together with Alexius. However, when Alexius' son Ioannos was born, the father violated his oath to Maria concerning her son Constantine. Alexius crowned his heir and Constantine lost his right to the throne.

In 1094 Maria took an active part in the conspiracy against Alexius Comnenus.



ჰიმნოგრაფიული კანონის რიტმული სტრუქტურისათვის¹

ლიანა კვიციანი

რიტმული აგებულების თვალსაზრისით, გარკვეული მიმართება დგინდება ბიზანტიურსა და ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს შორის, რაც საფუძველს გვაძლევს უფრო ფართო ასპექტით განვიხილოთ საგალობელთა რიტმული სტრუქტურა და ვეძიოთ მასში განსაზღვრული მხატვრული იდეალების ხორც-შესხმა.

თანამედროვე მეცნიერებაში სადავო არ არის, რომ მელოდიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, საგალობლის რიტმული წყობა სრულყოფილად იქნას შესწავლილი; მაგრამ ამ ჭეშმარიტების აღიარება ხელს არ უშლის მკვლევართ, განიხილონ მეტრული დარღვევები ან უზუსტობანი („anomaliae metricae“), რომლებიც ქრება გალობის დროს. მასასადამე, დაკვირვება წარმოებს თავისთავად ლიტერატურულ ტექსტზედაც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა, კერძოდ კანონთა, რიტმულ აგებულებას განსაზღვრავს ისოსილაბიზმი და აქცენტუაციის კანონზომიერება. რას წარმოადგენს სტრუქტურულად ცალკე აღებული ტროპარი ანუ მუხლი? ჩვეულებრივ (გველისხმობთ არა-იამბურ ბერძნულ საგალობლებს), იგი შედგება სხვადასხვა რაოდენობის მარცვალთა შემცველი პერიოდებისაგან. რაოდენობრივი თანაფარდობანი ძალიან იშვიათად არის დაცული. მაგალითად, წმინდა მამანტისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი კანონის პირველ ოღაში ექვსივე ტროპარის პირველი და მესამე მონაკვეთები შვიდმარცვლიანია; მეორე და მეოთხე კი—თერთმეტმარცვლიანი, ე. ი. გვაქვს თანამიმდევრობა: 7, 11, 7, 11². მაგრამ მსგავსი ტროპარები თითქმის გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება. როგორც წესი, პერიოდები არათანაბარმარცვლიანია. გარდა ამისა, ტროპარს არ ახასიათებს მონაკვეთთა ურთიერთშესატყვისობა უკანასკნელი მელოდიური, რიტმული მახვილის ადგილის მიხედვით და არც საერთოდ მელოდიურ-მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი მონაცვლეობა, ანუ მახვილთა სიმეტრიული განაწილება. ერთი სიტყვით, ტროპარის შიგნით არაპროპორციულობის, ასიმეტრიულობის კანონი მოქმედებს.

¹ წაკითხულია მოხსენებად ბიზანტიანთა საკავშირო სესიაზე ლენინგრადში 1972 წელს. ვაჭვევებთ გადამუშავებულ ვარიანტს.

² об. I. Schirò, *Analecta Hymnica Graeca*, I, *Canones Septembris*, Roma, 1966, გვ. 63—64.

ამ მხრივ ბიზანტიური ჰიმნოგრაფია უპირისპირდება ანტიკურ, კლასიკურ ბერძნულ პოეზიას, რომელიც ზუსტ სიმეტრიებზეა აგებული. სამეცნიერო რატიონალიზმში აღნიშნავენ, რომ სიმეტრიების რღვევა ხდება ბიზანტიურ ბერძნული ხელოვნების სხვადასხვა სფეროში და დისპროპორციულობა მხატვრული მეთოდის ძალას იძენს.

როცა საქმე ეხება ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეული ოდის ტროპართა ურთიერთმიმართებას, — ტროპართა, რომლებიც ერთ ირმოსს მისდევენ, შესაბამის მონაკვეთებში დაცულია ისოსილაბიზმის პრინციპი. რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ადრინდელ (X—XI სს. წინარე პერიოდის) ბიზანტიურ საგალობელთა მელოდიებზე, რომლებსაც აღადგენენ შედარებით გვიანდელი მუსიკალური ტრანსკრიფციების გამიფვრის შედეგად, ტროპართა შესაბამისი რიტმული მონაკვეთები საესეებით ეთანაზომებთან ერთმანეთს მელოსის სტრუქტურის საშუალებით. თვით პოეტურ ტექსტებშიც სილაბური პროპორციები იშვიათად ირღვევა. ნიმუშად დავასახელებთ იოსების კანონს წმინდა ჰერმიონზე¹. ნაწარმოები შედგება რვა გალობისაგან. ექვს ოდაში არ დასტურდება მეტრული ანომალიის არც ერთი შემთხვევა, ოღონდ მათგან მეხუთე ოდის ბოლო ტროპარს სამი მონაკვეთი აკლია. მეორე გალობაში, სადაც თითოეული ტროპარი შეიცავს ათ რიტმულ მონაკვეთს, მხოლოდ მეხუთე მონაკვეთები განსხვავდებიან თითო მარცვლით; მეცხრე გალობის მეხლთა მეოთხე მონაკვეთებში და ერთი ტროპარის მეორე მონაკვეთში სილაბური თანაბრობა ირღვევა აგრეთვე თითო მარცვლის სხვაობით. ერთადერთ შემთხვევაში ჰიმნის გამომცემელი მიუთითებს: „metri causa ꝛi expunximus“, რასაც საესეებით ამართლებს კონტექსტი


